დღეს გაირკვევა, ვინ ვისთან და რატომ A2
გულახდილად B6
სამართალი C

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
შაბათი, 21 თებერვალი, 2004 წელი, №43 (592)
ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

განახლებული "მრეწველები" საარჩევნო უღელში შეებნენ

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ "ახალმა მემარჯვენეებმა" ანტიშევარდნაძისტულ ოპოზიციურ კოალიციაში შესვლაზე უარი თქვეს და ეს იმით ახსნეს, რომ "საკუთარი სახის შენარჩუნება სურდათ", მაგრამ ამ განცხადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ გაირკვა, რომ პარტიული სუვერენიტეტის დაკარგვა "ახლებს" ნაკლებად აღელვებდათ.

A3

ეკონომიკა

შემდეგი ბარიერება - ქუთაისი

გსეკ-ის ამერიკელი მმართველები ღიად აცხადებენ, რომ მათთვის მიუღებელია, როცა ე.წ. "მცირე ლიცენზიანტები", ანუ შედარებით პატარა მოცულობის კომპანიები მოსახლეობის ელექტრომომარაგებას სახელმწიფოსგან იჯარით აღებული ელექტროქსელების საშუალებით ახორციელებენ.

A4

უცხოეთი

ჯორჯ სოროსი: არჩევნები ბუშის წინააღმდეგ რეფერენდუმად უნდა იქცეს

მსოფლიოში სახელგანთქმულმა ბიზნესმენმა და მეცენატმა ჯორჯ სოროსმა ნიუ-იორკის "საგარეო პოლიტიკის საბჭოში" ამას წინათ საკუთარი წიგნის პრეზენტაცია მოაწყო, რის შემდეგაც სოროსი ჟურნალისტებს გაესაუბრა.

A5

საზოგადოება

ზაკაევი - დოლიძე - პუტინი

გუშინ "კავკასიურ სახლში" გაიმართა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის, პროფესორ გოგი დოლიძის წიგნის - "ღია წერილი რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს" – პრეზენტაცია.

A6

სამართალი

ციხის ბინადრები ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებენ

საქართველოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მყოფი პატიმრები ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებისთვის ემზადებიან. აღნიშნული ვარაუდის საფუძველი ქუთაისის საპყრობილის პატიმრის აბელ გოგნაძის წერილია, რომელიც მან გუშინ გაავრცელა.

A7

ამინდი

თბილისი	9	❄
ქუთაისი	7	❄
ბათუმი	7	❄
სოხუმი	4	❄
ფოთი	7	❄
თელავი	8	წვიმა
ზუგდიდი	7	❄
გორი	6	❄
ახმეტა	8	❄
ქიათურა	4	❄
ბაგრა	1	❄

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.0450
ევრო	2.5859
გირვანქა სტერლ.	3.8552
რუბლი	0.0718

ვალტერ შვიმერის ვიზიტი მიტინგებისა და სროლის ფონზე

ლელა მჭედლიძე

ევროპის საბჭოს გენერალურ მდივან ვალტერ შვიმერს ბათუმი წყნარად შეხვდა. დღის მეორე ნახევრისთვის, მოჩვენებითი სიწყნარე თანდათან სერიოზულ მღელვარებაში გადაიზარდა. "გამოვასწარით!" - ასეთი იყო დელეგაციის ქართველი წევრების არაოფიციალური შეხედულება ბათუმურ ვიზიტზე, მიუხედავად იმისა, რომ არეულობამ აჭარის დედაქალაქში პიკს შვიმერის სტუმრობის შემდეგ მიაღწია. გაერთიანებული ოპოზიციისა და "კმარას" ოფისების დარბევის ამბავი შვიმერმა უკვე თვითმფრინავში, თბილისისკენ მომავალმა შეიტყო. შვიმერს ბათუმში ვიზიტის დროს თან ევროსაბჭოს წარმომადგენელი საქართველოში პლამენ ნიკოლოვი, თბილისში აჭარის წარმომადგენელი ჰამლეტ ჭიპაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კახა სიხარულიძე და დეპუტატი არმაზ ახვლედიანი ახლდნენ.

გაგრძელება A8 გვერდზე

გუშინდელი დაპირისპირების კულმინაცია ბათუმში.

შევარდნაძის ოჯახის პირველი წევრი დააპატიმრეს

თამარ კაციტაძე

ედუარდ შევარდნაძის სიძე, კომპანია "მაგთიკომის" დამფუძნებელი გია ჯოხთაბერიძე სამართალდამცველებმა პარიზში გაფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე დააპატიმრეს და წინასწარი დაკავების იზოლატორში გაძლიერებული დაცვით მიიყვანეს.

გია ჯოხთაბერიძის საქმიანობის შესწავლით გენერალური პროკურატურა წლების წინ შეწყვეტილი, კავშირგაბმულობის მინისტრის საქმის განახლების შემდეგ დაინტერესდა და იგი მოწმის სახით დაკითხვაზეც დაიბარეს.

გაგრძელება A7 გვერდზე

გია ჯოხთაბერიძე: "სანქცია არა აქვთ!"

"ხანუმა" დაბრუნდა

პრეზიდენტის მუქარა და დაპირება

აჭარაში გუშინ განვითარებული მოვლენები, პროკურატურის მიერ "ომეგა" ჯგუფის მიმართ განხორციელებული სპეცოპერაცია, კომპანია "მაგთიკომის" მფლობელის გია ჯოხთაბერიძისა და "მადნეულის" გენერალური დირექტორის დაკავება - ეს ის ძირითადი საკითხებია, რაზეც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებამდე ჟურნალისტებთან ისაუბრა.
და რაც ყველაზე მთავარია, საქართველოს პრეზიდენტი ახალ ინიციატივაზე საუბრობს – ყველა ბიზნესმენი, ვინც პირველ აპრილამდე წარადგენს ობიექტურ საგადასახადო დეკლარაციას და დამალული გადასახადების ლეგალიზებას მოახდენს, ყველანაირი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება.

აჭარის ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ ძველებური ურთიერთობები ძალაში ვერ დარჩება

წინა მთავრობისგან განსხვავებით, მე არ ვაპირებ სირაქლემის პოზიცია დავიკავო, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. რა თქმა უნდა, მოვლენები ძალიან დრამატულად ვითარდება. იმას, რაც დღეს აჭარაში ხდებოდა, ორი ასპექტი აქვს: ერთი არის დამოკიდებულება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ხელისუფლებას შორის. მე მინდა, თავიდანვე ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არავინ აჭარის ავტონომიის უფლებებს არ ზღუდავს. არა იმიტომ, რომ მე ავტონომიური ინსტიტუტის თაყვანისმცემელი ვარ, უბრალოდ, მიმაჩნია, რომ ბევრი გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული ადგილზე. საქართველოს დეცენტრალიზაცია სწორი გაგებით უნდა მოხდეს. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, აჭარა არის საქართველოს შემადგენელი ნაწილი და საქართველოს ხელისუფლებას აქვს უფლება, გააკონტროლოს აჭარის ტერიტორია, ფინანსური სისტემა, გააკონტროლოს ბათუმის პორტი, თურქეთის საზღვარი... მე ვფიქრობ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ეს ძალიან კარგად ესმის. ხვალ ბათუმში თათბირია ფინანსურ საკითხებზე და, რამდენადაც ვიცი, ფულის გადმორიცხვას ისინი გადასახადების სახით აპირებენ. მათ ესმით, რომ ძველებური ურთიერთობები ძალაში ვერ დარჩება.

მინდა იცოდეს თითოეულმა აჭარელმა: საქართველოს პრეზიდენტი მათ უფლებების შელახვისგან დაიცავს. ყველა აჭარელი უნდა იყოს დაწყნარებული, ნურაფრის ნუ შეგეშინდებათ. ყოველგვარი საუბარი იმაზე, რომ აჭარა საქართველოს განსაკუთრებული რეგიონია, დაუშვებელია. მე მძლის უცხოური ტელეკომპანიების ეთერით იმის მოსმენა, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს და აჭარას. აჭარის ჩართვა ამ სიაში არის შეურაცხმყოფელი. ეს შექმნა შევარდნაძემ და მე ამას დავასრულებ.

გაგრძელება A3 გვერდზე

მტკივნეული პროცესი, რომელიც ხელისუფლებას წინ დახვდება

სამინისტროში საკადრო რეფორმა დაიწყო

საქართველოს თავდაცვის პირველმა სამოქალაქო მინისტრმა, თავისი კოლეგების მსგავსად, მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ თანამდებობიდან გადაგომის განცხადება ყველა მოადგილეს და დეპარტამენტის უფროსს დააწერინა. გელა ბეჟუაშვილი სკადრო წმენდის მტკივნეულ პროცესს სამხედრო ძალების რიცხოვნობის ოპტიმიზაციით ხსნის და აცხადებს, რომ ზედმეტი და უსარგებლო საშტატო თანამდებობების გაუქმება, შემდგომში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით და კანონით გათვალისწინებული სოციალური გარანტიებით მოხდება. თუმცა სამოქალაქო მინისტრს ოპონენტებიც გამოუჩნდნენ, რომლებიც ფორსირებული საკადრო ცვლილებების არსებით ხარვეზებზე ამახვილებენ ყურადღებას.

კობა ლიკლიკაძე

8 გენერალი, 30 მაღალი თანამდებობის ოფიცერი და სხვადასხვა კატეგორიის, დაახლოებით, 500 სამხედრო და სამოქალაქო პირი – ასე გამოიყურება იმ ადამიანთა არასრული სია, ვისაც სამოქალაქო თავდაცვის მინისტრის სამდღიანი მოღვაწეობის პერიოდში უკვე მოუხდა თანამდებობიდან წასვლა. ამ ტრადიციას 6 წლის წინ საფუძველი ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ ჩაუყარა, მაგრამ მალე სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. თევზაძემ არმიის გაცხრილვა კადრების შემცირების გზით სცადა. ამ ფორმით არმიიდან გათავისუფლებული სამხედრო მოსამსახურეები ითხოვდნენ კანონით განსაზღვრულ სოციალურ გარანტიებს – ერთჯერად ფულად კომპენსაციას, რაც ერთი წლის ხელფასის ტოლფასია და ყველა დავალიანების ანაზღაურებას. არმიის ბიუჯეტში ეს თანხები არ იყო გათვალისწინებული, ამიტომ დაზარალებულებმა სასამართლოებს მიაშურეს. ეს პრობლემები დღევანდელ ხელისუფლებას, რომელიც სამხედრო უწყების პირველ პირებს რიცხოვნობის მაქსიმალურად

გაგრძელება A3 გვერდზე

რთული მეზობლობა აღმოსავლეთით

ევროკავშირი აღმოსავლეთით გაფართოებისთვის ემზადება. ბრიუსელში უკვე დიდი ხანია, თავი დაანებეს იმაზე ფიქრს, რომ გაფართოებულ ევროკავშირს მხოლოდ მეგობრები ეყოლება მეზობლად. ხშირად ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა, ავტოკრატიული და იმპერიული წარსულის მქონე რუსეთი დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაიქმნას? ექნება თუ არა რუსეთს კარგი ურთიერთობები ევროკავშირის სხვა მეზობლებთან? ევროკომისიის მიერ ახლახან მომზადებული დოკუმენტით თუ ვიმსჯელებთ, ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში სერიოზული პრობლემები არსებობს.

ევროკომისია საუბრობს პოლიტიკის წარმოების "რუსულ მეთოდებზე", რომელიც საერთოევროპულ ღირებულებებს აშკარად ეწინააღმდეგება. დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთი დემოკრატიის, მასმედიის თავისუფლებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში ევროპულ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ბოლო წლების საერთაშორისო დახმარებამ რუსეთს "დათვური სამსახური" უფრო გაუწია. ევროკავშირის მკაცრ კრიტიკას იმსახურებს რუსეთის ზეწოლა მეზობელ სახელმწიფოებზე.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა
B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ქვირა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

"კმარა" აჭარის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებს გააგრძელებს

"კმარას" ლიდერები გუშინ ბათუმში განვითარებულ მოვლენებზე ხელისუფლების მხრიდან უფრო მკაცრ რეაგირებას ელიან, ვიდრე "უბრალო განცხადებებია". როგორც თავისუფლების ინსტიტუტში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე "კმარელმა" გოგა ონიანმა აღნიშნა, გუშინ ბათუმში სისხლის სამართლის დანაშაული მოხდა. "თითოეული იმ ადამიანის წინააღმდეგ, ვინც ამ ვანდალურ ქმედებებში მონაწილეობდა", "კმარელები" სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვენ.

მათი თქმით, ასლან აბაშიძის მომხრეებად წარმოდგენილმა, უშიშროების გადაცმულმა თანამშრომლებმა გუშინ ბათუმის "კმარას" ოფისი დაწვეს და "კმარელები" სასტიკად სცემეს. "თუ აბაშიძე დროზე არ მოეგო გონს, იგი შევარდნაძის ბედს ნამდვილად არ გაიზიარებს, მას უბრალოდ დაიჭერენ," – აცხადებს "კმარას" ერთ-ერთი ლიდერი თეა თუთბერიძე. მისი თქმით, ამგვარი დევნის მიუხედავად, "კმარელების" რიცხვი აჭარაში დღითიდღე მატულობს.

"კმარელები" სტუდენტებს და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს მოუწოდებენ, გააქტიურდნენ და ღიად ჩაერთონ ასლან აბაშიძის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში.

"როდემდე შეიძლება, აჭარაში თავისუფალი აზრი იდევნებოდეს? ჩვენ განსხვავებული იდეების გამო გვდევნიან," – აცხადებს ბათუმელი "კმარას" აქტივისტი იმედა თავდგირიძე.

"კმარა" აჭარის ხელისუფლის წინააღმდეგ გამოსვლების შეწყვეტას არ აპირებს. დღეს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში სტუდენტების შეკრება იგეგმება, სადაც საუბრის მთავარი თემა სწორედ აჭარა და "ასლან აბაშიძის დიქტატორული რეჟიმი" იქნება.

24 საათი

იაპონური გრანტი

ხელმოწერის ოფიციალური ცერემონიალი.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის რანგში გიგი წერეთელმა პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა და იაპონიის მთავრობის ტექნიკური დახმარების დოკუმენტზე საკუთარი ხელმოწერაც დასვა. საქმე ეხება იაპონურ გრანტს, რომლის ფარგლებში საქართველოში ტექნიკურად აღიჭურვება დედათა და ბავშვთა მკურნალობის პროფილის 80 სამედიცინო დაწესებულება. იაპონიის მხრიდან გიგი წერეთელს ხელი ჩამოართვა იაპონიის მთავრობის კონსულტანტმა იოჩი ჰარუ ჰიგუჩი-სანმა.

"ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ საქართველოში არსებული სიტუაცია და შევქმენით სათანადო პროექტი, რომლის განხორციელებასაც ახლა ვიწყებთ. ეს იქნება აქტიური თანამშრომლობის მაგალითი," - განაცხადა მან.

პროექტი, დაახლოებით, ერთ წელიწადში დასრულდება.

24 საათი

საქართველოს მოქალაქეებით, ძირითადად, თურქეთსა და საბერძნეთში ვაჭრობენ

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიამ დაასრულა ადამიანებით ვაჭრობის მასშტაბებისა და მიმართულებების შესახებ განმეორებითი გამოკვლევის ჩასატარებელ პროექტზე მუშაობა.

პროექტი მიზნად ისახავს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ დამაჯერებელი ფაქტების მოძიებას, საქართველოს მთავრობის შესაბამისი სტრუქტურების ტრენინგებს, დაზარალებულთა დახმარებისთვის აუცილებელი პროექტების განსაზღვრასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიამ 2000 წელს პირველად ჩაატარა ამ საკითხზე გამოკვლევა, რომელიც საქართველოში ტრეფიკინგის მასშტაბებისა და ხასიათის დადგენას ითვალისწინებდა. გამოკითხული 275 არალეგალური მიგრანტიდან უმრავლესობა ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი აღმოჩნდა.

საქართველოს მოქალაქეებით ძირითადად ვაჭრობენ თურქეთში, საბერძნეთში, აშშ-სა და დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ქართველები სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი არიან. ისინი საყოფაცხოვრებო, სოფლის მეურნეობისა და სხვა სახის მომსახურების სექტორში იძულებით, მცირე ანაზღაურების სანაცვლოდ მუშაობენ.

შეგახსენებთ, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ პირველი გამოკვლევის დასრულების შემდეგ საინფორმაციო კამპანიას აწარმოებს. სატელეფონო ცხელ ხაზზე (25-22-17) 5 184 ზარია შესული. საკონსულტაციო ცენტრები მოქალაქეებს იმ საშიშროების შესახებ აფრთხილებს, რომელიც არალეგალურ მიგრაციას თან სდევს.

მედია-ნიუსი

ახალი ბაზრობა გარემოვაჭრეებისთვის

ვაგზლის სადგურის უკანა ფლიგელში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე, რკინიგზის გადასასვლელ ხიდთან მდებარე ახლად შეკეთებულ შენობაში გუშინ გარემოვაჭრეებისთვის ახალი ბაზრობა გაიხსნა. როგორც თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის ხელმძღვანელმა თორნიკე კიკაბიძემ განაცხადა, საკმაოდ დიდი მოცულობის გადახურულ ტერიტორიაზე 600-მდე გარემოვაჭრე განთავსდება. ტერიტორია ქალაქის სამსახურებმა ნარჩენებისგან გაწმინდეს, შემინეს და მოვაჭრეთათვის დანომრილი დახლებიც დადგეს. ახალი ბაზრობა გუშინ ქალაქის მერმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან ერთად დაათვალიერა. ვანო ზოდელავამ აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიაზე ის მოვაჭრეები განთავსდებიან, რომლებიც არასაკვები პროდუქტით ვაჭრობდნენ. პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, ერთი წლის განმავლობაში მოვაჭრეები ვაჭრობის გადასახადს არ გადაიხდიან.

ინტერ-პრესი, მედია-ნიუსი

პრეზიდენტმა სამართალდამცველებს დავალება მისცა

გუშინ აჭარის შს მინისტრს ჯემალ გოგიტიძეს საქართველოს შს მინისტრმა გიორგი ბარამიძემ სპეციალური წერილი გაუგზავნა, რათა მან გამოიძიოს აჭარის ხელისუფლების მომხრეებსა და ოპოზიციის მხარდამჭერთა შორის მომხდარი ინციდენტი.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს, რათა დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეტაკება არ მოხდეს და სიტუაციის გართულება თავიდან აიცილონ.

უშიშროების საბჭოს მდივნის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, გენპროკურატურას მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევის ფაქტის აღკვეთა დაავალა. "იქ დაწყებული ძალადობა დაუყოვნებლივ იქნეს აღკვეთილი და სპეციალური ზომები იქნეს მიღებული იმ ხალხის წინააღმდეგ, ვინც შეეცადა ოპოზიციის მიტინგის დარბევას", - ასეთია პრეზიდენტის დავალება.

"ჩვენ ყველა ზომას მივმართავთ იმ ხალხის წინააღმდეგ, ვინც ხელს უწყობს საქართველოში (კერძოდ – აჭარაში) სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებას. ეს ხალხი კანონის მთელი სიმკაცრით იქნება დასჯილი და უკვე შესაბამის ორგანოებს მიეცათ დავალება, რომ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე," – აცხადებს მერაბიშვილი.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის და დამნაშავეთა დასჯის მითითებაც გაკეთდა გუშინ ბათუმში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს ვანო მერაბიშვილს იმედი აქვს, რომ ბათუმის ქუჩებში მიმდინარე ძალადობის აღსაკვეთად ცენტრალურ ხელისუფლებას იქ დამატებითი ძალების გადასროლა არ მოუწევს. უშიშროების საბჭოს მდივნის თქმით, ზუსტად არის ცნობილი იმ პიროვნებების ვინაობა, ვინც ორგანიზებას და კოორდინაციას უწევს ოპოზიციის დარბევას ბათუმში. შესაბამის სტრუქტურებს უკვე მიღებული აქვთ ბრძანება, რომ ეს პიროვნებები დაუყოვნებლივ დააკავონ.

მერაბიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე დაეხმარება და ითანამშრომლებს ცენტრალური ხელისუფლების სამართალდამცველ სტრუქტურებთან და ხელს შეუწყობს აჭარაში (კერძოდ – ბათუმში) სიტუაციის დარეგულირებას.

24 საათი

ეკონომიკური პროექტების განხორციელება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ხელს შეუწყობს

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ლოშჩინინი აცხადებს, რომ ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის ნდობის აღდგენას ხელს შეუწყობს ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელება. ეს განცხადება მან ჟენევაში, გაერო-ს გენერალური მდივნის მაღალი რანგის წარმომადგენელთა შეხვედრის დასრულების შემდეგ გააკეთა.

მისი თქმით, შეხვედრის დროს საუბარი ძირითადად დევნილთა დაბრუნებასა და აფხაზეთში ეკონომიკური პროექტების განხორციელებას ეხებოდა. ასევე იმსჯელეს ადლერი-თბილისი-ერევნის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასა და ენგურჰესის რეაბილიტაციაზე, თუმცა გაერო-ს გენერალური მდივნის მაღალი რანგის წარმომადგენლებმა დასვეს საკითხი, რომ თავდაპირველად უნდა განისაზღვროს აფხაზეთისა და იქ დაბრუნებულ დევნილთა პოლიტიკური სტატუსი.

„ჩვენ ვაცხადებთ, რომ აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე მიმდინარე მოლაპარაკებებმა ათი წლის განმავლობაში შედეგი არ გამოიღო. ჩვენი აზრით, ჯერ ეკონომიკური პროექტები უნდა განხორციელდეს და მერე გამოჩნდება, თუ როგორ განისაზღვრება პოლიტიკური სტატუსი", — განაცხადა შეხვედრაზე ლოშჩინინმა.

ქართული მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარგში გოგა ხაინდრავა, განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი მალხაზ კაკაბაძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე. აფხაზურმა მხარემ მიწვევა არ მიიღო.

„ქართული მხარის პოზიციაში არავითარი სიახლე არ არის, კაკაბაძე და ანთაძე, რასაც წლების წინათ ლაპარაკობდნენ, იმავეს იმეორებენ", — განაცხადა ლოშჩინინმა. **მედია-ნიუსი**

სარდალი ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის სარდალი ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვს. ამ თხოვნით ზაურ უჩაძემ დღეს კონფლიქტის ზონაში ჩასულ პრეზიდენტის რწმუნებულს შიდა ქართლში მიხეილ ქარელს მიმართა. რწმუნებული, რომელმაც ქართულ დანაყოფებს საჩუქრები გადასცა, აცხადებს, რომ თავდაცვის სამინისტროსთან ერთად, ქართული სამშვიდობო დანაყოფების წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებას შეძლებს.

დღეს შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა ცხინვალში დისლოცირებული სამშვიდობო ძალების რუსულ და ოსურ ბატალიონებში სტუმრობასაც გეგმავს. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს ხელისუფლებამ პარასკევს უარყო გავრცელებული ცნობები ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის შესაძლო დაპატიმრების შესახებ.

როგორც ხელისუფლების განცხადებაშია ნათქვამი, ედუარდ შევარდნაძე არ გაიზიარებს მისი სიძის, ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „მაგთიკომის" ხელმძღვანელის გიორგი ჯოხთაბერიძის ბედს, რომელიც პარასკევს, სამართალდამცავებმა გადასახადების დამალვის ბრალდებით დააკავეს.

ამასთან, საქართველოს მთავრობა უახლოეს მომავალში მიმართავს პარლამენტს, საბოლოოდ დააკანონოს ექსპრეზიდენტის ხელშეუხებლობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გურამ შარაძე 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს და ცესკო-ს თავისი პოლიტიკური გაერთიანების "ენა, მამული, სარწმუნოება" რეგისტრაციიდან მოხსნის თაობაზე მიმართავს. შარაძის პროტესტი იელოველთა ორგანიზაციისთვის რეგისტრაციის აღდგენას უკავშირდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. უშიშროების ყოფილი მინისტრი, ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ 1995 წელს განხორციელებული ტერაქტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი და ამჟამად ინტერპოლის მიერ ძებნილი იგორ გიორგაძე პოლიტიკური ორგანიზაცია "სამართლიანობის" საარჩევნო სიის პირველი ნომერი იქნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ილია ჭავჭავაძის საზოგადოება" პროტესტს გამოთქვამს ტელეკომპანია "იბერიაში" 19 თებერვალს სპეცრაზმის შეჭრის გამო და ასეთ მოქმედებას "ბოლშევიკურ-დიქტატორული ტენდენციების" გამოვლინებად მიიჩნევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ლეიბორისტული პარტია" ახალი საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის და მასმედიის ფინანსურ დამოუკიდებლობას, მის ფინანსურ ამნისტიას მოითხოვს.

პარტიის წევრის ჯონდი ბაღათურიას თქმით, მიმდინარეობს შესაბამის კანონპროექტზე მუშაობა, რომელსაც საპარლამენტო არჩევნების დასრულებისთანავე ბიუროს სხდომას წარუდგენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის განცხადებით, ამიერიდან საბჭოს საქმიანობა საზოგადოებისთვის ბევრად უფრო გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი გახდება. უშიშროების საბჭოს წარმომადგენლის ალეკო კუბლაშვილის განცხადებით, საზოგადოებას და მასმედიას საშუალება ექნებათ, გაეცნონ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც გრიფი "საიდუმლო" ექნება მოხსნილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დააჯილდოვა საქართველოს სანაპირო დაცვის ოფიცრები და მეზღვაურები, რომლებმაც საქართველოს საზღვაო აკვატორიაში აფხაზეთის დროშის ქვეშ მცურავი, უკრაინის კუთვნილი თევზსაჭერი სეინერი "ტრეპანგი" დააკავეს. **ინტერ-პრესი**

დღეს გაირკვევა, ვინ ვისთან და რატომ

საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციისთვის პარტიების განაცხადის წარდგენის ოფიციალური ვადის ამოწურვამდე ერთი დღით ადრე ოპოზიციური სპექტრი აქტიურდება. მართალია, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ახალი განაცხადები არ შესულა, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, პარტიები კვლავ ერთმანეთში საერთო ენის გამოძებნას ცდილობენ.

გუშინ საღამოს ვრცელდება ინფორმაცია, რომ ცალკე - "ახალი მემარჯვენეები" და "მრეწველები" და ცალკე - "ტრადიციონალისტები" და "ეროვნულ-დემოკრატები" კიდევ ერთხელ შეეცდებიან მოლაპარაკებათა მაგიდასთან დასხდომას. თუმცა, იქვე ისმის მოსაზრება, რომ ამ ერთიანი მემარჯვენე ბლოკის შექმნას წინააღმდეგობას "ტრადიციონალისტები" გაუწევენ იმის მიუხედავად, რომ "ეროვნულ-დემოკრატები" ამ გაერთიანების მომხრენი არიან.

გუშინ საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა მემარცხენე პარტიებთან დაკავშირებითაც. ასე მაგალითად, არ არის გამორიცხული, რამდენიმე "სოციალისტი" "ლეიბორისტთა" სიაში აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, "სოციალისტურ პარტიაში" არ გამორიცხავენ, რომ მათი რამდენიმე წევრი "ლეიბორისტული პარტიის" საარჩევნო სიაში ჩაეწეროს. ამასთან, "ლეიბორისტები" საკუთარ პარტიულ სიაში ეპატიჟებიან "სოციალისტების" არა რიგით წევრებს, არამედ მათ ლიდერებს - პარლამენტარებს ზაქარია ქუცნაშვილსა და ირაკლი მინდელს.

ამავე დროს, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, გუშინ თავად "სოციალისტები" შეეცადნენ, კვლავ ეწარმოებინათ მოლაპარაკებები მემარჯვენე პარტიებთან, თუმცა, ჯერჯერობით, უშედეგოდ.

24 საათი

"ჟენევის პროცესი მთავარი და ძირითადია"

17-18 თებერვალს გაერო-ს ჟენევის ოფისში გამართულ გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენელთა მაღალი დონის შეხვედრაზე საქართველოს ახალი ხელისუფლების სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების საკითხებში გოგა ხაინდრავამ დაადასტურა ქართული მხარის პოზიცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით ჟენევის პროცესი მთავარი და ძირითადია.

ხაინდრავას განცხადებით, ჟენევაში აფხაზური მხარის მონაწილეობის გარეშე ჩატარებული, რიგით მე-3 შეხვედრა მისთვის, როგორც ახლადდანიშნული სახელმწიფო მინისტრისთვის, გაცნობით ხასიათს ატარებდა. ამავდროულად, მისი თქმით, ქართულმა მხარემ, რომელსაც მასთან ერთად განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე წარმოადგენდა, "ნათლად და ერთმნიშვნელოვნად" განუცხადა კონფლიქტის მოგვარებაში ჩართული მეგობარი ქვეყნებისა და გაერო-ს წარმომადგენლებს, რომ საქართველო კვლავაც ერთგული რჩება სოჭის შეთანხმებებისა და ჟენევის ფორმატში ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს მოქმედებისა, მაგრამ უმთავრესი და ძირითადი მისთვის საქართველოში გაერო-ს გენმდივნის სპეცწარმომადგენლის ინიციატივით მიმდინარე ჟენევის მაღალი დონის შეხვედრებია.

როგორც ხაინდრავამ განაცხადა, ქართული მხარე, კონფლიქტის ზონაში სხვადასხვა ეკონომიკური პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობასთან ერთად, მნიშვნელოვნად მიიჩნევს საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობით მუშაობას აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრაზე, რომელიც, მისი თქმით, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში შეიძლება განიხილებოდეს.

ინტერ-პრესი

ოფიციოზი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 164

2004 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

დ. დონდუას ნატოსთან საქართველოს წარმომადგენლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს დავით დონდუა ნატოსთან საქართველოს წარმომადგენლის თანამდებობიდან.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 165

2004 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

დ. თევზაძის ნატოსთან საქართველოს წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს დავით თევზაძე ნატოსთან საქართველოს წარმომადგენლად.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 166

2004 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

ლ. ღოღობერიძის საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად, აგრეთვე "იუნესკო"-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ლანა ღოღობერიძე საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად, აგრეთვე "იუნესკო"-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 167

2004 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

მ. ფანჯიკიძის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს მაია ფანჯიკიძე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 168

2004 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

ნ. პარუნაშვილის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ნუგზარ პარუნაშვილი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 169

2004 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

ნ. ნიკოლოზიშვილის სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან "დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 170

2004 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

ნ. ნიკოლოზიშვილის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 171

2004 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

რ. გაჩეჩილაძის ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს რევაზ გაჩეჩილაძე ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან "დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 163

2004 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ.

საქართველოს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, საქართველოს საზღვაო სივრცეში დადგენილი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის აღკვეთისას გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და თავდადებისათვის, მხედრული ვალის პირნათლად მოხდისათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით და გამოეცხადოთ მადლობა:

ღირსების ორდენით:

კობა ბოჭორიშვილი - სასაზღვრო ძალების III რანგის კაპიტანი, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების უფროსი.

მედლით "მხედრული მამაცობისათვის":

ნიკოლოზ ცატავა - სასაზღვრო ძალების უფროსი ლეიტენანტი, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და კანონაღსრულების განყოფილების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ქვეგანყოფილების უფროსი.

ბადრი ივანაძე - სასაზღვრო ძალების უფროსი ლეიტენანტი, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სანაპირო დაცვის ფოთის განყოფილების (ბაზის) საპატრულო კატარღების ჯგუფის საპატრულო კატარღა "გრიფის" (პროექტი 1400 მ, ბორტის NP-203) მეთაური.

გენადი სვეტლიჩნი - სასაზღვრო ძალების ლეიტენანტი, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სანაპირო დაცვის ფოთის განყოფილების (ბაზის) საპატრულო კატარღების ჯგუფის საპატრულო-სამაშველო კატარღა "ცოტნე დადიანის" (ბორტის NP-210) მეთაური.

გოგა შელია - სასაზღვრო ძალების უმცროსი ლეიტენანტი, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების ფოთის განყოფილების მობილური რეაგირების ჯგუფის უფროსი.

მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის":

დავით შუბითიძე - სასაზღვრო ძალების II რანგის კაპიტანი, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციის სასწავლო პროცესების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

დავით ცინცაძე - სასაზღვრო ძალების კაპიტან-ლეიტენანტი, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სამმართველოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და კანონაღსრულების განყოფილების უფროსი.

ზაზა გელაძე - სასაზღვრო ძალების უფროსი ლეიტენანტი, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სადარაჯო ხომალდების ჯგუფის სადარაჯო ხომალდ "გიორგი თორელის" (პროექტი "205 პ", ბორტის NP-21) მეთაურის თანაშემწე.

მამუკა მოდებაძე - სასაზღვრო ძალების უფროსი ლეიტენანტი, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სანაპირო დაცვის ფოთის განყოფილების (ბაზის) საპატრულო კატარღების ჯგუფის საპატრულო-სამაშველო კატარღა "ცოტნე დადიანის" (ბორტის NP-210) მეთაურის თანაშემწე (მექანიკოსი).

გამოეცხადოთ მადლობა:

მერაბ ბერიძეს - სასაზღვრო ძალების III რანგის კაპიტანი, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სადარაჯო ხომალდების ჯგუფის სადარაჯო ხომალდ "გიორგი თორელის" (პროექტი "205 პ", ბორტის NP-21) მეთაურს.

თეიმურაზ ჭიტაძეს - სასაზღვრო ძალების უფროს ლეიტენანტს, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სანაპირო დაცვის აფხაზეთის რეგიონის განყოფილების (ბაზის) უფროს ოფიცერს ბაზირების დარგში.

გიორგი წითელაშვილს - სასაზღვრო ძალების ლეიტენანტს, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და კანონაღსრულების განყოფილების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ქვეგანყოფილების დაზვერვის ოფიცერს.

გიორგი მამფორიას - სასაზღვრო ძალების ლეიტენანტს, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და კანონაღსრულების განყოფილების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ქვეგანყოფილების დაზვერვის ოფიცერს.

თეიმურაზ ხვიჩიას - სასაზღვრო ძალების ლეიტენანტს, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სანაპირო დაცვის აჭარის რეგიონის განყოფილების (ბაზის) საპატრულო კატარღების ჯგუფის საპატრულო-სამაშველო კატარღა "გენერალი მაზნიაშვილის" (ბორტის NP-211) მეთაურს.

ზაზა ნიკოლაიშვილს - სასაზღვრო ძალების უმცროს ლეიტენანტს, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სანაპირო დაცვის ფოთის განყოფილების (ბაზის) საპატრულო კატარღების ჯგუფის საპატრულო კატარღა "გრიფის" (პროექტი 1400 მ, ბორტის NP-203) მეთაურის თანაშემწეს (მექანიკოსი).

გელა ნადარეიშვილს - სასაზღვრო ძალების უმცროს მიჩმანს, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სანაპირო დაცვის ფოთის განყოფილების (ბაზის) საპატრულო კატარღების ჯგუფის საპატრულო კატარღა "გრიფის" (პროექტი 1400 მ, ბორტის NP-203) მესაჭე-მესიგნალეს.

გოჩა ზოსიძეს - სასაზღვრო ძალების უმცროს მიჩმანს, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების სანაპირო დაცვის ფოთის განყოფილების (ბაზის) საპატრულო კატარღების ჯგუფის საპატრულო-სამაშველო კატარღა "ცოტნე დადიანის" (ბორტის NP-210) მოტორისტს.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 21

2004 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

ვ. ჩხეიძის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ვალერი ჩხეიძე საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

ზურაბ ჟვანია

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

პრეზიდენტის მუქარა და დაპირება

პირველი გვერდიდან

მე დავავალე დღეს პროკურორს, შინაგან საქმეთა მინისტრს: გამოიძიონ ყველაფერი რაც ბათუმში მოხდა. იქ არის კრიმინალების რაღაც ჯგუფი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მათ ყველაფერი ეპატიებათ. მინდა, მათ ვუთხრა: არაფერი არ გეპატიებათ! სათითაოდ გავუსწორდებით ყველა იმ ადამიანს, ვინც ოფისებს წვავს, ადამიანებს სცემს. გავუსწორდები არა პირადად, არამედ - კანონის ძალით. მივუჩენთ მათ ადგილს, სადაც ეკუთვნით კანონის მიხედვით... მე კონსტრუქციული ვარ მხოლოდ იმ საკითხებში, რაც ეხება ძალიან ფაქიზ ურთიერთობას ცენტრსა და რეგიონს შორის, მაგრამ ადამიანების ჩაქუჩებით ცემის საკითხში კონსტრუქციული ვერ ვიქნები. ჩვენ გვაქვს ყველა იურიდიული მექანიზმი, რომ ამ ხალხს პასუხი ვაგებინოთ, ჩვენ აღარ ვართ უუნარო ხელისუფლება. მე გამოვრიცხავ შეიარაღებული ძალის გამოყენებას, მაგრამ კონკრეტული ადამიანების დასაკავებლად ყველა კანონიერ საშუალებას გამოვიყენებთ. აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ შეიარაღებულ ძალას არ გამოვიყენებთ. თუმცა, მინდა ყველას ვუთხრა, რომ ასეთი ძალა საქართველოს აქვს, მაგრამ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ იმიტომ, რომ აჭარის მოსახლეობამ თავად უნდა გაარკვიოს მდგომარეობა, ოღონდ, საქართველოს კანონების შესაბამისად.

ჩვენ ვიცით კონკრეტული გვარები და სახელები. ეს არის აჭარის უშიშიშროების მინისტრის მოადგილესთან მოქმედი კრიმინალური დაჯგუფება, რომელსაც ვინმე გოგიტიძე კურირებს. მე მივეცი დავალება უშიშროების მინისტრს, რომ ეს პიროვნება დაუყოვნებლივ გათავისუფლებულ იქნეს თანამდებობიდან. საერთოდ, აჭარის უშიშროების სამინისტროს არსებობა ჩემთვის გაუგებარია იმიტომ, რომ კონსტიტუციით ავტონომიას არა აქვს უფლება, ჰქონდეს უშიშროების სამინისტრო და ეს საკითხიც უახლოეს დღეებში გასარკვევია.

ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოში მთავრობა არც ერთ ტელევიზიას არ დახურავს!

თუ ხვალ ნებისმიერი განგსტერი დადგამს ტელეკამერას, ამ ტელეკამერის წინ დადგამს ორ სკამს, იყიდის ანტენას და იტყვის, რომ მისი უფლებების შელახვა - ეს არის თავისუფალი პრესის შელახვა, ასე ქვეყანა არ აშენდება. თავისუფალი ტელევიზია არის ხელშეუხებელი. საქართველოში არც ერთი ტელევიზია ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში არ დაიხურება - მე შემიძლია, ეს მყარად აღვნიშნო. როგორც არ უნდა მლანძღონ, ხალხმა სიმართლე მაინც იცის. მანამდე შევარდნაძის მთავრობა მის მიერ კონტროლირებადი არხების საშუალებით მლანძღავდა, მაგრამ ამით არაფერი დამკლებია. პრესის თავისუფლებას არაფერი არ ემუქრება. მაგრამ, აი, წარმოიდგინეთ რა სიტუაცია შეიქმნა საქართველოში: ნებისმიერი დიდი დაჯგუფება არა მხოლოდ არ იხდის გადასახადებს, არამედ ამ გადაუხდელი გადასახადებით, ხშირ შემთხვევაში - ნაძარცვი ფულით, იმითი, რომ კონკურენტებს ბაზრიდან დაუშვებელი მეთოდებით – ტერორით, რეკეტით, დაშინებით აგდებს, ქმნის სტრუქტურას, შემდეგ ყიდულობს დეპუტატებს, თავად ხდება დეპუტატი და ხდება ხელშეუხებელი.

ყველა იმ ადამიანს, რომელსაც ახალ სიაში შევიყვან, წინასწარ მოვთხოვ დაწერონ დეკლარაცია, რომ ისინი სადეპუტატო იმუნიტეტის გაუქმებას მხარს უჭერენ.

ოქუაშვილის კონკრეტულ სიტუაციაში საუბარია 12 მილიონ ლარზე. ეს ერთი ეპიზოდია. საბოლოო ჯამში კი პრეტენზია 30 მილიონამდე ადის, როგორც მეუბნებიან. ეს არის საქართველოში ყველა დასაქმებული ადამიანის ორი თვის ხელფასი. აი, თქვენთვის პასუხი კითხვაზე – სად წავიდა ხელფასები და პენსიები?

ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ ხელფასები და პენსიები დროზე გაიცემა, მაგრამ ეს არის მიზერული თანხები. ჩვენ ვაპირებთ უახლოეს მომავალში პენსიების გაზრდას, მაგრამ საიდან უნდა გაიზარდოს პენსია? ჰაერიდან თანხები არ მოვა. მე ვაპირებ, უახლოეს მომავალში დავამყარო საგადასახადო დისციპლინა და ასე გავზარდო პენსიები. ეს ყველაფერი ამისთვის კეთდება.

"მაგთიკომი" - გამჭვირვალე ბიზნესი?!

რაც შეეხება პრეზიდენტის სიძეს. საუბარი იყო იმაზე, რომ მან გადასახადები არ გადაიხადა. გამოდის ტელევიზიით ქალბატონი შევარდნაძე და აცხადებს, რომ პრეზიდენტის ოჯახი დევნას განიცდის... ნებისმიერ ადამიანს ქუჩაში რომ ჰკითხოთ, ინატრებდა, რომ მასზე ასეთი დევნა ხორციელდებოდეს. ამ ოჯახის პირადი ქონება 350 მილიონი დოლარია - ასეა შეფასებული. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ეს კაცი, ჯოხთაბერიძე ათი წლის წინ ტელევიზიის ჩვეულებრივი თანამშრომელი იყო. დღეს მისი ქონება 350 მილიონი დოლარია. დღეს ის დადის მანქანით, რომელიც შეფასებულია მილიონ ორასი ათას დოლარად. ეს არის "მერსედეს-მაიბახი", რომელიც მსოფლიოში ოც კაცს თუ ჰყავს. რომ ამბობენ, "მაგთი" გამჭვირვალე კომპანიააო – მისი ლიცენზია ინჯიამ თავის დროზე 40 ლარად გაყიდა, მაშინ, როცა უზბეკეთმა ასეთი ლიცენზია 60 მილიონ დოლარად გაყიდა. სად არის ის 60 მილიონი, რაც პენსიებზე და ხელფასებზე უნდა დახარჯულიყო? რა გამჭვირვალე ბიზნესზეა ლაპარაკი? ეს ფული, რეალურად, ამ ოჯახის მიერ მონოპოლიზირებულია საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე.

მიხეილ სააკაშვილი.

მოპარული ოქრო

მინდა შევეხო იმასაც, რაც ხდებოდა მადნეულში. დღეს იქ უშიშროების მინისტრი ჩავიდა. ბევრს არ სიამოვნებს და, სიმართლე გითხრათ, მეც არ მსიამოვნებს ავტომატიანი სპეცრაზმელების ყურება, თუმცა კარგ საქმეს აკეთებენ... მადნეული არის სახელმწიფო ოქროს მომპოვებელი საწარმო, რომელიც თითოეულ ქართველს ეკუთვნის. ამ საწარმოში დაინიშნა მამალაძის კაცი - ლობჟანიძე და ბოლო ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში 40 მილიონი დოლარი მარტო ამ ოქროს ექსპორტზეა მოპარული. ეს საწარმო ტელევიზიითაც უშვებს რეკლამას, რაც საკმაოდ ძვირია – აი, ჩვენ რა კარგად ვმუშაობთო. ეს ხომ თითოეული პენსიონერის ფულია. რამდენიმე ტონა ოქრო პირდაპირ რევოლუციის შემდეგ მოიპარეს, როცა ჩვენ ამის კონტროლის თავი არ გვქონდა. შემდეგ მეორე პარტია ოქრო აეროპორტის გზაზე დავაკავეთ. ახლა ეს საწარმო, ნაყიდი მოსამართლის მეშვეობით, ორი თვის განმავლობაში არ უშვებდა აღმასრულებლებს. ლობჟანიძე შვეიცარიაშია და ეგონა, იქ ვერ მივწვდებოდით. ნურას უკაცრავად. გუშინ იგი შვეიცარიის პროკურატურამ დააკავა. ეს შეეხება ყველას - მათაც, ვინც რუსეთში გაიქცა. არც ერთი ქვეყანა კორუფციონერს ხელს არ დააფარებს, ეს მსოფლიოს საერთო სენია და მას ამერიკაც, შვეიცარიაც და რუსეთიც ერთად ებრძვის. ამიტომ, მე სადმე გაქცევას არავის ვურჩევდი.

"შეავსეთ ობიექტური საგადასახადო დეკლარაცია და არავინ შეგეხებათ"

ჩემი მთავარი მიზანი, იმასთან ერთად, რომ კორუმპირებული ჩინოვნიკები დავსაჯოთ, არის ბიზნესის ხელშეწყობა. ჩემი ამოცანაა, რომ ზაფხულისთვის, მაქსიმუმ, სექტემბრისთვის ისეთი საგადასახადო რეჟიმი მოვამზადოთ, რომელიც მოგვცემს საშუალებას, საქართველოში გადასახადები შემცირდეს. ეს არის ის, რასაც მე ჩვენს ხალხს დავპირდი. მაგრამ ამისათვის საგადასახადო დისციპლინა უნდა დამყარდეს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა გადასახადებია ამოღებული, რა არის ამოღებადი, რას ვერ ამოვიღებთ და რა გადასახადებია შესაცვლელი. მე ვეუბნები ყველა ბიზნესმენს: პირველ აპრილამდე არის საგადასახადო ორგანოებში დეკლარაციების წარდგენის ვადა. ყველა ბიზნესმენი, ვინც პირველ აპრილამდე ობიექტურ საგადასახადო დეკლარაციას წარადგენს, თუნდაც მრავალი წლის დამალულ გადასახადებს გაუკეთებს ლეგალიზებას, იტყვის, რომ მზად არის, ახლა გადაიხადოს გადასახადები, მე ვაძლევ ჩემს საპრეზიდენტო სიტყვას (და თუ საჭირო გახდა კანონში ცვლილება, ამასაც გავაკეთებ), რომ ყველანაირი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებული იქნება და არავინ მას ხელს არ ახლებს, არც ერთი სისხლის სამართლებრივი და სხვა დევნის ორგანო. ეს არის ერთმნიშვნელოვანი, მე ამ სიტყვას არ გადავალ. რამე გაქვთ დამალული? გააკეთეთ ლეგალიზაცია, ჩაწერეთ: ამდენი და ამდენი გადასახადი მქონდა გადასახდელი, გადაიხადეთ და პირობას გაძლევთ, რომ შემდეგი ათი წელი საერთოდ არავინ არ შეგეხებათ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არის მათთვის, ვინც დამალული გადასახადების ლეგალიზებას მოახდენს.

მტკივნეული პროცესი, რომელიც ხელისუფლებას წინ დახვდება

პირველი გვერდიდან

შემცირების ბრძანებას აძლევს, რა თქმა უნდა, წინ დახვდება. თუმცა, სამოქალაქო თავდაცვის მინისტრის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ადამიანურად ძალიან ძნელი იყო ამ ნაბიჯის გადადგმა, იგი იძლებული გახდა, ბევრი მაღალი რანგის ოფიცრისათვის თანამდებობის დატოვება მოეთხოვა.

"ძალიან რთული მომენტია! მე მესმის იმ ხალხის, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა შეიარაღებული ძალების განვითარებაში. უბრალოდ, ჩემი მიდგომა იყო და არის ასეთი: მე ვუხსნი ყველას, რომ ქვეყანას დღეს სჭირდება სულ სხვა მიდგომა და ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა, თქვენ ადგილი დაგეთმოთ ახალგაზრდებისათვის. მე, სამწუხაროდ, ყველას ვერ შევხვდი ჯერ, მაგრამ როდესაც დავლაგდებით, მე ყველას შევხვდები, ვისაც მადლობის თქმა ეკუთვნის. ხოლო, რაც შეეხება იმათ, ვინც თანამდებობა საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენა, მათ უნდა დაელაპარაკოს ჩემი კოლეგა ირაკლი ოქრუაშვილი."

გელა ბეჟუაშვილის თქმით, შემცირების დროს მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული სოციალური დაცვის გარანტიები, მაგრამ სამხედრო უწყებებში დაწყებულ საკადრო რეფორმას პირველი ოპონენტი გამოუჩნდა, სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართალი და თავისუფლების" სახით. ამ არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ირაკლი სესიაშვილის თქმით, მათ უკავშირდება ბევრი სამხედრო და სამოქალაქო პირი, რომლებსაც აიძულებენ, დაწერონ განცხადება სამსახურიდან საკუთარი სურვილით წასვლის შესახებ. თუ რატომ, ამას ირაკლი სესიაშვილი ასე განმარტავს:

"როდესაც სამხედო უწყების პერსონალი საკუთარი სურვილით წერს განცხადებას, ისინი ვერანაირ კომპენსაციას ვერ მიიღებენ, რადგან სამსახურიდან საკუთარი სურვილით წასულებად ითვლებიან. იმ შემთხვევაში, თუ ეს თანამშრომლები არ დაწერენ განცხადებას, ცხადია, მათ ეკუთვნით ყველა ის ფულადი კომპენსაცია, რაც დადგენილია კანონით. ამიტომ ხდება ამ ადამიანების უფლებების უგულებელყოფა და "მოტყუებით" (რა თქმა უნდა, ბრჭყალებში) სახლებში გაშვება."

ახალი მინისტრის პირველი პრესკონფერენცია.

თავდაცვის სამინისტროში არ ადასტურებენ ასეთ ინფორმაციას. მინისტრის აპარატის უფროსის **ლევან ჭოლაძის** თქმით, ვინაიდან სულ მალე საბოლოოდ უნდა გაიყოს თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ფუნქციები, საჭიროა სამხედრო და სამოქალაქო კადრების ხელახალი სელექცია. თანაც, თავდაცვის მინისტრის აპარატში მინიმალური სამხედრო საშტატო თანამდებობა დარჩება. სამოქალაქო ელემენტი გამოიკვეთება იმ სამსახურებშიც, სადაც, ძირითადად, სამხედრო პერსონალი იყო დასაქმებული. ბევრ სამხედრო პირს უკვე შესთავაზეს კიდეც სამოაქალაქო შტატზე სამსახურის გაგრძელება, რასაც ერთადერთი მინუსი ისა აქვს, რომ ჯერჯეროზით სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის ანაზღაურება, კვლავ სამხედროფორმიანთა სასარგებლოდ არის გადაჭრილი.

პარასკევსვე გელა ბეჟუაშვილმა კიდევ ერთი ნოვაციის შესახებ ამცნო საზოგადოებას: მინისტრის ბრძანებით, 1 მარტიდან სამხედრო, ე.წ. შავი, ნომრები ჩამოერთმევა ყველა კერძო პირს, ხოლო სპეციალური ნომრებით გენერალური შტაბისა და თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე სამსახურებრივი მანქანა იმოძრავებს.

აღსანიშნავია, რომ ეს ე.წ. შავი ნომრები გარკვეულ პრივილეგიებს აძლევდა მის მფლობელს. მათ შეეძლოთ ნებისმიერი ტვირთი დაუბრკოლებლად გადაეტანათ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

გა(ნ)ახლებული "მრეწველები" საარჩევნო უღელში შეებნენ

საჯაროდ დადებულ პირობას ქართველი პოლიტიკოსებისთვის ჩალის ფასი აქვს. მეორე წუთს ისინი საკუთარი ნათქვამის საპირისპიროდ მოქმედებენ; მაგალითად, 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ "ახალმა მემარჯვენეებმა" ანტიშევარდნაძისტულ ოპოზიციურ კოალიციაში შესვლაზე უარი თქვეს და ეს იმით ახსნეს, რომ "საკუთარი სახის შენარჩუნება სურდათ", მაგრამ ამ განცხადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ გაირკვა, რომ პარტიული სუვერენიტეტის დაკარგვა "ახლებს" ნაკლებად აღელვებდათ; მეტიც, მათი ლიდერი დავით გამყრელიძე დღეს დანანებით აცხადებს, რომ "ლეიბორისტებთან, ტრადიციონალისტებთან და სოციალისტებთან დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნის მიზნით გამართული მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა". ჰოდა, რადგან ეულად ყოფნა აღარ სურთ, "ახლებმა" უღლის გამწევად "მრეწველები" შეარჩიეს და მათთან საარჩევნო ალიანსი გააფორმეს.

გიორგი ასანიშვილი

ორი მხარე, "ახლებიცა" და "მრეწველებიც", დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ ისინი მონათესავე ძალები არიან როგორც იდეოლოგიურად, ისე მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით და მათი გაერთიანება დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. ახლად შექმნილი ალიანსის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ერთხმად ადასტურებს, რომ მათი კავშირი საარჩევნო ბლოკის ჩარჩოებს აუცილებლად გასცდება და ორი პარტიის თანდათანობითი შერწყმით დასრულდება.

არადა, სულ ცოტა ხნის წინათ "მრეწველები" "ახლებს" სათოფეზე არ ეკარებოდნენ. ისინი დავით გამყრელიძისა და პაატა შევარდნაძის მეგობრობის გამო, "ახლების" ლიდერს ყოფილ პრეზიდენტთან დაახლოებულ პირად აცხადებდნენ და მას "ჭეშმარიტ ოპოზიციონერად" არ აღიარებდნენ. სხვათა შორის, გუშინ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ზურაბ ტყემალაძემაც დაადასტურა, რომ მათ გაერთიენებას ადრე სწორედ ასეთი "ეჭვები" უშლიდა ხელს.

ისე, "მრეწველების" ოპოზიციონერობაც არასოდეს ყოფილა ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტება. განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც ედუარდ შევარდნაძემ გოგი თოფაძეს რამდენიმე მილიონი ლარის "ჩამოყაჭვა" მოსთხოვა. ამ დროიდან მოყოლებული, "მრეწველები" ყოველთვის ერთგულად აძლევდნენ ხმას სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებასა თუ ხელისუფლებისთვის სასურველ სხვა გადაწყვეტილებებს.

გუშინ კი "ახლები" და "მრეწველები" წარსულზე ნაკლებად საუბრობდნენ. მათი ყურადღება უფრო მომავალზე, კერძოდ კი, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებზე იყო გადატანილი.

ორი სუბიექტის გაერთიანების პროცესში მთავარ სირთულეს, როგორც წესი, საარჩევნო სიებში კვოტებზე შეთანხმება წარმოადგენს. "მრეწველებისა" და "ახალი მემარჯვენეების" თავკაცები აღნიშნავენ, რომ კვოტები მათ პრობლემას არ შეუქმნის, რადგან საარჩევნო სიის (მას სათავეში გოგი თოფაძე ჩაუდგება) შედგენის დროს სრული პარიტეტი იქნება დაცული.

"მრეწველებს" მემარჯვენე ბანაკის ფლაგმანობაზე აქვთ პრეტენზია. **"ჩვენი ძალის დამადასტურებელია ისიც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხმების 80 პროცენტი მივიღეთ,"** - რამდენჯერმე ითქვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე; თუმცა, არ ითქვა ის, რომ მათ ეს ხმები, ძირითადად, პერიფერიებში აიღეს, თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში კი (ქუთაისის გამოკლებით) "ხეირი" ვერ ნახეს. არც ის ითქვა, რომ 2002 წლის მუნიციპალური არჩევნების დროს ისინი შევარდნაძის კეთილგანწყობით სარგებლობდნენ (ყოველ შემთხვევაში, არჩევნების დროს არ დაუჩაგრავთ) და თანაც, მას შემდეგ ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა... საკუთარ შესაძლებლობებში ღრმად დარწმუნებულები რომ იყვნენ, "ახლები" და "მრეწველები" გუშინ მრავალჯერ არ გაიმეორებდნენ - კარი ღიაა და თუ ვინმე (?!) შემოერთებას მოინდომებს, ამას მხოლოდ მივესალმებითო.

ამ "ვინმეში", უპირველეს ყოვლისა, ედპ-ტრადიციონალისტების კოალიცია იგულისხმება. **"მათთან გაერთიანება იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ სუფრას გაგვიშლიან,"** - აცხადებს გოგი თოფაძე.

სუფრის გაშლა და მასთან მოლხენა ამ კოალიციის ლიდერის, აკაკი ასათიანისთვის უცხო ხილი ნამდვილად არ არის, მაგრამ ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთი პურ-მარილით კონსენსუსი მოიძებნოს. ოპოზიციას სხვა სენი სჭირს: მათ ფართომასშტაბიან გაერთიანებას პრობლემებს, ძირითადად, პარტიული ლიდერების პიროვნული ამბიციები უქმნის. თუმცა, დავით გამყრელიძე თავის ამბიციურობას უარყოფს და აცხადებს, რომ "ტრადიციონალისტებთან" მოლაპარაკებები სწორედ ამ უკანასკნელთა ინიციატივით შეწყდა.

"ახლებისა" და "მრეწველების" საარჩევნო კოალიციაში არც რეზო შავიშვილი და მისი ლიბერალური პარტია იქნება. დავით გამყრელიძის თქმით, კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს გაერთიანებაში შესვლა შესთავაზეს, მაგრამ მან 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე საერთოდ უარი თქვა.

"ოპოზიციური ძალებისთვის დღეს ელექტორატი თითქმის აღარ დარჩა, მაგრამ მაინც მოიძებნება სეგმენტი, რომელიც დღევანდელი ხელისუფლების გამაწონასწორებელი იქნება," - ერთდროულად პესიმიზმსაც გამოხატავს გამყრელიძე და ოპტიმიზმსაც.

რაც შეეხება წინასაარჩევნო კამპანიას, იმავე გამყრელიძის განცხადებით, იგი საკმაოდ ზომიერი იქნება, რადგან ზედიზედ ორი არჩევნების გამართვა ფინანსურად ძალიან ძნელია.

"მრეწველების" და "ახლების" გაერთიანებული გუნდი.

ქირავდება ქალაქის ცენტრში
პრესტიჟულ ადგილას
400 კვ.მ. ფართის ტერიტორია.
საუკეთესოა რესტორნის, ღამის
კლუბის ან სხვა გასართობი
საქმიანობისათვის.
ქალაქის ცენტრში 400 კვ.მ
ინფორმაციისათვის დარეკეთ: 893 200035

შემდეგი გაჩერება - ქუთაისი

გსეკ-ი რეგიონებში ებრძვის ცნებას: "კომერციული დენი"

მაია ურუშაძე

"24 საათი" უკვე წერდა, რომ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" პატარ-პატარა სადისტრიბუციო კომპანიებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს. გსეკ-ის ამერიკელი მმართველები ღიად აცხადებენ, რომ მათთვის მიუღებელია, როცა ე.წ. "მცირე ლიცენზიანტები", ანუ შედარებით პატარა მოცულობის კომპანიები მოსახლეობის ელექტრომომარაგებას სახელმწიფოსგან იჯარით აღებული ელექტროქსელების საშუალებით ახორციელებენ, ამით მოგებას ნახულობენ და თან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდაც არ სურთ.

ბუნებრივია, ენერგოკომპანიის ასეთი პოლიტიკა "მცირე ლიცენზიანტების" საფუძვლიან აღშფოთებას იწვევს. საქმე ისაა, რომ ენერგოსადისტრიბუციო ბიზნესი "შავი სქემების" გამოყენების გარეშეც საკმაოდ მომგებიანია. ოღონდ, თუ ამ ბიზნესს "პატრონი არ ჰყავს", მოგება მხოლოდ ქაღალდზე რჩება. ბიზნესის პატრონობაც სწორედ ისაა, როცა მცირე ლიცენზიანტები ახერხებენ და საბითუმო ბაზარს შეგროვებულ თანხებს "უტეხავენ" – ზოგი იმ მოტივით, რომ ეს თანხები "განვითარებაზე იხარჯება", ზოგიც იმ მოტივით, რომ თანხების ამოღება დაბალია. თუმცა, ზოგი ასეთი კომპანია იმდენად თავხედდება, რომ მიტაცებული თანხების გსეკ-ისთვის, ან "სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის" "აკიდებას" ცდილობს და აცხადებს, რომ მას გაცილებით ნაკლები დენი აქვს მიღებული, ვიდრე ელექტროსისტემის მრიცხველზე ფიქსირდება.

"თუ არის ისეთი მცირე ლიცენზიანტი, რომელიც სრულად ასრულებს თავის პირობებს და სრული ტექნიკური აღჭურვილობა გააჩნია იმისათვის, რომ მოამარაგოს აბონენტები ელექტროენერგიით, ჩვენ მივესალმებით ამას," – ასეთია გსეკ-ის გენერალური დირექტორის დინ უაითისა და ენერგოსექტორის დონორების ოფიციალური პოზიცია. მათი განმარტებით, "შავი სქემებით" მომუშავე პატარა კომპანიები იმდენ ზიანს აყენებენ ენერგოსისტემას, რომ დღეს დარგის კურატორები ზოგადად მათი არსებობის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

გსეკ-მა ბრძოლა რუსთავიდან დაიწყო. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა. დღეს რუსთაველები კომპანიას ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაში ადანაშაულებენ და დახმარებისთვის ენერგეტიკაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურს მიმართავენ. მათი განმარტებით, ქალაქის თითქმის მეოთხედი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი, "რელასი" კი არანაირ ზომებს არ იღებს იმისთვის, რომ მოსახლეობა ელექტროენერგიით უზრუნველყოს. არადა, რუსთავში ენერგოკომპანია გამრიცხველიანებას აწარმოებს და დენს მხოლოდ იმ უბნებს აწვდის, სადაც ეს პროცესი დასრულებულია. ამასთან, გსეკ-ის მიერ, ჯერჯერობით, უმრიცხველოდ დატოვებული მოსახლეობის ნაწილი სწორედ ამ "მცირე ლიცენზიანტების" მომსახურებით სარგებლობს. გსეკ-ში აცხადებენ, რომ გამრიცხველიანების პროცესს სწორედ ეს უშლის ხელს. "მცირე ლიცენზიანტების" აბონენტები კი მიიჩნევენ, რომ პირიქით – მათ იმიტომ სჭირდებათ სხვისი მომსახურება, რომ გსეკ-მა მათი დენით უზრუნველყოფა ვერ მოახერხა. **"მიუხედავად იმისა, რომ "კომერციული დენის" საფასური 14 თეთრია, მოსახლეობას ურჩევნია ეს საფასური გადაიხადოს, რადგან ხედავს, რომ კომერციული ხაზები 24-საათიანი გრაფიკით მარაგდება,"** – აცხადებენ რუსთავში.

მცირე ენერგოკომპანიების წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიაში წინააღმდეგობას გსეკ-ის მენეჯერები ელოდნენ და, შესაბამისად, მომზადებულებიც შეხვდნენ. "მცირე ლიცენზიანტებთან" ბრძოლის გაგრძელებას ენერგოკომპანია ქუთაისში გეგმავს, ამიტომაც გსეკ-ის გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა ამ კომპანიებთან ბრძოლაში თანადგომის პირობა გუშინ უშუალოდ იმერეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის დავით მუმლაძისგან მიიღო. ცნობისათვის: ქუთაისში სულ ექვსი ლიცენზირებული კერძო კომპანია მუშაობს, მაგრამ მათი მომსახურებით ქალაქის საკმაოდ დიდი ნაწილი სარგებლობს.

რუსთავში, ჯერჯერობით, გსეკ-ის მიერ აღებული გეზის დისკრედიტაცია ვერ მოახერხეს. მოახერხებენ თუ არა ამას ქუთაისში, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად და კანონიერად წარმართავს მცირე კომპანიებთან ბრძოლას უმსხვილესი სადისტრიბუციო გიგანტი. ყოველ შემთხვევაში, როგორც წესი, ბაზრისათვის ბრძოლაში გამარჯვება ყოველთვის მსხვილი კომპანიების მხარეზე რჩება.

„სარაჯიშვილი 155" გრანპრის მფლობელი გახდა

კომპანია სარაჯიშვილის პროდუქცია წელს უკვე მეხუთედ გახდა გრანპრის მფლობელი. მოსკოვში გამართულ საერთაშორისო გამოფენა-კონკურსზე – "პროდექსპო 2004" - კომპანიის მიერ წარდგენილმა ოთხივე ნაწარმმა სხვადასხვა ნომინაციებში სერიოზული აღიარება მოიპოვა. დავით სარაჯიშვილის 155 წლისთავთან დაკავშირებით ჩამოსხმული ბრენდი "სარაჯიშვილი 155", წელს კონკურსის გრანპრის მფლობელი გახდა. კონიაკებს "გრემი" და "ენისელი" ოქროს მედლები ხვდა წილად, ხოლო ახლად ჩამოსხმული ბრენდი "XX საუკუნე" სპეციალური ჯილდოს - "ოქროს ვარსკვლავის" ნომინანტი გახდა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კონკურსი "პროდექსპო", რომელშიც მონაწილეობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები ღებულობენ, წელს უკვე მეექვსედ ჩატარდა, ამჯერად - მოსკოვში. მთელ ევროპაში ხსენებულ კონკურში მონაწილეობის მიღება, მით უმეტეს - გამარჯვების მოპოვება, ნებისმიერი მეწარმისთვის პრესტიჟულია. კონკურსში მონაწილეობას ღებულობენ საკვები და სასმელი პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები. წელს "პროდექსპო 2004"-ზე წარმოდგენილი იყო 200-ზე მეტი ალკოჰოლური სასმელი მსოფლიოს 30-ზე მეტი ღვინის მწარმოებელი ქვეყნიდან. "პროდექსპო 2004-ში" წელს მონაწილეობას ღებულობდნენ ფრანგული, უკრაინული, მოლდავური და სხვა მეღვინეობით განთქმული ქვეყნის ღვინის ცნობილი მარკები.

ქართული კონიაკი 155 წლისაა.

წლევანდელ კონკურსზე "სარაჯიშვილი 155-მა" განსაკუთრებული მოწონება და აღიარება მოიპოვა. კომპანიის ხარისხის დირექტორის დავით აბზიანიძის თქმით, "სარაჯიშვილი 155", რომელიც გაყიდვის ქსელში ახლო მომავალში გამოჩნდება, დამზადებულია 100 წლის დაძველების სპირტით (საკონიაკო მასალა).

კომპანიის ხარისხის დირექტორის დავით აბზიანიძის თქმით, სარაჯიშვილის მარკის ალკოჰოლური სასმელები წლევანდლამდე უკვე ხუთჯერ გახდა გრანპრიზის ლაურეატი.

სხვათა შორის, "სარაჯიშვილის" სამარკო ნაწარმის უმრავლესობა უძველესი საკონიაკო მასალით არის დამზადებული. კომპანიის საცავებში დღემდე შემორჩენილია ის სპირტი, რომლის დამზადებაში უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული თავად დავით სარაჯიშვილს. საცავში არსებული 16.000-ზე მეტი მუხის კასრიდან ერთ-ერთში 1893 წელს დამზადებული სპირტი ინახება. რაც, კომპანიის ხელმძღვანელობის რწმენით, მთელ ევროპაში უძველესი საკონიაკო მასალაა საფრანგეთის ერთ-ერთ საცავში არსებულის შემდეგ. ამ უნიკალურ, შეიძლება ითქვას - სამუზეუმო ექსპონატის "შექმნაში" დავით სარაჯიშვილის ხელიც ურევია. 111-წლიანი სპირტით სავსე მუხის ხსენებული კასრი კომპანიის განსაკუთრებული სიამაყის საგანია, რომლის დაჭაშნიკების საშუალება მხოლოდ განსაკუთრებულ სტუმრებს ეძლევათ.

კომპანიის ხელმძღვანელობა ამაყობს მოპოვებული გამარჯვებით და აცხადებს, რომ მომავალში მომხმარებლებს კიდევ მრავალ მაღალხარისხოვან და საინტერესო ნაწარმს შესთავაზებენ.

24 საათი

ჩუბაისისთვის ევროპისკენ მიმავალი გვირაბის ბოლო გამოჩნდა

დიანა ჩაჩუა

კომპანია "ინტერ რაო ეესი" აპრილში ორი მოლდავური ელექტროგადამამუშავებელი კომპანიის - "რედ ნორდისა" და "რედ ნორდ ვესტის" შესყიდვისათვის გამოცხადებულ ტენდერში მიიღებს მონაწილეობას. შედეგად, "რაო ეეს როსიი" კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდება მოლდავეთის ელექტროგამანაწილებელ ქსელებს, რაც მას ევროპისაკენ ნანატრ კარებს გაუხსნის. ანალიტიკოსების აზრით, "რაო ეეს როსიისთვის" მოლდავეთში შესვლა იმით უნდა იყოს საინტერესო, რომ ეს ფაქტი კომპანიისათვის ბალკანეთის ქვეყნებში "გამავალ ხიდად" განიხილება.

აპრილის ტენდრში გამარჯვებამ "რაო ეეს როსიის" შეიძლება ის წყენა გაუქარვოს, რომელიც ერთი წლის წინ ბულგარეთმა მიაყენა, როცა იგი შვიდი ადგილობრივი ენრგოგამანაწილებელი კომპანიის ყიდვის აუქციონზე არ იქნა დაშვებული .

ცოტა ხნის წინ "რაო ეეს როსიიმ" და "გაზპრომმა" მოლდავეთს დნესტრისპირეთის თბოელექტროსადგური (სრესი) მისთვის მიწოდებული გაზის ანგარიშში (ე.ი. დაგროვილი ვალების სანაცვლოდ) მოსთხოვეს, მაგრამ მტკიცე უარი მიიღეს.

თუმცა, ამჯერად საქმე სხვაგვარადაა: არც ისე შორეულ წარსულში ჩუბაისმა განაცხადა, რომ "რაო ეესი" მოლდავეთიდან რუმინეთში ექსპორტის პროექტზე მუშაობს. იგი აშკარად გულისხმობდა მოლდავეთის ორ ენერგოგამანაწილებელ კომპანიას – "რედ ნორდს" და "რედ ნორდ ვესტს".

ცნობისათვის: რუსულ კომპანიასთან ერთად ტენდერში ამერიკული კომპანია "ეიეს სილკ როუდიც" მიიღებს მონაწილეობას.

"მადნეულის" გენერალურ დირექტორად ირაკლი მგალობლიშვილის დანიშვნის შემდეგ "გლენკორმა" "მადნეულს" 1.2 მილიონი დოლარი გადაურიცხა

როგორც "მადნეულში" განაცხადეს, "გლენკორმა" "მადნეულს", წინასწარი გადახდის პირობით, 1.2 მილიონი დოლარი გადმოურიცხა. გარდა ამისა, ინვესტორი მიმდინარე წელს საწარმოში სერიოზული ინვესტიციების დაბანდებას გეგმავს. "უახლოეს მომავალში გაიმართება მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობასთან ინვესტიციების განხორციელების პირობებსა და ფორმებზე," - განაცხადეს კომპანიაში.

საწარმოს დირექტორად მოსულ მგალობლიშვილს მოქმედების კონკრეტული პროგრამა აქვს შემუშავებული და აპირებს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეაბილიტაციის გეგმა საქართველოს მთავრობას, პრემიერ-მინისტრს და ეკონომიკის მინისტრს წარუდგინოს. "გეგმა მთლიანად დაყრდნობილი იქნება "მადნეულის", როგორც საქართველოს ერთ-ერთი სტრატეგიული საწარმოს, აბსოლუტურად ახალი, დასავლური მენეჯმენტის პრინციპებით მართვაზე, საწარმოს ფუნქციონირების სრულ გამჭვირვალობასა და საჯაროობაზე," – განაცხადა მგალობლიშვილმა.

ს/ს "მადნეულის" დირექტორობა ავტომატურად გულისხმობს შპს "კვარციტის" დირექტორობასაც. თუმცა, მგალობლიშვილი ახალი ინციატივით გამოდის: მოხდეს ამ ორი თანამდებობის გამიჯვნა და საქართველოში ოქროს ერთადერთი მწარმოებელი კომპანიის "კვარციტის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი კანდიდატი დაინიშნოს.

ამასობაში, გუშინ დილიდან დაბა კაზრეთში სიტუაცია დაიძაბა. "მადნეულის" 150-მდე მუშამ საწარმოს ადმინისტრაციის შენობის წინ ყოფილი გენერალური დირექტორის გიზო ტაბატაძის თანამდებობაზე დაბრუნების მოთხოვნით აქცია მოაწყო. "მადნეულის" ძველი სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აცხადებენ, რომ მათი უფლებამოსილება ჯერ არ შეჩერებულა. შეგახსენებთ, საბჭომ დააკმაყოფილა ზურაბ ლობჟანიძის განცხადება "მადნეულის" გენერალური დირექტორის თანამდებობიდან წასვლის თაობაზე და საწარმოს ახალ გენერალურ დირექტორად ლობჟანიძის ყოფილი იურისტი ირაკლი მგალობლიშვილი დანიშნა. გენერალურმა პროკურატურამ შვეიცარიაში ლობჟანიძის ექსტრადიციისათვის საჭირო მასალები უკვე გადაგზავნა.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" კრედიტორი ბანკების ვალს სრულად ოქტომბრის თვეში დაფარავს: "კომპანიაში ამერიკელი მენეჯერების შემოსვლის შემდეგ 5 მილიონ დოლარიანი დავალიანება 1,5 მილიონამდე შემცირდა. დარჩენილ თანხას მიმდინარე წლის ოქტომბრამდე დავფარავთ." უახლოეს ერთ თვეში იგეგმება სომხეთის მიმართ არსებული დავალიანების სრული დაფარვაც; ამისათვის 20 ათასი დოლარია საჭირო. კომპანიაში 18-თვიანი მართვის უფლებით შესულ ამერიკელებს ძველი ხელმძღვანელობისგან მემკვიდრეობით ერგოთ კომერციული ბანკებიდან აღებული ვალი - 5 მილიონი დოლარი და სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის გადაუხდელი საფასური - 220 ათასი დოლარი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ახალი მინისტრის ნიკა გილაურის თხოვნით, გუშინ ენერგეტიკის სამინისტროს 48 თანამშრომელმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადებები დაწერა. მინისტრი თანამშრომლების კვალიფიკაციას ერთი თვის განმავლობაში შეაფასებს და მხოლოდ კვალიფიციურ მუშაკებს დატოვებს. თანამშრომელთა რაოდენობა 25 პროცენტით შემცირდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აჭარის რეგიონმა ცენტრალური ბიუჯეტიდან 729 ათასი ლარი მიიღო. გადარიცხული თანხა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების იანვრის თვის შრომის ანაზღაურებაზე გაიცემა. სახაზინო სამსახურმა ცენტრალური ბიუჯეტიდან ადგილობრივ ბიუჯეტებს თებერვლის თვის სოციალური ტრანსფერი - 1 417 000 ლარი გადაურიცხა. ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა ცენტრალური ბიუჯეტიდან სულ 2 197 200 ლარი დახარჯა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ახალი ხელისუფლება წელს შემოსავლების 134,6-პროცენტიან ზრდას გეგმავს. ბიუჯეტის სახელფასო ფონდი 135,8 პროცენტით გაიზრდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გაკოტრებული ამერიკული კორპორაციის "ენრონის" ყოფილ ხელმძღვანელს ჯეფ სკილინგს ბრალდება ოფიციალურად წაუყენეს. ბრალდების 35 პუნქტს შორისაა თაღლითობა და პირადი გამდიდრების მიზნით საკუთარი მდგომარეობის გამოყენება. თუ სკილინგს დანაშაული დაუმტკიცდება, მას 325-წლიანი პატიმრობა და 80 მილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმა ემუქრება. სასამართლოს შემდეგი სხდომა 11 მარტისთვისაა დანიშნული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ენერგეტიკის ახალი მინისტრი ნიკა გილაური სამინისტროს უფლებებისა და ფუნქციების გაზრდას აპირებს. სამინისტრო პარლამენტის წინაშე შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით წარდგება. "სამინისტრო ქვეყანაში ენერგეტიკული პოლიტიკის გამტარებელია, მაგრამ აუცილებელია, კანონმდებლობაში და საბაზრო წესებში ცვლილებები შევიდეს, რათა სისტემის ყველა ოპერატორმა საკუთარი ფუნქციები და პასუხისმგებლობები კონკრეტულად იცოდეს," – განაცხადა გილაურმა. **ინტერ-პრესი**

ეკონომიკის ახალი მინისტრი "საქართველოს სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამის" გადახედვას გეგმავს

რეხვიაშვილი სიღარიბის დაძლევის პროგრამას გადახედავს.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ირაკლი რეხვიაშვილი მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ მოწონებული "საქართველოს სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამის" გადახედვას გეგმავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მინისტრი გუშინ სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, აშშ-ის განვითარების სააგენტოს, ევრობანკის, ევროკავშირის, გერმანიის, ნიდერლანდებისა და ბრიტანეთის საელჩოებისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის წარმომადგენლებს შეხვდა.

როგორც შეხვედრაზე ირაკლი რეხვიაშვილმა განაცხადა, მას საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების პროგრამა გააჩნია და დაგეგმილი აქვს, იგი სიღარიბის დაძლევის უკვე არსებულ პროგრამას შეუთავსოს. "1 მარტს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან შეხვედრა გაიმართება, რომელზეც უკვე შეთანხმებული ვარიანტით წარვდგებით," – განაცხადა მინისტრმა, რომელიც პროგრამის საბოლოო ვარიანტის წარდგენას სტრატეგიული დოკუმენტის სახით უახლოეს თვეებში გეგმავს.

"საქართველოს სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური განვითარების პროგრამა" მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ "ვარდების რევოლუციამდე" ცოტა ხნით ადრე მოიწონა და დაამტკიცა. პროგრამის ძირითადი თეზისები ძველმა სახელისუფლებო ბლოკმა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროგრამაში ჩადო.

ინტერ-პრესი

მსოფლიო ბანკი რუსეთის საკითხებზე მსჯელობს, „გაზპრომი" კი ცუდი დროებისთვის ემზადება

დიანა ჩაჩუა

რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა მსოფლიო ბანკის დღის წესრიგშია. ბანკმა გამოსცა მოხსენება, სადაც ექსპერტების დასკვნებია მოცემული. ბანკის დასკვნის თანახმად, რუსეთის ეკონომიკა გაცილებით მეტად არის დამოკიდებული მსოფლიო ბაზარზე, ვიდრე ეს რუსეთის ოფიციალურ სტატისტიკაშია მოცემული. ექსპერტების განცხადებით, რუსეთის ეკონომიკის მთავარი მასტიმულირებელი გაზისა და ნავთობის ექსპორტია.

"რუსეთის ნატურალური რესურსების ექსპორტზე ქვეყნის შიდა პროდუქტის 25 პროცენტი მოდის", - აცხადებენ მსოფლიო ბანკის ექსპერტები, როცა ეს მაჩვენებელი, რუსეთის ოფიციალური ინფორმაციით, ცხრა პროცენტს არ აღემატება. ექსპერტები უკმაყოფილონი არიან, რადგან რუსეთის ოფიციალური მხარის მონაცემები საგრძნობლად განსხვავდება მათ მონაცემთა ბაზისგან. როგორც მსოფლიო ბანკის მოსკოვის ფილიალის მთავარმა ეკონომისტმა კრისტოფერ რუელმა აღნიშნა, **"მსოფლიო ბაზარზე ენერგეტიკული ფასების ცვლილებაზე რუსეთის ეკონომიკა უფრო მეტად არის დამოკიდებული, ვიდრე ამას რუსეთის ოფიციოზი აცხადებს."**

რუსეთის ეკონომიკის მსოფლიო ბაზრის ფასებზე დამოკიდებულებას კარგად გრძნობს "გაზპრომიც". ის ცდილობს, წინასწარ დაიზღვიოს თავი მოსალოდნელი "ცუდი დღეებისაგან" და აპირებს, სესხების მოცულობა წელიწადში 150 მილიარდი რუბლით შეამციროს. ამით "გაზპრომი" შეიქმნის ერთგვარ "ფინანსურ ბალიშს" იმ შემთხვევისთვის, თუ მსოფლიოში გაზის ფასი მოულოდნელად დაეცემა.

"სანამ გაზის მსოფლიო ფასი ძალიან მაღალია, ჩვენ გადავწყვიტეთ, წინასწარ მოვემზადოთ ცუდი დღეებისთვის," – განაცხადა მონოპოლიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა. "გაზპრომის" ამ გეგმას შემდეგნაირად ეხმაურება "ატონის" წარმომადგენელი სტივენ დაშევსკი **"ეს სტრატეგია, ჩემი შეხედულებით, საღ აზრს შეიცავს, რაც "გაზპრომს" აქამდე ნაკლებად ახასიათებდა..."**

ჯორჯ სოროსი: არჩევნები ბუშის წინააღმდეგ რეფერენდუმად უნდა იქცეს

მსოფლიოში სახელგანთქმულმა ბიზნესმენმა და მეცენატმა ჯორჯ სოროსმა ნიუ-იორკის "საგარეო პოლიტიკის საბჭოში" ამას წინათ საკუთარი წიგნის პრეზენტაცია მოაწყო, რის შემდეგაც სოროსი ჟურნალისტებს გაესაუბრა. მთავარ თემად, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის კრიტიკა იქცა. ჯორჯ სოროსმა აშშ-ს პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრძოლაში უკვე 12 მლნ დოლარი დახარჯა.

წიგნის სათაური – "ამერიკული უპირატესობის საპნის ბუშტი" - მის პათოსსა და ავტორის პოზიციას ნათლად გამოხატავს. სოროსი მიიჩნევს, რომ ამერიკა საკუთარი ძლიერებითაა გაბრუებული და ვერ აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რაც მას მსოფლიოს წინაშე ეკისრება. "**ჩვენ წამყვანი ძალა ვართ მსოფლიოში, რომელსაც დანარჩენები ემორჩილებიან. ამიტომ, ამერიკამ საკუთარი ლიდერობა საერთო კეთილდღეობისათვის უნდა გამოიყენოს და არა პირიქით.**" სოროსის უკმაყოფილებას იწვევს ამერიკის ევროპული პოლიტიკა. იგი მიიჩნევს, რომ ვაშინგტონი "ბებერი კონტინენტის" დაქსაქსვას უწყობს ხელს. მართალია, აშშ ამას, ალბათ, განზრახ არ აკეთებს და ერთიანი ევროპის ეკონომიკური ან სამხედრო-პოლიტიკური ძლიერებისა არ ეშინია, მაგრამ ბოლო დროის მოვლენები აშკარად ატლანტიკური ურთიერთობების გართულებას იწვევს.

ამის ყველაზე ნათელ მაგალითად სოროსს ერაყის ომი მიაჩნია. ამ ომში ვაშინგტონმა ევროპის ორ ბანაკად გახლეჩას შეუწყო ხელი. ომის წინააღმდეგ გამოსვლის გამო კი, საფრანგეთი და გერმანია ერაყის რეკონსტრუქციის გეგმიდან საერთოდ ამოვარდნენ.

ჯორჯ სოროსი ერაყის ომს, საერთოდ, შეცდომად მიიჩნევს. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის არგუმენტი მას ამ შემთხვევაში უსუსურად მიაჩნია. "**ავღანეთის კამპანიას მე მხარი დავუჭირე, რადგან იქ ბინ ლადენი იყო. ერაყში კი ტერორისტები არ იყვნენ,**" - ამბობს იგი და მიუთითებს, რომ თეთრ სახლში გარკვეულ ძალებს ომის დაწყება თავიდანვე სურდათ და ტერორიზმთან ბრძოლის საბაბი ამ მიზნით ოსტატურად გამოიყენეს.

ჯორჯ სოროსი ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ.

სოროსი ომის დაწყებას არც მასობრივი განადგურების იარაღის აღმოჩენის მიზნით ამართლებს. ჯერ ერთი, ამგვარი იარაღი აღმოჩენილი არ არის და მეორეც, ეს მისია, მისი აზრით, ყველა სპეცსამსახურზე უკეთესად გაერო-ს ინსპექტორებს შეეძლოთ შეესრულებინათ. მათ კი მუშაობა, უბრალოდ, არ აცალეს. სოროსისთვის მიუღებელია დიქტატორ სადამ ჰუსეინის ჩამოგდების არგუმენტიც. "**განა რამსფელდი არ ართმევდა ხელს ჰუსეინს 1980-იანი წლების დასაწყისში და ამბობდა, რომ ოპოზიციის დევნა საუბრად არ ღირს? და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ ერაყი ირანის წინააღმდეგ გვჭირდებოდა,**" - სოროსი ორმაგ სტანდარტებს არ უწონებს ვაშინგტონს. ცნობილი მეცენატი ერაყის მომავლის ამერიკულ გეგმებსაც კრიტიკის თვალით უყურებს. იგი შიშობს, რომ ერაყის სუვერენიტეტის აღდგენა ვადებში, ანუ ივნისის ბოლოსთვის ვერ მოხერხდება. "**ერაყის მომავალი გაერო-ს ფარგლებში უნდა გადაწყდეს და ძალაუფლების გადაცემა არჩევნების ჩატარებას აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს,**" - ამბობს სოროსი.

მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი აშშ დოლარის კურსის ვარდნასაც შეეხო. ეს პროცესი ეკონომიკის განვითარებას ახალისებს, რის გამოც მთავრობა კურსის ვარდნის შეჩერებას, ფაქტობრივად, არ ცდილობს. თუმცა, ვალუტის კურსთან თამაში რომ ხუმრობა არაა, საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე ხელის მოთბობაში შემჩნეულ სოროსს კარგად ესმის: "**ბოთლიდან ჯინის გამოშვება ადვილია, უკან დაბრუნება კი - ძნელი.**" აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში ეკონომიკური და სოციალური საკითხების მნიშვნელობა ყოველთვის გადამწყვეტია. მართალია, დასაქმების პრობლემა ამერიკაში ისევ მწვავედ დგას, მაგრამ ეკონომიკური ზრდა ამ პრობლემის მოგვარებასაც ხელს უწყობს. ეს კარგად ესმის სოროსს, მაგრამ იგი ამერიკელებს მოუწოდებს, მომავალი პრეზიდენტი არა "საკუთარ ჯიბეებში" შექმნილი ვითარების მიხედვით აირჩიონ, არამედ საპრეზიდენტო არჩევნები ბუშის დამღუპველი საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ სახალხო რეფერენდუმად აქციონ.

რთული მეზობლობა აღმოსავლეთით

პირველი გვერდიდან

ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში დისონანსი შეაქვს ეკოლოგიის, ვაჭრობის და სასაზღვრო რეჟიმის სფეროებში არსებულ უთანხმოებებს. დავების ერთი ნაწილი წლების მანძილზე გროვდება და გეოგრაფიულ დაახლოებასთან ერთად, ალბათ, კიდევ უფრო გამწვავდება.

მიმდინარე წლის მაისში ევროკავშირში აღმოსავლეთ ევროპის 10 სახელმწიფო უნდა მიიღონ, რომელთაგან უმრავლესობა ყოფილი საბჭოთა სატელიტი ან სულაც მოკავშირე რესპუბლიკაა (ლიტვა, ლატვია და ესტონეთი). ამ ქვეყნებმა, ევროკავშირის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რუსეთთან სავიზო და სავაჭრო რეჟიმები უნდა გაამკაცრონ. მოსკოვი საკუთარი პროდუქციის გასაღების უზარმაზარ ბაზარს კარგავს. მოსკოვში ახლაღა მიხვდნენ, რომ ევროკავშირის გაფართოება, პრაქტიკული თვალსაზრისით, უფრო "საშიში" შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე ნატო-ს გაფართოება.

ახალი რეალობიდან გამომდინარე, რუსეთმა "დიპლომატიური ომის" ვექტორი შეცვალა. მოსკოვი ევროგაერთიანებასთან არსებული "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების" გადახედვას ითხოვს. ეს შეთანხმება ორ მხარეს შორის ურთიერთობების ყველა ასპექტს არეგულირებს. რუსეთმა შეთანხმებაში შესატანი შესწორებების 14-პუნქტიანი სია წარმოადგინა. მათ შორისაა ცვლილებები სავაჭრო რეჟიმში და უვიზო მიმოსვლის მოთხოვნა. რუსეთი ამ საკითხების ირგვლივ მოლაპარაკებების დაწყებას მოითხოვს. ბრიუსელში კი მიაჩნიათ, რომ მოსკოვი მთლიანად შეთანხმებას უქმნის საფრთხეს. ამით კი რუსეთი უფრო მეტს დაკარგავს, ვიდრე მოიგებს.

ევროკავშირში განცვიფრებას ვერ მალავენ, რადგან რუსეთი, მოთხოვნების წამოყენების მიუხედავად, დეტალურ განხილვებზე ენთუზიაზმს არ ამჟღავნებს. შესაძლოა, ეს საარჩევნო ციებ-ცხელებითაა განპირობებული, თუმცა სხვა მიზეზებიც უნდა არსებობდეს. რუსეთს მოლაპარაკებების ფორმა არ მოსწონს. მას სურს, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილებების მიმღებ სტრუქტურებში მიიღოს ადგილი, როგორც ეს ნატო-ს შემთხვევაშია. ევროკავშირში კი ეს იდეა არავის ხიბლავს. ბრიუსელში ეჭვობენ, რომ რუსეთი ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობებზე აკეთებს აქცენტს, რამაც საერთო, ევროპული ინტერესები შეიძლება შებღალოს. ბრიუსელში ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ ევროკავშირ-რუსეთის ნოემბრის სამიტი, სადაც იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი საკუთარი ქვეყნის ინტერესებით უფრო მოქმედებდა, ვიდრე ევროკავშირის. ბერლუსკონი, ევროპელ ჩინოვნიკთა გასაკვირად, ჩეჩნეთში ომსა და "იუკოსის" დევნის საკითხს გაგებით მოეკიდა.

ევროკომისიის აღნიშნული დოკუმენტი გასული წლის ოპტიმისტური შეფასებებისგან რადიკალურად განსხვავდება. შარშან ევროკავშირი აცხადებდა, რომ რუსეთი, აღმოსავლეთი ევროპისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის სხვა ქვეყნებთან ერთად, ახალი ევროპის მეგობართა წრედ უნდა ქცეულიყო. ამ წრის მთავარი პრინციპი ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკურ ფასეულობების გაზიარება იქნებოდა, რის სანაცვლოდაც ევროგაერთიანება ჰუმანიტარულ დახმარებასა და საკუთარ ბაზარზე შეღავათებს ითვალისწინებდა. ევროკავშირს მხედველობიდან გამორჩა, რომ რუსეთს "მეგობრობა" ნაკლებად აწუხებს და უფრო მეგობრობიდან მიღებული კომერციული და პოლიტიკური სარგებელი აფიქრებს. ამასთან, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთს 1990-იან წლებში დასავლეთის კარნახით დაწყებული რეფორმები, უკვე დიდი ხანია, მობეზრდა.

რუსეთის თემას მუდამ თან ერთვის პოსტსაბჭოური აღმოსავლეთ ევროპის საკითხი. ევროკომისიის მიერ შემუშავებული "გაფართოებული ევროპის" სტრატეგია ახალ მეზობლებთან - ბელორუსთან, უკრაინასა და მოლდოვასთან ურთიერთობების გაღრმავებას გულისხმობს. პოლონეთში საუბრობენ, რომ ეს ქვეყნები მომავალში ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრებიც კი შეიძლება გახდნენ. იმავდროულად, რუსეთი აღნიშნულ სახელმწიფოებს "სტრატეგიულ მოკავშირეებად" და საკუთარი პროდუქციის გასაღების ბაზრად მიიჩნევს. მოსკოვი აღმოსავლეთ ევროპის დაკარგვას ძლივს შეელია. ამდენად, საეჭვოა, მას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გადაბირება მოეწონოს. არადა, ევროკავშირი უკრაინასა და ბელორუსში წელს დაგეგმილ არჩევნებს იმედის თვალით უცქერის. საქართველოს მოვლენებმა პოსტსაბჭოური სივრცის მიმართ ბოლო დროს გაჩენილი ნიჰილიზმი ისევ ოპტიმიზმით შეცვალა. ევროკავშირს სურს, რომ მოსკოვმა მომავალ არჩევნებში პოზიტიური როლი შეასრულოს და ამ ქვეყნებში დემოკრატიზაციის პროცესს წინ არ აღუდგეს. საკითხავია, რამდენად შედის ეს თავად მოსკოვის ინტერესებში.

ევროკავშირის გაფართოება 1 მაისს შედგება. გაერთიანების წევრ ქვეყნებს წინ რთული მეზობლობა ელით. სწორედ ამიტომ, აუცილებელია რუსეთთან მიმართებაში ახალი სტრატეგიის შემუშავება. თუმცა, როგორც ცნობილია, ევროკავშირში საკვანძო საკითხებზე საერთო პოზიციის ჩამოყალიბება ყოველთვის ძალზე რთულია.

არჩევნები ირანში

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ ირანში საყოველთაო არჩევნები გაიმართა. ირანელები ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს – მეჯლისს ირჩევდნენ. მართალია, ეს ირანის ისლამური რესპუბლიკის დაარსებიდან რიგით მეშვიდე საპარლამენტო არჩევნებია, მაგრამ ადგილობრივი და საერთაშორისო მედიის ყურადღება, ისე როგორც არასდროს, ირანისაკენ იყო მიპყრობილი. საქმე ის არის, რომ ამ არჩევნებს ჩაშლის დიდი საფრთხე ემუქრებოდა.

ირანის უმაღლესმა სასულიერო ლიდერმა აიათოლა ხამენეიმ ირანის მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობისაკენ მოუწოდა, რათა ამით **"გამოხატონ თავიანთი ნება ისლამური რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ, რომლებიც ირანელებს მოუწოდებენ, არ გამოცხადდნენ საარჩევნო უბნებზე."**

თავად აიათოლამ კი თავისი მოქალაქეობრივი ვალი გუშინ დილითვე მოიხადა. არჩევნებზე გამოცხადების თხოვნით და კონსერვატორების ამ გზით დასამარებისაკენ ირანელებს თავად პრეზიდენტმა მოჰამედ ხათამიმაც მიმართა.

თუმცა, რეფორმატორთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ამჯერად არჩევნებში მათი გამარჯვების შანსები ნულის ტოლია. მართალია, მათ 2000 წლის არჩევნები სუფთად მოიგეს, მაგრამ სამაგიეროდ, 2004 წლის არჩევნების ასევე სუფთად წაგების "პერსპექტივა" ემუქრებათ. ასეთი შედეგი კი იმით არის განპირობებული, რომ ისლამური რევოლუციის გუშაგთა საბჭომ (რომელსაც ირანში განუსაზღვრელი ძალაუფლება გააჩნია) რეფორმატორთა, დაახლოებით, 2500 კანდიდატი არჩევნებიდან მოხსნა.

რეფორმატორები დარწმუნებულნი არიან, რომ რევოლუციის გუშაგთა საბჭომ ამ ღონისძიებით, კონსერვატორული ძალების პარლამენტში დიდი უმრავლესობით მოსვლა, ფაქტობრივად, უკვე უზრუნველყო. ამდენად, არჩევნებში რეფორმატორთა მონაწილეობა უკვე თავიდანვე ფიქციად იქცა, რადგანაც მათი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. უმსხვილესმა რეფორმისტულმა პარტიამ - "მონაწილეობის ფრონტმა" არჩევნების ბოიკოტირების გზა აირჩია და თავის მომხრეებსაც მოუწოდა, არ გამოცხადებულიყვნენ საარჩევნო უბნებზე.

არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა ნობელის პრემიის ლაურეატმა შირინ ებადიმაც. რეფორმატორთა მხარეზე დადგა პოსტისლამიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი და ირანში დემოკრატიული წყობილების დამყარების მომხრე აბდოლქადირ სორუში.

აიათოლა ხამენეი ხმას აძლევს.

პრეზიდენტი ხათამი საარჩევნო უბანზე.

არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ადგილობრივმა ჟურნალისტებმაც. ასამდე ირანელმა ჟურნალისტმა განაცხადა, რომ მათ მისვლას საარჩევნო უბნებზე არავითარი აზრი არ აქვს, რადგანაც ისინი არც თავისუფალნი არიან და ვერც სამართლიანად გააშუქებენ მოვლენებს.

თუმცა, რადიკალი რეფორმატორების გარდა, ირანში ასევე არიან პრო-რეფორმატორულად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფები, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს. ჯერჯერობით უცნობია, თუ ხმათა რა რაოდენობის მოგროვება შეძლეს მათ, თუმცა დამკვირვებელთა აზრით, ამ პოლიტიკური ორგანიზაციების წარმატება დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

საარჩევნო უბანზე არავის გაკვირვებია პრეზიდენტ ხათამის გამოჩენა, მიუხედავად იმისა, რომ ის რეფორმატორებს თანაუგრძნობს. თანაც, მისმა ძმამ და რადიკალი რეფორმატორების ლიდერმა რეზა ხათამიმ ხომ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა.

პრეზიდენტის თანამდებობამ კი ხათამის ანალოგიურად მოქცევის უფლება ნამდვილად არ მისცა. სააგენტო "როიტერის" ცნობით, ის მოღუშული გამოცხადდა საარჩევნო უბანზე, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში იყო განთავსებული. **"ჩვენი ერი ბევრჯერ დამარცხებულა, მაგრამ ჭეშმარიტ გზაზე სიარულს აგრძელებს და კიდევ ბევრს გააკვირვებს,"** - განუცხადა ირანის პრეზიდენტმა უცხოელ ჟურნალისტებს. თუმცა, ხათამის ასეთ განწყობას იმედიანი შეიძლება მხოლოდ პირობითად ეწოდოს. ხათამიმ კარგად იცის, რომ რეფორმატორებს გამარჯვების არანაირი პერსპექტივა არ გააჩნიათ.

რეფორმატორებისგან განსხვავებით, კონსერვატორები გამარჯვებაში დარწმუნებულნი იყვნენ, თუკი უბნებზე ამომრჩეველთა საჭირო რაოდენობა გამოცხადდებოდა. **"არჩევნების ბოიკოტირება ამერიკის სასახლეებშია დაგეგმილი და მოფიქრებული,"** - განაცხადა რევოლუცის გუშაგთა საბჭოს თავმჯდომარემ აიათოლა აჰმად ჯანათიმ. **"ისინი, ვინც ამომრჩევლებს ბოიკოტისკენ მოუწოდებენ, მოღალატეები და გამყიდველები არიან,"** - დასძინა მან.

ბოლო მონაცემებით, არჩევნები შედგა. ამის შესახებ ირანის ხელისუფლებამ განაცხადა და ხმის მიცემის ვადა, ამომრჩეველთა სიჭარბის გამო, ერთი საათით გაზარდა. არჩევნების წინასწარი შედეგები დღეისათვის გახდება ცნობილი.

ჰაიტი: ბურუსით მოცული მომავალი

ლევან ღირსიაშვილი

კარიბის ზღვის კუნძულ ჰაიტიზე შექმნილი დრამატული ვითარება უკვე საერთაშორისო თანამეგობრობის და, პირველ რიგში, შეერთებული შტატების ადმინისტრაციის შეშფოთებას იწვევს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გუშინ გაავრცელა განცხადება, სადაც ჰაიტიზე მყოფ ამერიკელ მოქალაქეებს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ დატოვონ კუნძული. ამასთანავე, ვაშინგტონი ჰაიტიზე არსებული, აშშ-ს საელჩოს დასაცავად მცირერიცხოვან სპეცდანაყოფს აგზავნის. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის განცხადებით, თეთრი სახლი სხვა ქვეყნებთან ერთად მუშაობს სამშვიდობო გეგმაზე, რომელმაც ჰაიტიზე შექმნილი ვითარება უნდა განმუხტოს.

კუნძულზე კი მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა. პრეზიდენტის მომხრე ძალებსა და ოპოზიციას შორის მომხდარ უკანასკნელ შეტაკებაში ორმოცდაათზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ოპოზიცია დაჟინებით ითხოვს პრეზიდენტ ჟან ბერტრანდ არისტიდის გადადგომას, რაზეც ეს უკანასკნელი კატეგორიულ უარს აცხადებს. **"ტერორისტებისგან ჩემი ქვეყნის დასაცავად, მზად ვარ მოვკვდე,"** - განაცხადა არისტიდმა და ამით დაადასტურა თავისი განზრახვა, ოპოზიციის დასამარცხებლად ბოლომდე იბრძოლოს.

თუმცა, კომპრომისზე წასვლას არც ოპოზიცია აპირებს. ოპოზიციის მომხრეები აცხადებენ, რომ არისტიდმა 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები უხეშად გააყალბა, ხოლო ამის შემდეგ კი ქვეყანა ღრმა სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა. ოპოზიცია სიღატაკის გამომწვევ მიზეზად სწორედ არისტიდის კორუმპირებულ კლანებს ასახელებს.

არისტიდი ერთხელ უკვე დაამხეს. 1992 წელს ის სამხედრო გადატრიალების მსხვერპლი გახდა და თავი შეერთებულ შტატებს შეაფარა.

აშშ-ს ჰაიტიზე საელჩოს დასაცავად მცირერიცხოვან სპეცდანაყოფს აგზავნის.

ერთ წელიწადში მან ხელისუფლებაში დაბრუნება აშშ-ს აქტიური მხარდაჭერით და სამხედრო დახმარებით შეძლო. მაგრამ ამას არისტიდისათვის ხელი არ შეუშლია კორუმპირებული კლანების მმართველობის დამყარებასა და საგარეო ფინანსური დახმარებების გაფლანგვაში. ალბათ, მისი ბედი ამჯერადაც ვაშინგტონზეა დამოკიდებული.

ვაშინგტონი კი არ ჩქარობს. კოლინ პაუელის თქმით, აშშ-მ უკვე დაიწყო მუშაობა გაერო-სთან, ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციასთან, საფრანგეთთან და სხვა დაინტერესებულ ქვეყნებთან, რათა სამშვიდობო ინიციატივა რაც შეიძლება მოკლე დროში წარედგინოს პრეზიდენტ არისტიდს. სახელმწიფო მდივანს არ დაუკონკრეტებია ის დეტალები, რაზეც სამშვიდობი ინციატივა იქნება დაფუძნებული. **"ვფიქრობ, რომ თუკი შეთავაზებულ გეგმას ორივე მხარე მიიღებს, ჩვენ ამ კრიზისიდან გამოსავალი გზის პოვნას შევძლებთ,"** - აცხადებს პაუელი.

ამასობაში კი, არისტიდს უკვე მიმართა ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციამ და ადამიანის უფლებების დაცვისაკენ მოუწოდა. ორგანიზაცია ჰაიტის პრეზიდენტისაგან ასევე პოლიტპატიმრების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას და დემონსტრაციების გამართვის წესებზე ოპოზიციის ლიდერებთან მოლაპარაკების დაწყებას მოითხოვს. ორგანიზაცია გამოდის ინიციატივით, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს ორივე მხარის განიარაღება და შეიქმნას დამოუკიდებელი საარჩევნო კომისია, რომელიც ჰაიტიზე სამართლიან არჩევნებს ჩაატარებს. ოპოზიცია ამ გეგმის შესრულებაზე თანახმაა, თუმცა მისი ლიდერები აცხადებენ, რომ ვიდრე ქვეყნის სათავეში ჟან ბერტრანდ არისტიდი იქნება, ჰაიტიზე სამართლიანი არჩევნების ჩატარება გამორიცხულია. ამდენად, ჰაიტის ბედი და მომავალი კვლავ ბურუსითაა მოცული. კუნძულზე კი სისხლისღვრა გრძელდება, რასაც უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე ეწირება.

„ჩვენ ჩავალთ აჭარაში!"

მაკა ჭაიანი

"ველარ გაიგო ამ ხალხმა, რომ ახლა შევარდნაძის დრო აღარ არის? ახლა სააკაშვილების, ოქრუაშვილებისა და ადეიშვილების დროა! ჩვენ, ახალგაზრდები, ნდობას ვუცხადებთ საქართველოს ხელისუფლებას და ყველაფერს გავაკეთებთ იმგვარი უსამართლობების აღსაკვეთად, რაც გუშინ ბათუმში მოხდა. თუ საჭირო იქნა, ჩავალთ აჭარაში და იმ ადამიანების დაკავებაშიც მივიღებთ მონაწილეობას, ვინც ხალხს თავისუფალი აზრის გამოთქმის უფლებას არ აძლევს და არბევს მათ," – ეს განცხადება გუშინ ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტში გაკეთდა. მისი ავტორი ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი, ანდრო ალავიძე გახლავთ.

აჭარაში ჩასვლისა და თანატოლების გვერდით დადგომის სურვილი დეპარტამენტში შეკრებილმა სხვა ახალგაზრდებმაც გამოთქვეს. **"სხვა გამოსავალს, უბრალოდ, ვერ ვხედავთ,** - ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდული მოძრაობის" ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი, - **ანტისახელმწიფოებრივია ის, რაც იქ ხდება. ერთიანი საქართველოს დროშის გამოჩენა ადგილობრივ ხელისუფლებაში პროტესტს იწვევს, ემუქრებიან, ფიზიკურად თუ სიტყვიერად შეურაცხყოფენ მათ, ვისაც ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობისგან განსხვავებული აზრი აქვს. ამას არ მოვითმენთ. პროცესი უფრო და უფრო აქტიური გახდება."**

კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს აქტიურობა, ახალგაზრდები უახლოეს დღეებში, ერთმანეთთან მოლაპარაკების შემდეგ გაარკვევენ. გუშინდელ შეკრებას თბილისში მოქმედი თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლისა და ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრებოდა. დავით მესხიშვილის განცხადებით, მათ იმერეთის ახალგაზრდობაც უჭერს მხარს.

"განგვიმარტოს ასლან აბაშიძემ, რა ხდება აჭარაში. – მოითხოვს აგრარული უნივერსიტეტის სტუდკავშირის თავმჯდომარე გიორგი გამყრელიძე, - **ჩვენ იქიდან ძალიან ცუდი ხმები მოგვდის. გვატყობინებენ, რომ 16-17 წლის ბავშვებს იარაღს ურიგებენ. განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებელი სწორედ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელია. აჭარა არ არის კლანების კუთვნილება, აჭარა აჭარლებს ეკუთვნის და მათ უნდა გადაწყვიტონ, ვინ ჰყავდეთ სათავეში."**

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ახალგაზრდები პასუხს ითხოვენ.

ახალგაზრდები საქართველოს ხელისუფლებასაც სთხოვენ განმარტებას. **"ახალგაზრდების მხრებზე არ უნდა გადავიდეს ყველაფერი. ხელისუფლების წარმომადგენლები უნდა ჩავიდნენ აჭარაში და გაარკვიონ ვითარება,** - ამბობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროფკავშირის თავმჯდომარე ლევან ჯანაშია, - **პრეზიდენტი ყველგან ვერ ირბენს. დაბრუნდება სახელმწიფო მინისტრი საქართველოში, ჩავიდეს, გაარკვიოს მდგომარეობა და პასუხი გაგვცეს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება."**

ზაკაევი - დოლიძე - პუტინი

გუშინ "კავკასიურ სახლში" გაიმართა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის, პროფესორ გოგი დოლიძის წიგნის - "ღია წერილი რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს" პრეზენტაცია.

თამუნა ჭაჭანიძე

ეს "ღია წერილი" 2002-2003 წლებში გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, შემდეგ კი "ბიბისის" ეთერითაც გახმაურდა. წერილი წარმოადგენს ჩეჩნეთის ყოფილი კულტურის მინისტრის, ვიცე-პრეზიდენტის ახმედ ზაკაევისადმი გამოცხადებულ თანალმობას, რომელიც ტერორიზმის ბრალდებით 2002 წელს დიდ ბრიტანეთში დააკავეს და რომლის ექსტრადიციასაც ითხოვდა რუსეთი. ინგლისმა უდანაშაულოდ ცნო ახმედ ზაკაევი და პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. გოგი დოლიძეს ახმედ ზაკაევთან პირადი მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებს, 1992 წელს მათ ერთად ჩამოუყალიბებიათ მომავალ ჩეჩენ კინემატოგრაფისტთა ჯგუფი თეატრალურ ინსტიტუტში.

"ახმედ ზაკაევის დაპატიმრებამ ისე ააფორიაქა მთელი ჩემი ოჯახი და ახლობლები, რომ მოსვენება დავკარგე, სრულიად უდანაშაულო მეგობარს რომ დაგიპატიმრებენ, რაღაც ხომ უნდა მოიმოქმედო კაცმა... ასეთ დღეში ვიყავი, როცა გადავწყვიტე, ღია წერილი მიმეწერა, არც მეტი, არც ნაკლები... პუტინისთვის", - წერს წიგნის წინასიტყვაობაში ბატონი

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

პრეზენტაციას პატივი დასდეს ქართველმა ჩოხოსნებმა.

გოგი. იგი ვლადიმირ პუტინს ცოტნე დადიანის მაგალითს აცნობს და ცოტნეს გმირობასთან ერთად მონგოლთა მთავრის ნოინ ჩარმაღანის პიროვნულ დამსახურებასაც აღნიშნავს. იგი წერს: "ძალიან მეეჭვება, რომ ინგლისმა ახმედ ზაკაევი გადმოგცეთ, მაგრამ თუ მაინც მოხდა ასეთი სამარცხვინო ფაქტი, მაშინ იცოდეთ, რომ ჩემი ადგილი მასთანაა, ჩემს მეგობართან და კოლეგასთან, ჩამოვალ, გვერდით დავუჯდები ცოტნე დადიანივით და მერე დადგება თქვენი სულიერი გამოცდის დღე."

პრეზენტაციას პატივი დასდეს ქართველმა ჩოხოსნებმა, რომელთა უმრავლესობასაც ცნობილი საზოგადო მოღვაწეები წარმოადგენენ. იქვე იყვნენ ჩეჩენთა და ქისტთა სხვა წარმომადგენლები და ქალბატონი მექა ხანგოშვილი.

"ვარდების რევოლუციის" გასაჭირი

სოხუმის უნივერსიტეტში დაპირისპირებულმა მხარეებმა კომპრომისს ვერ მიაღწიეს, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე მაინც დასასრულისკენ მიდის. რექტორმა ოთარ ჟორდანიამ და მისმა მხარდამჭერებმა გადაწყვიტეს, ხელისუფლებას წესრიგის აღდგენა მოსთხოვონ. მათი "ვარდების რევოლუციონერი" ოპონენტები კი შველას საზოგადოებას სთხოვენ.

ზაზა ფაჩუაშვილი

შეგახსენებთ, რომ სოხუმის უნივერსიტეტის რექტორისა და მისი ახლო გარემოცვის გადადგომის მოთხოვნით "ვარდების რევოლუციად" წოდებული საპროტესტო აქციები 12 თებერვალს დაიწყო. ოპოზიციაში მყოფი პროფესორის ზურაბ პაპასქირის მომხრე სტუდენტებმა იმავე დღეს დაიკავეს რექტორის მისაღები და შიმშილობა დაიწყეს.

მეორე დღეს ერთი სართულით ზემოთ შიმშილობა დაიწყეს რექტორის მომხრეებმაც. მას შემდეგ ბევრი ავტორიტეტული პირი ჩაერია საქმეში, მაგრამ მხარეებს შორის მოლაპარაკება ვერ მოხერხდა. ისმის მხოლოდ ურთიერთბრალდებები.

ჟორდანიას მხარემ საუბარი დაიწყო წესრიგის ძალით დამყარების შესახებ.

როგორც ჩანს, აღნიშნულმა განცხადებამ სერიოზულად შეაშფოთა ოპოზიციონერები, რომლებმაც ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია ჩაატარეს.

ჟურნალისტების წინაშე წარდგნენ სოხუმის უნივერსიტეტის ხსნის კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ მიქიაშვილი, ამბოხებული პროფესორ-მასწავლებლები და მოშიმშილე სტუდენტები. გავრცელდა ოპოზიციის საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც შეიცავს ჟორდანიას მამხილებელ წერილებს. პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ გაისმა ბრალდებები რექტორის მიმართ, რომელ-

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

დაპირისპირებულმა მხარეებმა კომპრომისს ვერ მიაღწიეს.

საც ოპონენტები ადანაშაულებენ უნივერსიტეტის ავტორიტარული რეჟიმით მართვაში, ერთ დროს შეკრული კოლექტივის გახლეჩაში, ოპონენტთა დევნაში, ცინიზმში, ქმედუუნარობაში და სხვა.

მოშიმშილე სტუდენტებმა ჟორდანიას ადმინისტრაციას გაცილებით კონკრეტული ბრალდებები წაუყენეს. მათი თქმით, უნივერსიტეტის ავტოპარკის შესანახად გამოყოფილია 13 ათასი ლარი, მაშინ როცა ავტოპარკში მხოლოდ ერთი მანქანაა და ისიც ჟორდანიას ემსახურება; წყალგაყვანილობისთვის გამოყოფილია 6 ათასი ლარი, მაშინ როცა მთელ უნივერსიტეტში სულ რამდენიმე ონკანია და სხვა.

ბრალდებების შემდეგ ჟორდანიას ოპონენტებმა მათი აქციის მოსალოდნელი დაშლის შესახებ ისაუბრეს. მათი ინფორმაციით, ჟორდანიას მხარე ორშაბათს აქციის დაშლას და სწავლის განახლებას აპირებს.

"აქციის დაშლა იმ მოტივით, რომ ასობით სტუდენტს სწავლა სურს და ამის საშუალება არა აქვს, სიცრუეა. ჩვენ დაკავებული გვაქვს მხოლოდ ოთარ ჟორდანიას მისაღები. დანარჩენი, მთელი სასწავლო კორპუსი თავისუფალია. მივიდნენ და განაახლონ სწავლის პროცესი თუ შეუძლიათ; მაგრამ ამას ვერ გააკეთებენ, იმიტომ რომ სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა და ლექციაზე არავინ მივა. ამიტომ სურთ ჩვენი აყრა და სწავლის ძალით განახლება," – განაცხადეს ჟორდანიას მოწინააღმდეგეებმა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიმართვა

გულისტკივილით აღვიქვამთ სოხუმის უნივერსიტეტში ამ ბოლო დროს განვითარებულ პროცესებს. სოხუმის უნივერსიტეტი ჩვენთვის იგივეა, რაც აფხაზეთში დაბრუნების ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი. ეს პროცესები, რომელიც სოხუმის უნივერსიტეტში მიმდინარეობს, საფრთხეს უქმნის იმ დიდ საქმეს, რომელსაც საქართველოს ერთიანობა ქვია.

ჩვენთვის მიუღებელია ნებისმიერი პრობლემების ძალისმიერი ხერხებით გადაჭრა, განსაკუთრებით მიუღებელია სტუდენტების გამოყენება კონფლიქტური საკითხების მოსაგვარებლად, სასწავლო პროცესების ჩაშლა.

უნივერსიტეტის რექტორს, პროფ. ო. ჟორდანიას, ჩვენ ვიცნობთ, როგორც უმწიკვლო ადამიანს, მამულიშვილს, რომელმაც შეძლო თავის თანამშრომლებთან ერთად აელორძინებინა ჭეშმარიტად ეროვნული უნივერსიტეტი, მის ირგვლივ გაეერთიანებინა აფხაზეთის ინტელიგენცია.

დღევანდელი მდგომარეობა უნივერსიტეტში ყოველივე ამას დიდ საფრთხეს უქმნის, როგორც მორალურს, ისე პოლიტიკურს.

მოვუწოდებთ სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, დაუყოვნებლივ მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და მშვიდად გადაწყვიტონ სადავო საკითხები, აღადგინონ სასწავლო პროცესი.

ჩვენთვის, ისე როგორც თქვენთვის, ძვირფასია სოხუმის უნივერსიტეტის სახელი.

ფოსტა

ვინ შეუვარდა ვეტერანებს?

სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ ცოცხლად დარჩენილი მებრძოლები, ორდენებითა და მედლებით დაბრუნებული ახალგაზრდობა, დღეს 80 წელს გადაცილებული ვეტერანები არიან.

სახელმწიფო ვალშია მათ წინაშე. ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მათი სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი გარანტიების დაცვას, რის გამოც გაუსაძლისი ხდება მათი ცხოვრება. სამწუხაროა, რომ ყოველწლიურად საშუალოდ 700-800 მებრძოლი ვეტერანი ემშვიდობება ცხოვრებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ ვეტერანების ორნახევარი წლის ბრძოლის შემდეგ, 2002 წლის 18 აპრილს, არაკონსტიტუციურად ცნო პარლამენტის საახალწლო გადაწყვეტილება ელექტროენერგიის შეღავათიანი უზრუნველყოფის ტარიფების შემცირებაზე და პარლამენტს დაავალა, გონივრულ ვადაში შესაბამისობაში მოეყვანა იგი, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა დიდხანს გაგრძელდა.

2003 წლის 31 დეკემბერს პარლამენტმა კვლავ საახალწლო - "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონში მიიღო დამატებითი გარდამავალი დებულება, რითაც ინვალიდი ვეტერანების მიმართ დადგენილი დანამატების აღსრულების ვადები გადატანილია 2005 წლის 1 იანვრისთვის. ეს მაშინ, როდესაც პრეზიდენტი პენსიების მომატებას და მის დროზე დარიგებას გვპირდება.

გაზით სარგებლობა ომის ინვალიდებისთვის უფასოა, მაგრამ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ადგილობრივ ბიუჯეტში გაზის უფასო მოხმარება განსაზღვრულია 10 ლარის ფარგლებში, მაშინ, როდესაც ვეტერანი ზამთრის პერიოდში ხარჯავს 90-100 ლარის ბუნებრივ აირს. საიდან გადაიხადონ ვეტერანებმა ამდენი ფული? წინა წლებში მას სახელმწიფო ფარავდა, წლეულს ასეთი დახმარება გაზზე არ არის. ვეტერანები აღშფოთებას გამოთქვამენ, ხოლო გამკითხავი არავინაა.

დღემდე გადაუწყვეტელია ვეტერანთა სტატუსის დადგენის საკითხი, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს ვეტერანთა რაოდენობაზე. მიზანშეწონილია შეიქმნას კომპეტენტური სამთავრობო კომისია ომის ვეტერანთა სტატუსის განსაზღვრისთვის.

დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, სერიოზულ გადამუშავებას მოითხოვს კანონი "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ".

ამის გარდა, წერილში დაგმობილია ა/წ 21 იანვარს მომხდარი ფაქტი, როცა ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტში ხავერდოვანი რევოლუციის სახელით შეჭრილმა ხალხმა მოითხოვა დეპარტამენტის გაუქმება. ჩვენ, 80 წელს გადაცილებული უხუცესი ვეტერანები, არავის მივცემთ უფლებას, ხელში ჩაიგდოს ჩვენი დეპარტამენტიო, ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი, სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი, კაზაკთა გენერალ-მაიორი **რევაზ ასათიანი.**

ორი სიტყვით

თბილისი. მართლმადიდებელი ქრისტიანები 22 თებერვალს შენდობის კვირას აღნიშნავენ და ერთმანეთს პატიებას სთხოვენ. შენდობის დღესთან დაკავშირებით, კვირას საღამოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სპეციალურ ლოცვას შეასრულებს. მძიმე მარხვის დაწყებამდე ყველა მართლმადიდებელმა ერთმანეთს შენდობა უნდა სთხოვოს. აღდგომის მარხვა 23 თებერვალს დაიწყება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ახალგაზრდული მოძრაობის "კმარას" ლიდერები გუშინ ბათუმში განვითარებულ მოვლენებზე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მკაცრ რეაგირებას ითხოვენ და აცხადებენ, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც ოპოზიციის აქციის დარბევას ორგანიზებას უწევდა. მათი ინფორმაციით, დარბეული და დამწვარია "კმარას" ბათუმის ოფისი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ირლანდიის მთავრობის მიწვევით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი გიგი წერეთელი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით აფციაური და შიდსის ცენტრის ხელმძღვანელი თენგიზ ცერცვაძე სამდღიან ვიზიტად დუბლინში მიემგზავრებიან. შეხვედრის ძირითადი მიზანი აივ/ინფექცია შიდსის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების დასახვაა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მელიქიშვილის გამზირზე მდებარე "ომეგა კლუბთან" გუშინ "ომეგა ჯგუფის" შვილობილი კომპანიების: ტელეკომპანია "იბერიის", გაზეთ "ეპოქისა" და ჟურნალ "ომეგას" მხარდამჭერები შეიკრიბნენ. თავად "ომეგა კლუბში" კი პერიოდული გამოცემების მთავარმა რედაქტორებმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს და ახალი ხელისუფლების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

გორი. გუშინ დილიდან გორის ყოფილი საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე მოვაჭრეებმა აქცია გამართეს. ისინი ბაზრის დირექციის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის საფუძველზეც სარემონტო სამუშაოების ჩატარების მოტივით ბაზრის ღია ნაწილი ერთი თვით დაიკეტება. მოვაჭრეებს პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში მიხეილ ქარელიც უჭერს მხარს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თელავი. გუშინ დილიდან ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის მოსახლეობამ ელექტროენერგიის მოთხოვნით ახმეტა-თელავის საავტომობილო გზა გადაკეტა. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, ოთხი თვეა მათ ელექტროენერგია არ მიეწოდებათ. მათი თქმით, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო ნავთის ლამპისთვის საწვავის შესაძენი ფულიც არა აქვთ და სრულ სიბნელეში უხდებათ ყოფნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ქალაქის მერისა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ინიციატივით, თბილისში ტექნიკურად და სანიტარიულად მოუწესრიგებელი სამარშრუტო მიკროავტობუსების მოძრაობა შეჩერდება. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა ტექნიკური გაუმართაობისა და სანიტარიული წესების დარღვევისთვის უკვე ოთხი სამარშრუტო მიკროავტობუსის მოძრაობა აკრძალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში მიკროავტობუსების მოძრაობის ახალი სქემის შესამუშავებლად შექმნილი კომისია უახლოეს ორ კვირაში დაასრულებს მუშაობას. თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელის, ოთარ ჭიპაშვილის ინფორმაციით, დედაქალაქში მიკროავტობუსების მოძრაობის ახალი სქემის მიხედვით, თბილისის ქუჩებში მიკროავტობუსების რაოდენობა 10-20 პროცენტით შემცირდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მეტროპოლიტენით უფასო მგზავრობის პლასტიკური ბარათების განახლება, შესაძლოა, პირველი აპრილიდან შეფერხდეს. ამის მიზეზი იმ კატეგორიის პირთა რიცხვის ზრდაა, ვისთვისაც მეტროპოლიტენით მგზავრობა უფასოა. უკრაინაში დაბეჭდილი 2000 პლასტიკური ბარათი უკვე თბილისშია, თუმცა, დევნილები და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები აცხადებენ, რომ ეს საკმარისი არ არის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. უკანონო ჯიხურების აღება თბილისის ისან-სამგორის რაიონშიც დაიწყო. გუშინ დილით მერიის ადმინისტრაციული ინსპექციისა და ისან-სამგორის რაიონის გამგეობის ინიციატივით მოსკოვის გამზირსა და ჯავახეთის ქუჩაზე 30-მდე უკანონოდ განთავსებული ჯიხური აიღეს. მომავალ კვირაში განახლდება დედაქალაქის ქუჩებში უკანონოდ განთავსებული სარეკლამო აბრების ჩამოხსნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მიუნხენში უკვე ოცდამეთხუთმეტედ ჩატარდა საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „ქარავანი — წყლის სპორტი — ტურიზმი". კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვაკურთხევით, საქართველოს ტურისტული სტენდი მიუნხენის წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის მრევლმა, საპატრიარქოს მომლოცველებმა და დასავლეთ ევროპის ეპარქიამ წარმოადგინეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ფრინველის გრიპის" ვირუსი, რომელმაც ტაილანდში უკვე შვიდი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, კატებსაც აღმოაჩნდათ. დაავადება გამოუვლინდა ასევე ზოოპარკში მოთავსებულ ვეფხვს. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ცხოველებს ეს სენი ინფიცირებულ ფრინველებთან კონტაქტის შედეგად ან ქათმის ხორციდან შეეყარათ. ამის გამო ექსპერტები სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ. **ინტერ-პრესი**

შევარდნაძის ოჯახის პირველი წევრი დააპატიმრეს

პირველი გვერდიდან

"მაგთიკომის" დამფუძნებელმა პირველი დაკითხვის შემდეგ პროკურატურა არცთუ ცუდ გუნებაზე იმ იმედით დატოვა, რომ ცოტა ხანში მის გარშემო შექმნილი გაუგებრობა გაირკვეოდა. თუმცა, ექსპრეზიდენტის სიძესთან დაკავშირებით მაშინვე განსხვავებული პოზიცია ჰქონდა თავად გენერალურ პროკურორს.

"ჩვენ განვაახლეთ კავშირგაბმულობასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც უშუალოდ ინჯიას მინისტრობის პერიოდს უკავშირდება. ჯოხთაბერიძე ამ საქმის ირგვლივ დაიკითხა და რამდენიმე დღეში დანაშაულსაც ავხდით ფარდას", - განაცხადა ჯოხთაბერიძის დაკითხვის შემდეგ გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილი.

ორიოდე დღის წინ "მაგთიკომის" დამფუძნებელი პროკურატურაში მოწმის სახით "ტელეკომის" გენერალურ დირექტორთან ერთად მეორედ დაიბარეს და რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ იმავე სტატუსით გაათავისუფლეს.

"ჯილდოს მაძლევდნენ და უარი ვუთხარი", - იხუმრა ჯოხთაბერიძემ. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, დღევანდელ პროკურატურაში აღარ ხუმრობენ და ამერიკაში, პარტნიორთა კრებაზე მიმავალ შევარდნაძის სიძეს ჯილდოდ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისათვის თავის არიდების გამო ექვმიტანილის სტატუსი მოუმზადეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯოხთაბერიძეს პროკურატურაში არც ერთ მიწვევაზე უარი არ განუცხადებია და საგამოძიებო ღონისძიებებისთვის ხელი არ შეუშლია, იგი საჩვენებელ დაჭერას მაინც ვერ გადაურჩა. არადა, როგორც ჯოხთაბერიძის ადვოკატი

მანანა შევარდნაძე პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნას არ გამორიცხავს.

გიორგი ყავლაშვილი ირწმუნება, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა, უცხოეთში ვიზიტთან დაკავშირებით, გამომძიებელი და გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსიც სიტყვიერად და წერილობითაც გააფრთხილა.

"მართალია, კანონმდებლობით, მოწმე არ არის შეზღუდული და მას გადაადგილებასთან დაკავშირებით ნებართვა არ სჭირდება, მაგრამ ჯოხთაბერიძემ მაინც საჭიროდ ჩათვალა, გაეფრთხილებინა გამომძიებელი და შეეტყობინებია, რომ 20 თებერვლიდან 8 მარტამდე ამერიკაში მიემგზავრებოდა. სიტყვიერად, გამომძიებელმა უთხრა, რომ გამგზავრება არანაირ პრობლემას არ შექმნიდა, მაგრამ როგორც ხედავთ, ყველაფერი საწინააღმდეგოდ შეტრიალდა", – განაცხადა ადვოკატმა.

სანქციის გარეშე კიდევ ერთი ცნობილი პიროვნების დაპატიმრება გამოძებამ კვლავ საგანგებო მდგომარეობით გაამართლა. **"ჯოხთაბერიძე გაქცევას გეგმავდა",** - ამბობენ პროკურატურაში და მოწმის გაფრთხილებას რკინის ლოგიკას უპირისპირებენ: **"წერილობითი გაფრთხილება ჩემამდე არ მოსულა. მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, რა შეიცვლებოდა. დამნაშავემ რომ გაგვაფრთხილოს, საზღვარგარეთ მივდივარო, აღარ უნდა დავიჭიროთ"?** – ასეთია გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის ზაზა ქაჩიბაიას კომენტარი.

კონკრეტულად, რისთვის დააპატიმრეს "მაგთიკომის" დამფუძნებელი და რას ედავება მას პროკურატურა, ჯოხთაბერიძის ადვოკატისთვის და მისი ოჯახის წევრებისთვის უცნობია.

"ჯოხთაბერიძე, ალბათ, ერთადერთი პატიმარია, ვინც აზრზე არ არის, რისთვის დააპატიმრეს და რა გადასახადებს ედავებიან. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს დაკითხვებზე იმდენად აბსურდულ კითხვებს უსვამდნენ, რომ ვერ გაარკვევდი, რისი გაგება სურდა გამოძიებას, საით მიჰყავდათ დაკითხვა ან რაში შეიძლებოდა იგი დაედანაშაულებინათ", - ამბობს ადვოკატი.

სამაგიეროდ, დაცვისგან განსხვავებით, გამოძიებას "მაგთიკომის" დამფუძნებლის დანაშაულში ეჭვი აღარ ეპარება და დღეს მისთვის ბრალის წარდგენასაც გეგმავენ, რის შემდეგაც წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით სასამართლოსაც მიმართავენ.

"გამოძიებას საკმარისი მტკიცებულებები გააჩნია იმისათვის, რომ ჯოხთაბერიძეს ბრალი წარუდგინოს", - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ზაზა ქაჩიბაიამ.

გავრცელებული ინფორმაციით, გია ჯოხთაბერიძე ექვმიტანილია "მაგთიკომის" გადასახადების დამალვაში, თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მას გამოძიება, როგორც ფიზიკურ პირს, ედავება, რომელმაც ფირმა "ჯიკომის" შესყიდვისას ბიუჯეტს სავალდებულო 12 პროცენტი არ გადაუხადა. არადა, "მაგთიკომის" დამფუძნებელი ფირმა სწორედ "ჯიკომი" იყო. ზუსტად რა რაოდენობის თანხაზეა საუბარი, ამ დროისთვის უცნობია, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, საუბარი რამდენიმე ასეულ ათას ლარზე უნდა იყოს. ამასთან, როგორც გენერალური პროკურორი ირწმუნება, ყოფილი პრეზიდენტის სიძეს სახელმწიფო საწარმო "ტელეკომის" გაკოტრებაშიც ლომის წილი მიუძღვის.

შეძლებს თუ არა ჯოხთაბერიძე საკუთარი სიმართლის დამტკიცებას და მოსალოდნელი, მაქსიმუმ, სამწლიანი პატიმრობიდან თავის დაღწევას, მომავალი გვიჩვენებს. ამ დროისთვის არც ის არის ცნობილი, დაცვის რომელ ფორმას აირჩევს იგი და გამოიყენებს თუ არა დუმილის უფლებას.

"შეკითხვების და გარემოებების გათვალისწინებით მივიღებთ გადაწყვეტილებას - დაცვის აქტიური ფორმა ავირჩიოთ თუ დუმილის უფლებით ვისარგებლოთ. თუმცა, ჯოხთაბერიძე რომ უდანაშაულოა, ამის დამტკიცებას აუცილებლად შევძლებთ", - განაცხადა ადვოკატმა.

და მაინც, ჯოხთაბერიძის დაპატიმრების შემდეგ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა შეიქმნა - გენერალური პროკურატურა რეალურ დამნაშავეს უპირისპირდება თუ ყოფილი პრეზიდენტის ოჯახს.

ამასთან დაკავშირებით, "მაგთიკომის" დამფუძნებლის მეუღლემ, ედუარდ შევარდნაძის შვილმა მანანა შევარდნაძემ გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას გვერდში დადგომა სთხოვა.

"დღეს, როგორც არასოდეს, ჩვენს ქვეყანას სიმართლე სჭირდება. გთხოვთ, ობიექტურად გააშუქოთ ის, რაც ჩვენი ოჯახის ირგვლივ ხდება. ეს არის წარმოუდგენელი უკანონობა და შევარდნაძის ოჯახის პოლიტიკური დევნა. არ გამოვრიცხავ, რომ ანალოგიური პროცესები ჩემი ოჯახის ყველა წევრზე განხორციელდეს, რათა ედუარდ შევარდნაძის სახელის დისკრედიტაცია საერთაშორისო დონეზე მოხდეს," – ასეთია ექვმიტანილის მეუღლის და ყოფილი პრეზიდენტის შვილის პოზიცია, რომელიც არ გამორიცხავს, რომ მომავალში, შესაძლოა, პოლიტიკური თავშესაფარიც მოითხოვოს.

რომელ ქვეყანას აირჩევს შევარდნაძის ოჯახი საცხოვრებლად, ჯერჯერობით, უცნობია. სამაგიეროდ, სამართალდამცველებისთვის ცნობილი იყო ჯოხთაბერიძის საგურამოს აგარაკი, სადაც გუშინ, გამოძიებისთვის საჭირო დოკუმენტების ამოღების იმედით, ჩხრეკა ჩატარდა. თუმცა, მნიშვნელოვანი მასალები აგარაკზე ვერ აღმოაჩინეს.

საგამოძიებო ღონისძიებების პარალელურად კი, გუშინ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობის წინ "მაგთიკომის" თანამშრომლები საპროტესტო აქციას მართავდნენ და ფირმის დამფუძნებლის გათავისუფლებას ითხოვდნენ. "მაგთიკომში" 400 თანამშრომელი მუშაობს და თითოეული მათგანი ჯოხთაბერიძის პატიოსნებაში დარწმუნებულია.

თუმცა, სხვაგვარად ფიქრობენ "ახალი ქსელებისა" და "ტელეკომის" მესვეურები, რომლებიც გუშინ "მაგთის" მხრიდან აშკარა ზეწოლაზე ალაპარაკდნენ...

მოხდება თუ არა შვეიცარიაში დაკავებული ზურაბ ლობჟანიძის საქართველოში ექსტრადირება?

შსს-ს სპეცჯგუფის მიერ თბილისში ჩატარებულ საგამოძიებო პროცედურას - "მადნეულის" გენერალური დირექტორის ზურაბ ლობჟანიძის სახლის ჩხრეკას, გაგრძელება შვეიცარიაში მოჰყვა. გენერალური პროკურატურის მოთხოვნას შვეიცარიელი სამართალდამცველები ოპერატიულად გამოეხმაურნენ და "მადნეულის" გენერალური დირექტორის ზურაბ ლობჟანიძის საცხოვრებელი ადგილი დაადგინეს. ვინაიდან ლობჟანიძე შვეიცარიის დროებითი მაცხოვრებლის სტატუსით სარგებლობს, მისი დაკავება არ მომხდარა, თუმცა იქაურმა სამართალდამცველებმა ქართველ კოლეგებს ექსტრადიციისთვის საჭირო დოკუმენტები და პროკურორის მომართვის გაგზავნა მოსთხოვეს.

ინგა ალავიძე

გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველო ლობჟანიძის ექსტრადიციისთვის საჭირო მასალებს ამზადებს, რომლებიც სავარაუდოდ ორ დღეში გადაეგზავნება შვეიცარიის იუსტიციის სამინისტროს. იმ შემთხვევაში, თუ შვეიცარიის სასამართლო საქართველოდან გაგზავნილ მტკიცებულებებს სამართლებრივად სრულყოფილად მიიჩნევს, ზურაბ ლობჟანიძის თბილისში ექსტრადირება რამდენიმე კვირაში განხორციელდება.

ზურაბ ლობჟანიძის თბილისში მდებარე საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, სამართალდამცველებმა რამდენიმე დოკუმენტი და კომპიუტერის პროცესორი ამოიღეს. ლობჟანიძის სახლში ჩხრეკის ჩატარებას სამართალდამცველები რამდენიმე კვირის წინაც ეცადნენ, თუმცა იმის გამო, რომ მათ სასამართლოს მიერ გაცემული სანქცია არ მოეპოვებოდათ, ლობჟანიძის ადვოკატებმა და ოჯახის წევრებმა კანონის დამრღვევ კანონდამცველებს არასანქცირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლება არ მისცეს. ამჯერად ჩხრეკა მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ 12 თებერვალს გაცემული სანქციის საფუძველზე მოხდა. იმავე დღეს სასამართლომ შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის კიდევ ერთი მოთხოვნა დააკმაყოფილა და ზურაბ ლობჟანიძის დაკავების ბრძანებაც გასცა. გამოძიებამ ორივე პროცესუალური მოქმედება კვლავ დარღვევით, ისე ჩაატარა, რომ ლობჟანიძის ადვოკატისთვის შეტყობინება არ გაუგზავნია. ლობჟანიძის ადვოკატის შალვა შავგულიძის განცხადებით, ლობჟანიძის სახლში ჩხრეკის ჩატარების შემდეგ შსს-ს წარმომადგენლებმა მას განუცხადეს, რომ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ 12 თებერვალს დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა და ლობჟანიძის სახლის ჩხრეკის ორდერი გასცა; ეს მაშინ, როცა 13 თებერვალს ადვოკატმა თავად მიმართა შსს-ს შეკითხვით - იყო თუ არა ლობჟანიძე ბრალდებულად ცნობილი და ხომ არ იყო საჭირო გამოძიების პროცესზე მისი დასწრება? მაგრამ გამოძიებისაგან არანაირი პასუხი არ მიუღია. ლობჟანიძის ადვოკატის მტკიცებით, გამოძიება 5 დღის განმავლობაში მალავდა ზურაბ ლობჟანიძის ბრალდებულად ცნობისა და მისი სახლის ჩხრეკის ორდერის გაცემის ფაქტს.

შსს-მ ზურაბ ლობჟანიძეს ბრალი ისე წაუყენა, რომ იგი მოწმის სახითაც არ დაუბარებიათ. შვეიცარიაში მყოფ ზურაბ ლობჟანიძეს ქართველმა სამართალდამცველებმა ბრალი დასდეს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით. იგი დადანაშაულებულია სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში.

საუბარია რამდენიმე კვირის წინ შსს-ს მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციაზე, რომლის დროსაც "კვარციტის" 600 კგ ოქროს შენადნობი "სახალხო ბანკიდან" ამოიღეს და საქართველოს ეროვნულ ბანკში გადაიტანეს. გადამალული ოქროს ზოდების ღირებულება 5 მილიონ დოლარს აჭარბებს და მას ძალოვანებმა სამი კვირის ძებნის შემდეგ მიაგნეს. სამართალდამცველთა მტკიცებით, ოქრო ქვეყნის გარეთ, სავარაუდოდ, ინგლისში უნდა გაეტანათ. ვალერი გრიგალაშვილის ინფორმაციით, საქართველოს ფარგლებს გარეთ ოქროს ზოდების უკანონო გაზიდვას "კვარციტის" გენერალური დირექტორი ზურაბ ლობჟანიძე გეგმავდა.

თბილისის პროკურორის ნოდარ გრიგალაშვილის განცხადებით, არსებობდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ კონკრეტული პირები საქართველოდან ოქროს შენადნობის გატანას აპირებდნენ. თბილისის პროკურატურამ საქმის მოკვლევა სააქციო საზოგადოება "კვარციტის" უცხოელი პარტნიორების, ავსტარალიური ფირმის წარმომადგენლების მიერ დაწერილი საჩივრის საფუძველზე დაიწყო. **"საქართველოდან ოქროს შენადნობის გატანა ხდება ჩუმად, პარტნიორებისგან მალულად, ამ ოპერაციებით ზარალდება, როგორც ჩვენი - "კვარციტის" ავსტრალიელი პარტნიორების, ასევე, საქართველოს ბიუჯეტი,"** – ნათქვამი იყო განცხადებაში, რომლითაც "კვარციტის" უცხოელმა პარტნიორებმა თბილისის პროკურატურას მიმართეს. თბილისის პროკურატურამ სწორედ ამ განცხადების საფუძველზე აღძრა საქმე ლობჟანიძის წინააღმდეგ, რომელიც შემდეგ გამოსაძიებლად გადაეცა შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტს.

"საოცარია, ატარებენ პრესკონფერენციებს, მაგრამ რეალურად საქმეები არ არსებობს. არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, ეს ყველაფერი მტკნარი ტყუილი და დემაგოგიაა. როგორ საუბრობს პროკურატურა იმაზე, რომ ოქრო ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაგვქონდა? ამისთვის მთელი რიგი ინსტანციების ნებართვაა საჭირო, რაც ბუნებაში არ არსებობს.

არანაირი ოფიციალური შეტყობინება პროკურატურიდან არ მომსვლია, მეტიც, ჩემი ადვოკატები რამდენიმე კვირაა ზედიზედ მიდიან პროკურატურაში და ითხოვენ რეალურ დოკუმენტაციას, მტკიცებულებებს, რაზეც უარს ეუბნებიან; არავითარ დოკუმენტს არ იძლევიან, რადგან კანონიერი დოკუმენტი არ გააჩნიათ და ამ დროს ჩემს სახლში უკანონოდ შევარდნას აპირებდნეს," – "24 საათთან" საუბრისას განაცხადა ზურაბ ლობჟანიძემ.

შვეიცარიის სასამართლომ ზურაბ ლობჟანიძის ექსტრადიციის საკითხი 40 დღის ვადაში უნდა გადაწყვიტოს.

ციხის ბინადრები ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებენ

საქართველოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მყოფი პატიმრები ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებისთვის ემზადებიან. აღნიშნული ვარაუდის საფუძველი ქუთაისის საპყრობილის პატიმრის აბელ გოგნაძის წერილია, რომელიც მან გუშინ გაავრცელა.

ბექა სისაური
ქუთაისიდან

გოგნაძეს ციხე-კოლონიებში აქციების მოწყობის გამოცდილება გააჩნია. სწორედ იგი გახლდათ გასული წლის მაისში პატიმართა ფართომასშტაბიანი აქციის - შიმშილობის ორგანიზატორი. მაშინ ხელისუფლება სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მყოფი პატიმრების მიმართ დათმობებზე წავიდა. გენერალურმა პროკურორმა თავად მოინახულა თითქმის ყველა საპატიმრო დაწესებულება და მოშიმშილე ტუსაღების პრეტენზიებს პირადად მოუსმინა. ამავე დროს, შეიქმნა სპეციალური კომისიაც, რომელსაც პატიმრების პრეტენზიები უნდა შეესწავლა. ამჟამად კი პატიმრებს თითქმის იდენტური მოთხოვნები გააჩნიათ:

"სახელმწიფოს მხრიდან ჩვენი ადამიანური უფლებების ყოველმხრივი დარღვევისთვის მოვითხოვთ, კომპენსაციის სახით, საპატიმროში გატარებული ყოველი დღე ჩაგვეთვალოს სამ კალენდარულ დღედ; შეიქმნას კომპეტენტური, დამოუკიდებელი, იურიდიული კომისია, რომელიც შეისწავლის ყველა იმ პატიმრის საქმეს, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ უდანაშაულობაზე ან დასაბუთებულად მიუთითებენ საქმის წარმოების პროცესში დაშვებულ არსებით დარღვევებზე; კატეგორიულად მოვითხოვთ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს ყველა ის პოლიციელი, რომლებიც მხილებულნი არიან ადამიანის ცემა-წამებაში, უკანონო დაპატიმრებებში, გამოძალვაში; პასუხისგებაში მიეცენ ის პროკურორები და მოსამართლეები, რომლებსაც შეგნებულად გამოჰქონდათ კანონსაწინააღმდეგო დადგენილებები. თუ ჩვენი კანონიერი მოთხოვნები უახლოეს ხანში არ იქნება განხილული, იძულებული გავხდებით მივმართოთ მშვიდობიანი ფორმის ფართომასშტაბიან აქციებს, უფრო ფართომასშტაბიანს, ვიდრე ეს გასული წლის მაისში მოვაწყვეთ," - ასეთია პატიმართა მოთხოვნა.

"მე ვარ წარსულში ხუთჯერ ნასამართლევი. საბჭოური იმპერიის სივრცეში განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად შერაცხული კაცი, რომელმაც 48 წლის ასაკში, 23 წელი პატიმრობაში გაატარა. ახლაც ციხის საკანში ვარ გამომწყვდეული, იმის გამო, რომ უკანონობის წინააღმდეგ ხმის ამოღება გავბედე. მე ვარ ის აბელ გოგნაძე, ვინაც გასულ წელს ათზე მეტი საგაზეთო სტატია და ღია წერილი გამოაქვეყნა, რათა ფართო საზოგადოების ყურადღება მიეპყრო საპატიმროებში გამოკეტილი 7000 თანამემამულისადმი, რომლებიც პირუტყვებისთვისაც კი შეუფერებელ პირობებში იმყოფებიან..." – აცხადებს აბელ გონგაძე, რომელიც გასულ წელს, საპროტესტო აქციების შემდეგ საპყრობილიდან გაათავისუფლეს, თუმცა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ შეწყვეტილა. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, მან "ვარდების რევოლუციაშიც" აქტიური მონაწილეობა მიიღო. მისივე წერილიდან ირკვევა, რომ იგი კანცელარიის "შტურმში" მონაწილეობდა და შინ, ნადავლად, შევარდნაძის სკამის ნატეხიც წაუღია. **"მე თვითონ მივიღე აქტიური მონაწილეობა რევოლუციაში. ერთი კვირა მაინც ვიდექი ნოემბრის წვიმაში და ქარში. მიუხედავდ იმისა, რომ ჭლექით ვარ დაავადებული, ჩემი ლექსებით ვამხნევებდი და თავდადებისკენ მოვუწოდებდი სიმართლისთვის მებრძოლ ადამიანებს."** ახალი ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულება აბელ გოგნაძეს მოგვიანებით შეეცვალა, როდესაც ორიოდე თვის წინ, თერჯოლის სოფელ გოდოგანში "კანონიერი ქურდი" ზაზა ამბროლაძე დააკავეს. დაკავებიდან რამდენიმე დღეში ამბროლაძის მხარდასაჭერად ცენტრალური ავტომაგისტრალი გადაიკეტა. პოლიციამ აღნიშნული აქცია დაარბია და რამდენიმე პირი დააკავა. მათ შორის აბელ გოგნაძეც იყო. ამ უკანასკნელს უკანონო აქციის ორგანიზატორობა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა ედება ბრალად.

"ვიწყებთ ბრძოლას კანონიერების ფარგლებში, ჩვენი ადამიანური უფლებების აღსადგენად," - აცხადებს გოგნაძე.

ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებს ცხელ კვალზე მიაგნეს

გლდანი-ნაძალადევის რაიონის სამართალდამცველებმა ბოლო ორი დღის განმავლობაში თბილისში მოქმედი ორი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს. ერთ-ერთი ყაჩაღური ჯგუფის ლიდერს, ნასამართლევ დიმიტრი რუხაძესა და მის მეგობრებს პოლიციამ ცხელ კვალზე მიაგნო.

რუხაძის ჯგუფის წევრები - გოგიტა თვაური და გაგა გელაშვილი - დაკავებამდე რამდენიმე საათით ადრე თავს დაესხნენ გლდანის დასახლებაში მცხოვრებ ვიქტორია დემჩენკოს ოჯახს. გარდა სიტყვიერი შეურაცხყოფისა, ოჯახის ყველა წევრს მრავლობითი დაზიანებები მიაყენეს, იარაღის მუქარით დემჩენკოების სახლი "გაასუფთავეს" და გაიქცნენ.

ავტომატი ორი მჭიდით და 60 ვაზნით, ხელყუმბარა, 350 გრამი ყაყაჩოს თესლი და ექსტრატირებული ოპიუმის ხსნარი – ეს ყველაფერი სამართალდამცველებმა ყაჩაღური ჯგუფის ლიდერის დიმიტრი რუხაძის ბინის ჩხრეკისას ამოიღეს. ნაპოვნია დემჩენკოების ბინიდან გატაცებული ოქროული და სხვა ნივთები.

გლდანი-ნაძალადევის რაიონის სამართალდამცველთა ხელში აღმოჩნდნენ თბილისის სამარშრუტო მიკროავტობუსებზე ყაჩაღური თავდასხმების განმახორციელებელი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებიც. მიხეილ ქიტესაშვილი და ვანო ყაველაშვილი პოლიციამ №135 სამარშრუტო მიკროავტობუსზე შეიარაღებული თავდასხმის შემდეგ დააკავა. მგზავრებით სავსე მიკროავტობუსის დაყაჩაღების შემდეგ მათ მძღოლი მძიმედ დაჭრეს. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ყაველაშვილისა და ქიტესაშვილის ბინების ჩხრეკისას ნაპოვნია ნაყაჩაღარი ნივთები და ნიღბები.

24 საათი

ორი სიტყვით

ქუთაისი. გუშინ, დილით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ორი დაუდგენელი პიროვნება თავს დაესხა თბილისი-ქუთაისის ცენტრალური ავტომაგისტრალის თერჯოლის მონაკვეთზე მოძრავ "კამაზის" მარკის ავტომანქანას, რომელსაც მცხეთის რაიონში მცხოვრები ნიკოლოზ კახაბრიშვილი მართავდა. მათ მძღოლს იარაღის მუქარით ფულადი თანხა წაართვეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. გუშინვე ყაჩაღობა მოხდა ცენტრალური ავტომაგისტრალის ზესტაფონის მონაკვეთზე, სადაც თბილისიდან ფოთის მიმართულებით მიმავალ მიკროავტობუსს სამი პიროვნება დახვდა. მათ სომხეთის ქალაქ სტეფანაკერტში მცხოვრებ სლავა და ვიტალი აირაპეტიანებს ფულადი თანხა გასტაცეს. ორივე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 179-ე მუხლით აღიძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, არ გამოირიცხება, რომ ბრალდებამ სასამართლოს მიმართოს "ომეგა" ჯგუფის რამდენიმე ფირმის ხელმძღვანელი პირების დაკავებისთვის სანქციების გაცემის შუამდგომლობით. როგორც პროკურორმა განაცხადა, საქმე ეხება "ომეგა 2"-ის, "ოჯითისა" და "ჰელიოზის" ხელმძღვანელი პირების დაკავების საკითხს. მისი თქმით, არ გამოირიცხება, რომ ისინი აჭარის ტერიტორიას აფარებდნენ თავს. **ინტერ-პრესი**

ვალტერ შვიმერის ვიზიტი მიტინგებისა და სროლის ფონზე

პირველი გვერდიდან

წინასწარ გამოცხადებული მიტინგი

ის, რომ ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ავტონომიის ოპოზიცია ჩუმად არ დახვდებოდა, წინასწარ იცოდა ყველამ. ასლან აბაშიძის ოპოზიციამ მკაფიოდ განაცხადა, რომ შვიმერის ჩამოსვლას დიდი აქციებით აღნიშნავდა. ავტონომიის ხელმძღვანელობის ოპოზიცია ბათუმის მერიის წინ დილიდან შეიკრიბა. ხალხი დარწმუნებული იყო, რომ, უცხოელი სტუმრის "ხათრით", ადგილობრივი სამართალდამცველები მიტინგს არ დაარბევდნენ. **"ეს არის ჩვენი ხელისუფლება, ხალხს რომ წაართვა სიტყვის უფლება"; "ასლან, შენ არა ხარ აჭარა!"** - ასეთი ლოზუნგები, ხუთჯვრიან დროშებთან ერთად, ბათუმის მერიის წინ ფრიალებდა.

ხელისუფლება მიტინგის ჩატარებას ხელს არ უშლიდა, მიუხედავად იმისა, რომ წესით, საგანგებო სიტუაციის დროს (რომელიც აჭარაში ისევ ძალაშია), ყოველგვარი აქცია-მანიფესტაცია იკრძალება, იმ აქციების გამოკლებით, რომელზეც სანქცია აჭარის ავტონომიის უშიშროების საბჭოს მიერ არის გაცემული (როგორც ბათუმის მერიის წარმომადგენლისგან გავიგეთ, ოპოზიციის აქცია სანქცირებული არ იყო, მაშინ, როცა ხელისუფლების მხარდამჭერთა ერთბაშად სამ ადგილას გამართული აქციებიდან ყველა ოფიციალურად ნებადართული გახლდათ).

"რა გინდა კაცო, ხომ ხედავთ, ასლანსაც რამდენი მხარდამჭერი ჰყავს. ისეც არ არის საქმე, როგორც ამბობენ," - თავის დასკვნას სხვას უზიარებდა თბილისიდან ჩასული ერთ-ერთი სტუმარი დანარჩენებს. **"უკაცრავად, მაგრამ, თქვენი აზრით, ეს ხალხი ბათუმელებს გავს?"** - ამას სტუმარს უკვე ბათუმელი "მასპინძელი" ეკითხებოდა, რომელსაც ჟურნალისტების დახმარება ჰქონდა დავალებული. ხალხი, რომელიც ბათუმის სხვადასხვა ცენტრალურ ადგილას "ასლან ბაბუს" სურათებსა და "აღორძინების" დროშებს აფრიალებდა, საპორტო ქალაქის მაცხოვრებლისთვის შესაბამისად ჩაცმულს მართლაც ნაკლებად ჰგავდა. **"სამარშრუტო ტაქსები რეგიონებში ხალხის ჩამოსაყვანად დილიდან გაუშვეს. ყველაზე მეტად ბავშვები წამოიყვანეს, თითოს ათ ლარს დაჰპირდნენ,"** - ეჭვები გაფანტა ქობულეთელმა ქალბატონმა.

ჩემი მომხრე შენსას სჯობია!

"დღეს სპეციალურად ველაპარაკე აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრს და ოპოზიციის მიტინგზე მისული ხალხის დასაცავად ზომების მიღება ვთხოვე," - ასე იზრუნა წესრიგის დამყარებაზე ბათუმის მერმა გიორგი აბაშიძემ, თუმცა - უშედეგოდ. მომიტინგეების, "კმარას" აქტივისტების დარბევა უკვე მაშინ დაიწყო, როცა შვიმერი ოპოზიციასთან სალაპარაკოდ მივიდა.

აბაშიძესთან უზენაეს საბჭოში გამართული, დაახლოებით, სამსაათიანი შეხვედრის შემდეგ შვიმერმა უკვე ოპოზიციასთან შესახვედრად გადაინაცვლა. "გაერთიანებული ოპოზიცია - ჩვენი აჭარას" ოფისთან შეკრებილმა, აბაშიძის მომხრეებმა შენობაში შესვლის საშუალება მხოლოდ შვიმერის თანმხლები დელეგაციის წევრებს მისცეს. თბილისიდან ჩასული ჟურნალისტები გარეთ დარჩნენ. ჟურნალისტებს შენობასთან მიახლოების და ნორმალურად მუშაობის საშუალება არ მისცეს. **"თქვენი ბრალია ყველაფერი, კარგად რომ აშუქებთ, იმიტომ"... "რა გინდათ, აქ მოგინდათ დემოკრატია?"... "თბილისი რომ არიეთ და ლამის 37 წელი დააბრუნეთ, მაგაზე რატომ არ იღებთ ხმას?"... "მიდი ახლა და ჩაწერე, ასლანზე რასაც სიმართლეს ლაპარაკობს ის ქალი, თორემ წავიღე კამერა სახლში!"** - ამგვარ ინსტრუქცია-მითითებებს მედიის წარმომადგენლებს აბაშიძის ენერგიული მომხრეები აძლევდნენ. სიტყვიერ მითითებებს ზედ კონკრეტული ქმედებებიც ერთვოდა - ხალხის მასაში ჩაკარგულ ჟურნალისტებს, რატომღაც, კიდევ უფრო ავიწროებდნენ, მაქსიმალურად აიძულებდნენ, მოქმედების ადგილი დაეტოვებინათ. გაღიზიანებას ყველაზე მეტად კამერები იწვევდა. იყო გაქაჩვა და გამოქაჩვა. მოგვიანებით, რამდენიმე ტელეკომპანიის წარმომადგენელს კასეტებიც ჩამოართვეს....

შვიმერი ბათუმის უნივერსიტეტში ასლან აბაშიძესთან ერთად მივიდა. აუდიტორია მართლაც დიდი იყო. ერთი ეგაა, რომ შვიმერი უფრო პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრას ელოდა. ამის ნაცვლად კი, საგანგებოდ მოწყობილი სცენიდან, აბაშიძესთან ერთად, სიტყვით გამოსვლა მოუხდა. ძალადობას ძალადობით არ უნდა დაუპირისპირდე, შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი კი ისევ დიალოგიაო, - განაცხადა შვიმერმა.

"ასლან ბაბუ" თბილისში ჩამოვა, თუ...

"კი ბატონო, გამოიძიონ ჩემს წინააღმდეგ დაგეგმილი ტერორისტული აქტები, დაახლოებით, ოცამდე, ერთ-ერთი - ჩემს კაბინეტში, თითქმის განხორციელებული, და ჩამოვალ თბილისში," - ლამის სულის მოთქმა არ აცალა თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოსულ ვალტერ შვიმერს ასლან აბაშიძემ აეროპორტში დახვედრისას. შვიმერს პასუხად გაეღიმა. **"ჩემი მოვალეობა აბაშიძის თბილისში ჩამოყვანა არ ყოფილა. ჩემი მიზანი მხარეების კონსტრუქციული დიალოგისთვის მომართვა იყო",** - ეს შვიმერმა ბათუმური ვიზიტის შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა. თავის მხრივ, სამსაათიანი შეხვედრის დროს აბაშიძე სტუმარს იმაში არწმუნებდა, რომ ცენტრი რეგიონთან აშკარად ტყუის. **"პრეტენზიები, მით უფრო - ფინანსური თვალსაზრისით, აჭარისადმი უსაფუძვლოა",** - ამას აბაშიძე შვიმერს, თურმე, კონკრეტული დიაგრამებითა და სქემებით უმტკიცებდა. ვალტერ შვიმერმა კი კვლავ მომრიგებლის პოზიციიდან განაცხადა, რომ საჭიროა ცენტრსა და რეგიონს შორის გარკვეული ურთიერთვალდებულებების ჩარჩო-ხელშეკრულების შექმნა.

ოპოზიციასთან აბაშიძის მორიგებას შვიმერი ბათუმშიც ცდილობდა და დამშვიდობებისას კიდევ ერთხელ მოუწოდა მასპინძელს დიალოგისკენ. კონსტრუქციული ოპოზიციის მაგალითად კი იგი თავის თანმხლებ არმაზ ახვლედიანს ასახელებდა. შვიმერის და ახვლედიანის სამწუხაროდ, აბაშიძემ კატეგორიულად განაცხადა: დიალოგზე წასვლას არ ვაპირებ, რადგან ოპოზიციას არ ვცნობო.

ის, რაც შვიმერს არ უნახავს

"დემოკრატიული აჭარის" ოფისის ჩხრეკა გვიან საღამომდე გრძელდებოდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა გოგიტიძემ სპეციალური ბრძანება საკმაოდ ტრივიალური საბაბით გასცა: **"ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ორგანიზაციის ოფისში დიდძალი იარაღი ინახება".** პოლიციამ "დემოკრატიული აჭარის" ორგანიზაციის რეგიონული ხელმძღვანელი ჯემალ ქიქავა დააკავა. პოლიციამ საკმაოდ ოპერატიულად გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქიქავა, ორგანიზაციის ოფისში პოლიციელების შესვლისას, ჰაერში ისროდა.

სროლა კი ბათუმში მართლაც ისმოდა. დღისით ქალაქის ცენტრში დაჭრეს გიორგი აბაშიძის მეგობარი კოტე აბაშიძე. როგორც ამბობენ, ოპოზიცია აქ არაფერ შუაშია. აბაშიძის მიმართ ანგარიშსწორება ისევ ბათუმის მერთან დაახლოებულმა პირმა გადაწყვიტა. ცნობისათვის, ამ საქმით დაინტერესებულ ადგილობრივ ჟურნალისტებს "ადგილიდან გადაკარგვა" კოტე აბაშიძის მეგობარმა გოგონამ სერიოზულად ურჩია, როგორც ამბობენ, იარაღის მუქარითაც კი.

კიდევ ერთი ობიექტი, რომელიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიძლება მიზანში ამოიღოს, ადგილობრივი გაზეთის "ბათუმელების" რედაქციაა. გუშინ რედაქციის თანამშრომლებმა, დარბევის რეალური მუქარის შემდეგ, ოფისის დროებით დახურვა გადაწყვიტეს.



www.24hours.ge
24
B

ნომრის სტუმარი

ყველაფერი ერთი ადმინისტრაციული რგოლიდან არ უნდა იმართებოდეს

როგორია სინამდვილეში “ბოროტი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც საქართველოს უახლესი ისტორიის განვითარებაში ავბედითი როლი შეასრულა”? რა გეგმები აქვს სოროსის ფონდის ყოფილ დირექტორს, კახა ლომაიას, რომელმაც ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი რგოლი – განათლების სამინისტრო ჩაიბარა. არ ვიცი, როგორ იყო მანამდე, მაგრამ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, განათლების მინისტრებად სულ ფილოლოგები გვყავს. კახა ლომაია პირველი განათლების მინისტრი იქნება ტექნიკური განათლებით. ამ წლების განმავლობაში განათლების სისტემას სერიოზული ნაბიჯები არ გადაუდგამს წინ, ძნელი სათქმელია, ეს ფილოლოგების ბრალი იყო თუ სხვა რამის. ყოველ შემთხვევაში, იმედი ვიქონიოთ, რომ ტექნიკური განათლებისა და, რაც მთავარია, ხანგრძლივი სამენეჯერო გამოცდილების მქონე ადამიანი განათლების სისტემას ღრმა კრიზისიდან გამოიყვანს.

კახა ლომაიამ თბილისში, “ნახალოვკაში” დაამთავრა მე-9 საშუალო სკოლა, დაამთავრა ხუთებზე, ერთადერთი 4-იანი რუსულ ენასა და ლიტერატურაში გამოყვა. რადგან ტექნიკური საგნები ეხერხებოდა, მაშინდელ “გეპეიში”, ჰიდროსაინჟინრო ფაკულტეტზე ჩააბარა. სწავლების წლებს სიყვარულით იხსენებს, განსაკუთრებული სითბოთი კი თავის პედაგოგს კოლია მოწონელიძეს. ინსტიტუტის დამთავრებისა და წელიწადნახევარი საპროექტო ინსტიტუტში ინჟინრად მუშაობის შემდეგ მოსკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის ასპირანტურაში წავიდა, სადაც 1992 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იმავე წლებში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობაში მუშაობდა ჯერ მოადგილედ, შემდეგ კი - წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებლად. თუმცა, იქ, სულ ნახევარი წელი იმუშავა, რადგან 1992 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, როდესაც მაშინდელმა ხელისუფლებამ ოპოზიციის მიმართ არადემოკრატიული ნაბიჯები გადადგა, პროტესტის ნიშნად მან და მისმა რამდენიმე თანამშრომელმა თანამდებობა დატოვა. შემდეგ ორი წელი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გენერალური მდივანი იყო. 1995 წელს, სრულიად შემთხვევით, განცხადების მეშვეობით, აღმოჩნდა ევრაზიის ფონდში, სადაც 7 წელი იმუშავა, 5 წელი, როგორც პროგრამის კოორდინატორმა და 2 წელი, როგორც დირექტორმა. სხვათა შორის, მისი სახით ევრაზიის ფონდს საქართველოში პირველი არაამერიკელი დირექტორი ჰყავდა. “სოროსში” მისვლამდე, სადაც სულ თერთმეტი თვე დაჰყო, საერთაშორისო ორგანიზაცია Democracy Coalition-ის რეგიონული დირექტორი იყო. იქაც ინტერნეტის მეშვეობით გამოცხადებული ვაკანსიით მოხვდა, შემდეგ კი “ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს” საბჭომ სთხოვა, ფონდის დირექტორის თანამდებობა დაეკავებინა.

კახა ლომაიას მეუღლე არქიტექტორია და თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტში მუშაობს. ჰყავთ ორი ვაჟი - ათი და რვა წლის, რეზიკო და გია, რომლებიც თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში სწავლობენ.

ნინო ცინცაძე

- მიხეილ სააკაშვილმა თავის საინაუგურაციო სიტყვაში განათლება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა. შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ყველაზე საპასუხისმგებლო დარგის მინისტრი გახდით...

- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტმა ასე თქვა, მაგრამ არაფერიც რომ არ ეთქვა, ისედაც ცხადია: განათლება ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია. შეიძლება კლიშე გამომივიდეს, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოებაც აქედან იწყება და ჩვენი მომავალიც ამაზეა დამოკიდებული. ამიტომ, მართლაც, ვფიქრობ, რომ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო-ადმინისტრაციულ რგოლში მოვხვდი. განათლება პრაქტიკულად ჩვენი ყველა მოქალაქის ოჯახის ინტერესს ეხება - ზოგის შვილი საბავშვო ბაღში დადის, ზოგის - სკოლაში, ზოგი სტუდენტია, ზოგი აბიტურიენტი, პედაგოგი, ანდა სულაც რეპეტიტორი, ან შუამავალია მშობელსა და სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციას შორის, რომელსაც ხან ფული დააქვს და ხან შეტყობინებები.

განათლების სისტემა უმძიმეს მდგომარეობაშია. ათასობით ოჯახი მოკლებულია შესაძლებლობას, ბავშვი ბაღსა თუ სკოლაში ატაროს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ სწავლა ფასიანია, არამედ იმიტომაც, რომ მშობლებს საშუალება არა აქვთ, ბავშვებს ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და სახელმძღვანელოები შეუძინონ. კატასტროფული მდგომარეობაა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სკოლებში და ბავშვთა გაშვილების ინსტიტუტის სფეროში. სულ ცოტა ხნის წინ მოხდა ისე, რომ ორი ბავშვი, რომლებიც პრაქტიკულად მზად იყვნენ საზღვარგარეთ გაშვილებისათვის, დაიღუპნენ იმის გამო, რომ ეს პროცესი ხელოვნურად დამუხრუჭდა. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, როგორი უნდა იყოს ამ პროცესის ალტერნატივა, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ განათლების სამინისტროს მხრიდან ამ სფეროს ადმინისტრირება სწორად არ ხდებოდა. შესაძლებლად მიმაჩნია, ამ სფეროში რაღაც ფუნქციები სხვა უწყებებს გადაეცეს. საერთოდ, არავითარი მანია არა მაქვს იმისა, რომ რაც შეიძლება მეტი სფერო ვმართო. როგორც მენეჯერმა, ძალიან კარგად ვიცი, რომ რაც უფრო მეტი უფლების დელეგირება მოხდება ჰორიზონტალური ან ვერტიკალური მიმართულებით, მით უფრო ეფექტური იქნება მართვა.

განათლების სისტემის ძალიან მნიშვნელოვანი სფეროა პროფესიული განათლებაც, რომელიც, სამწუხაროდ, სახელმწიფოს ყურადღების მიღმაა დარჩენილი. პოსტსაბჭოთა სივრცეში და აღმოსავლეთ ევროპაში ძალიან ბევრმა ქვეყანამ აირჩია პროფესიული განათლების სისტემა, როგორც განათლების განვითარებისა და ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთი პრიორიტეტული გზა. როგორც ვიცი, ამ მიმართულებით საქართველოში რამდენიმე თავდადებული ადამიანი პირად ენთუზიაზმზე მუშაობს. სახელმწიფოსგან წლების განმავლობაში მათ ხელის შეშლის მეტი არაფერი მიუღიათ. ამ სფეროსაც სერიოზული ხელშეწყობა და განვითარება სჭირდება.

- თქვენს გამინისტრებას რამდენიმე პოლიტიკოსი აქტიურად ეწინააღმდეგებოდა. მიზეზი ერთადერთი იყო - სოროსის ფონდი. სამწუხაროდ, ფობიები სხვადასხვა ფონდების, გრანტებისა და, საერთოდ, სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ჩვენთვის უცხო არ არის. ეს შიშები მომავალმა თაობამაც რომ არ მიიღოს მემკვიდრეობით, ალბათ, სკოლებში სამოქალაქო განათლების დანერგვაა აუცილებელი...

- სამოქალაქო განათლება, საერთოდ, სამოქალაქო ცნობიერება უმნიშვნელოვანესი რამაა. ჯერჯერობით ამას ცალკე საგნად ვასწავლით ცალკეულ სკოლებში, თუმცა, აუცილებელია, ამან საყოველთაო სახე მიიღოს. მეტიც, თითოეულ საგანში, ერთი შეხედვით სრულიად დაუკავშირებელი საგნის ფარგლებშიც კი, პედაგოგისგან მოწაფისკენ უნდა მიდიოდეს ისეთი სიგნალები, როგორიცაა ტოლერანტობა, შემწყნარებლობა, გახსნილობა სხვა აზრის მიმართ, მზადყოფნა, რომ ბევრი რამ მოისმინო და შემდეგ საკუთარი დასკვნა გამოიტანო, უნარი, ჩამოაყალიბო, გამოთქვა და დაიცვა საკუთარი შეხედულებები.

სხვათა შორის, თუ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას გაუკეთებია რამე საქართველოს განათლების სისტემისა და მეცნიერების განვითარებისთვის, ეს, პირველ რიგში, ალბათ, “ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოა”. ამ ფონდმა განათლებისა და მეცნიერების სხვადასხვა ასპექტში, სხვადასხვა დროს დიდი წვლილი შეიტანა დაწყებული იმ დროიდან, როდესაც 1993 წელს პირველი პროგრამა განხორციელდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იმ წლებში ძალიან ბევრი ქართველი მეცნიერი ამ სტიპენდიების ხარჯზე შიმშილს გადაურჩა. იქიდან მოყოლებული დღემდე ფონდის პროგრამები შეეხო განათლების ყველა სფეროს - საბავშვო ბაღებით დაწყებული და უმაღლესი განათლებითა და მეცნიერებით დამთავრებული. ვერ ვიტყვი, რომ პროგრამა ყველგან თანაბარი წარმატებით განხორციელდა. ჩვენი როლი გარკვეული კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება იყო. შემდეგ მისი დანერგვა და განხორციელება მთავრობის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. თქვენ იცით, რა გააფთრებული წინააღმდეგობა შეხვდა ჩვენს პროექტს სკოლებთან დაკავშირებით.

- სწორედ ამას შეეხება შემდეგი შეკითხვა. შარშან სოროსის ფონდის ხელშეწყობითა და სამოქალაქო სექტორის ინიციატივით თბილისის საკრებულომ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც სკოლებს გარკვეული ავტონომიურობა ენიჭებოდა. იქმნებოდა სამეურვეო საბჭოები, დირექტორი ხდებოდა არჩევითი. შემდეგ ეს პროექტი პოლიტიკურ დაპირისპირებებს შეეწირა, განათლების სამინისტრომ ალტერნატიული კანონი აამუშავა. ახლა ჩვენს წინაშეა ერთგვარი საკანონმდებლო ქაოსი. ისევ ხომ არ არსებობს საშიშროება, რომ ეს საკითხი დღესაც პოლიტიკური სპეკულაციის საგანი გახდება?

- დღეს პოლიტიკური წინააღმდეგობა აღარ უნდა არსებობდეს, აღარ უნდა არსებობდეს ეს მანიაც, რომ ყველაფერი ერთი ადმინისტრაციული რგოლიდან იმართებოდეს. ახლა ჩვენი ვალია, ჩავატაროთ სკოლის ქონების ინვენტარიზაცია. მნიშვნელოვანი საკითხებია მოსაწესრიგებელი საკანონმდებლო დონეზე, მაგალითად, გაუმიჯნავია ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებრივი უფლებები სკოლებში. ეს აუცილებლად მოსაწესრიგებელია. საკანონმდებლო დონეზე, სამინისტროს ფუნქციაა საკანონმდებლო ბაზის მომზადება, შემდეგ კი აუცილებლად უნდა ამუშავდეს თვითმმართველობითი მექანიზმები.

- ჩვენს საზოგადოებაში ადამიანები მიჩვეულები არიან პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბარებას. ამ სისტემის მიხედვით მშობლებსა და ჩვეულებრივ მასწავლებლებს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სკოლის ცხოვრებაში, ვიდრე ადრე ჰქონდათ. როგორ ფიქრობთ, დადებითად მიიღებენ ამას ადამიანები?

- ბუნებრივია, საბჭოთა ტრადიციები დღესაც ცოცხალია და შეთანხმებული, კოლექტიური ქმედების კულტურა ჩვენთან დაბალია. მაგალითისთვის ისიც საკმარისია, როგორ ხდება ხშირად დავისა და კონფლიქტის საგანი სადარბაზოს შუქის ფულის აკრეფა მრავალსართულიან სახლებში. ძალიან კარგად მახსოვს, შარშან მე, როგორც მშობელი, აქტიურად ვიყავი ჩართული სკოლაში ამ პროექტის პროპაგანდის საქმეში. მაშინ მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან არაჩვეულებრივ მხარდაჭერას ვგრძნობდით, სკეფსისს მხოლოდ ადმინისტრაციის მხრიდან ვაწყდებოდით. ჩვენ უნდა მივიდეთ იქამდე, რომ სკოლა, როგორც თვითმმართველი ერთეული, დამოუკიდებელი იყოს თავისი ფინანსების განკარგვაში. დირექტორი არჩევითი საბჭოს მიერ დაქირავებული მენეჯერი უნდა გახდეს. შემოდის სკოლის ბიუჯეტის ცნება, ფინანსთა სამინისტროს ენაზე ამას საპროგრამო დაფინანსება ჰქვია. მის ფარგლებში სკოლა სრულიად თავისუფალი უნდა იყოს. ბუნებრივია, იარსებებს განათლების სტანდარტები, რომელსაც განათლების სამინისტრო სკოლას დააკისრებს იმისთვის, რათა მისი კურსდამთავრებულის ატესტატი აღიაროს, მაგრამ ამის მიღმა ყველა სკოლა ავტონომიური უნდა გახდეს. დარწმუნებული ვარ, ეს სისტემა ძალიან ბევრ მშობელს აუცილებლად გაუჩენს სკოლების დახმარების სტიმულს. ეს იქნება სრულიად გახსნილი საბიუჯეტო სისტემა და მასში თავიანთი მონაწილეობის შედეგებს მშობლებიცა და მასწავლებლებიც ძალიან მალე დაინახავენ.

- შეკითხვა, რომელზე პასუხიც უკლებლივ ყველა მშობელსა და სკოლის მოსწავლეს აინტერესებს: როგორი იქნება სკოლის დამამთავრებელი და უმაღლესების მისაღები გამოცდები. თუ რამე შეიცვლება, როდის? ამას გეკითხებით იმიტომ, რომ ფრაზა “რეფორმა მიმდინარეობს”, “რეფორმა დაწყებულია”, “რეფორმა დაიწყება” წლების განმავლობაში გვესმის, მაგრამ რეალურად არავითარი ცვლილება ადამიანებს არ უგრძვნიათ.

- საბოლოო ჯამში უნდა მივიღოთ ტესტირებაზე დაფუძნებული ერთიანი გამოცდა. მაღალი ქულის მფლობელი აბიტურიენტები პრაქტიკულად ავტომატურად ჩაირიცხებიან იმ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, რომელშიც მათ სურთ. საბიუჯეტო დაფინანსებაც, ბუნებრივია, იმ აბიტურიენტთა რაოდენობაზე იქნება აწყობილი, რომლებმაც ამა თუ იმ უნივერსიტეტს მიმართეს. ირთვება კონკურენციის მექანიზმები და ეს მექანიზმი თავად განსაზღვრავს იმ უმაღლესებს, რომლებიც მიმზიდველი იქნება აბიტურიენტებისთვის.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, პოლიტიკური ცვილილებების ციკლი სასწავლო პროცესის ცვლილებების ციკლს არ ემთხვევა. ახლა 20 თებერვალია და გამიჭირდება ვთქვა, შეიცვლება თუ არა რამე წლეულსვე, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ 2005 წლისთვის სკოლის დამამთავრებელი და მისაღები გამოცდები გაერთიანდება. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ მაქსიმალურად სწრაფად იმისთვის, რომ მოსწავლეებს მომზადების შესაძლებლობა მიეცეთ.

- რომელი ორგანო ჩაატარებს ამ გამოცდებს, ვინ შეაფასებს?

- ეს იქნება დამოუკიდებელი ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ძალიან ავტორიტეტული ადამიანებისგან უნდა იყოს შედგენილი.

- როგორი უნდა იყოს ამ ორგანიზაციაზე კონტროლის მექანიზმები, სად იქნება იმის გარანტია, რომ იქ არ მოხდება რაღაც კორუფციული გარიგებები? დამეთანხმებით, მხოლოდ ავტორიტეტულობა საკმარისი არ არის.

- მხოლოდ ავტორიტეტულობა, რა თქმა უნდა, არ იქნება საკმარისი, რაღაც კონტროლის მექანიზმები, ალბათ, განათლების სამინისტროსაც ექნება შერჩევითი შემოწმებების სახით. თუმცა, მთავარი ის არის, რომ თავად ტესტების სისტემა მნიშვნელოვნად ამცირებს რაიმე გარიგებების შესაძლებლობას.

- დღეს საქართველოში უამრავი უმაღლესი სასწავლებელია, თუ არ ვცდები, 27 სახელმწიფო და 100-ზე მეტი კერძო. ძალიან ბევრ მათგანში სწავლების ხარისხი, რბილად რომ ვთქვათ, დაბალია. რეალურად მხოლოდ რამდენიმე კერძო ელიტარული უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი ფასობს, ანუ მომავალი დასაქმებისთვის გამოდგება; სტატისტიკა გვეუბნება, რომ სახელმწიფო უმაღლესების კურსდამთავრებულთა მხოლოდ 3-7 პროცენტია დასაქმებული. როგორ შეიძლება მოგვარდეს ეს პრობლემა?

- არსებობს უამრავი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც არანაირ სტანდარტს არ აკმაყოფილებს. დასაწყისისთვის მათ უმკაცრესი ლიცენზირება უნდა ჩაუტარდეს. რომელი უმაღლესიც მას ვერ გაივლის, ლიცენზია ავტომატურად გაუუქმდება. ამის განხორციელებას ჩვენ ძალიან მალე შევუდგებით. რაღაც ნაბიჯები ამ მიმართულებით თითქოს გადადგმულიც იყო, მაგრამ ძალიან ადრეულ ეტაპზე შეჩერდა, პრაქტიკულად მხოლოდ რაღაც დოკუმენტები მომზადდა, პროცესი არც დაწყებულა. ამ კუთხის ეფექტურად ამოქმედების გარეშე განათლების სისტემაში რაიმე რეფორმაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ლიცენზირებას აკრედიტაცია მოჰყვება. როდესაც სახელმწიფო ლიცენზირებაზე და აკრედიტაციაზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელზეა ლაპარაკი, თუ კერძოზე. მერწმუნეთ, რომ ამ მხრივ არავითარი შეღავათი სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს არ მიეცემათ.

- რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ქართული უმაღლესების დიპლომი უცხოურმა უმაღლესებმა აღიარონ და ჩვენი მაგისტრის დიპლომით ხელში ახალგაზრდები, საუკეთესო შემთხვევაში, იქაური უმაღლესი სასწავლებლის მეორე კურსზე არ ხვდებოდნენ?

- ამისთვის ჩვენი განათლება ერთიანი ევროპული სივრცის ნაწილი უნდა გახდეს. ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო ხარისხებში საერთოდ გაუგებარი ვითარებაა. გვქონდა ამ ხარისხების საბჭოთა სისტემა - კანდიდატი და დოქტორი, შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება, გადავსულიყავით ბაკალავრიატი-მაგისტრატურა-დოქტორანტურის სისტემაზე, მაგრამ ბოლომდე არ გადავსულვართ და შედეგად რაღაც სიმბიოზი მივიღეთ. დღესავით ნათელია, რომ აპრობირებულ საერთაშორისო სისტემაზე მტკიცედ და ერთმნიშვნელოვნად უნდა გადავიდეთ. ეს, სხვათა შორის, საშუალო სკოლაში სწავლის ხანგრძლივობასაც უკავშირდება. ძალიან მალე ფაქტობრივ თორმეტწლიან სისტემაზე უნდა გადავიდეთ; ეს არ უნდა დარჩეს მხოლოდ ფურცელზე დაწერილ კანონად.

- დაბოლოს, საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით თქვენ არა მხოლოდ განათლების, არამედ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გახდით. შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებათა აკადემიას საკუთარ თავზე ერთგვარად მეცნიერების სამინისტროს ფუნქცია ჰქონდა აღებული. როგორ გაიმიჯნება თქვენი ფუნქციები და ხომ არ რჩება მეცნიერებათა აკადემია ერთგვარ უფუნქციო, ზედმეტ წარმონაქმნად?

- მეცნიერებათა აკადემიის ადმინისტრირების სისტემის იერარქიული მდგომარეობა ჩემთვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ერთი რამ სრულიად ნათელია: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები მნიშვნელოვნად უნდა გამსხვილდეს. შეიძლება ითქვას, რომ ის განყოფილებები, რომლებიც აკადემიაში არსებობს, მგონი, სულ თერთმეტია და თითოეულში რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტი შედის, აუცილებლად უნდა გაერთიანდნენ. სტატისტიკა გვეუბნება, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად იკლო მეცნიერთა რიცხვმა, მაშინ როდესაც ადმინისტრაციაში მომუშავე ადამიანთა რაოდენობა თითქმის უცვლელი დარჩა. ბუნებრივია, რომ ოპტიმიზაცია ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით უნდა მოხდეს, როგორიცაა ციტირების ინდექსები, მეცნიერთა და კვლევითი ინსტიტუტების ატესტატიზაცია და ა.შ. ცხადია, ეს ადმინისტრაციების მხრიდან წინააღმდეგობასთან იქნება დაკავშირებული, თუმცა, ყველას კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ მეცნიერები და მათი შრომა ჩვენს სახელმწიფოში ძალიან კარგად იქნება დაცული.

- ხომ არ უნდა წავიდეს მეცნიერება სასწავლო დაწესებულებებთან შეერთების გზით?

- აუცილებლად. გამსხვილება არ არის ერთადერთი გამოსავალი: აუცილებლად ვიზრუნებთ იმაზეც, რომ სასწავლო დაწესებულებები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები მაქსიმალურად დაუახლოვდეს ერთმანეთს. მე არ ვიცი, როდის მოხდება ეს. ბუნებრივია, ამის პედალირებასაც არავინ აპირებს, მაგრამ მომავალში სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები აუცილებლად საგანმანათლებლო დაწესებულებების ფარგლებში უნდა მოიაზრებოდნენ, როგორც ეს ევროპაში ხდება, ან საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო კომპანიების ფარგლებში, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია. არ გამოვრიცხავ, რომ, მაგალითად, საქართველოში რომელიმე ფარმაცევტული კომპანია ისე გაძლიერდეს, რომ რაღაც კვლევითმა ინსტიტუტმა მასთან იარსებოს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

კახა ლომაია.

ქვეყნის უსაფრთხოებაც განათლებიდან იწყება და ჩვენი მომავალიც განათლებაზეა დამოკიდებული.

საერთოდ, არავითარი მანია არა მაქვს იმისა, რომ რაც შეიძლება მეტი სფერო ვმართო. როგორც მენეჯერმა, ძალიან კარგად ვიცი, რომ რაც უფრო მეტი უფლების დელეგირება მოხდება ჰორიზონტალური ან ვერტიკალური მიმართულებით, მით უფრო ეფექტური იქნება მართვა.

სტატისტიკა გვეუბნება, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად იკლო მეცნიერთა რიცხვმა, მაშინ, როდესაც ადმინისტრაციაში მომუშავე ადამიანთა რაოდენობა თითქმის უცვლელი დარჩა.

საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
შეიძინეთ და აჩუქეთ გალერეა-სალონი სან-სეტის სასაჩუქრე ბარათი და საჩუქრის არჩევანის უფლება ბარათის მომავალ მფლობელს მიანდეთ.
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991

აფიშა

თეატრები

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი
აკა მორჩილაძე
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე.
დას: 18:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
მაიკლ ფრეინი
"ხმაური სცენის მიღმა"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 19:00 სთ.

თეატრალური სარდაფი
გუგა ნახუცრიშვილი, ზურაბ ქიქოძე
"ზეწოლა"რეჟისორი: ზურაბ ქიქოძე
დას: 20:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
ჯოზეფ ოსბორნი
"კომედიანტები"
რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი.
დას: 19:00 სთ.

ცირკი

მოსკოვის საცირკო დასის წარმოდგენები
დას: 15:00 სთ.

კლუბები

"ნოა-ნოა"
"რიო-კარნავალი"
დას: 22:00 სთ

გამოფენა

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრის მცირე დარბაზი
გოჩა მეძმარიაშვილის (მეგო) ნამუშევრების გამოფენა
"ფერთა ჭიდილი"

TMS
თანამედროვე ქართველ მხატვართა
ნამუშევრების გამოფენა

"ქარვასლა"
კახა ზარნაძის ნამუშევართა
პერსონალური გამოფენა
(ცივი იარაღი, აქსესუარები)

სურათების ეროვნული გალერეა
"მირზაშვილების ოჯახი"

"ორიენტი"
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა
პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

კვირას, 22 თებერვალს, 13 საათზე - მსახიობი ნინო ბურდული ბავშვებისთვის კითხულობს "პატარა უფლისწულს".

მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50

მოკლედ

სიახლე კლასიკურ ჩანაწერებში

წელს კლასიკური მუსიკის ჩანაწერების სიმრავლის მხრივ ხმის ჩამწერი კომპანიები ვერ დაიკვეხნიან. თუმცა, იო-იო მა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მსმენელი არ მოაწყინოს. "გრემით" დაჯილდოებული ალბომის "ობრიგადო ბრაზილის" შემდეგ, რომელიც 2003 წლის ივლისში გამოვიდა, მა კიდევ ერთ კომპაქტს უშვებს. ნახევარი წლის თავზე გამოდის "ობრიგადო ბრაზილ – ცოცხალი შესრულება", რომელიც შემოდგომაზე ნიუ იორკში გამართული კონცერტის ჩანაწერია. მას ალბომში გვერდს უმშვენებს ცნობილი ბრაზილიელი გიტარისტები, ძმები ასადები, კუბელი კომპოზიტორი-კლარნეტისტი – პაქიტა დ`რივერა, მომღერალი როზა პასოსი და ინგლისელი პიანისტი კეტრინ სტოტი. მათი შესრულებით ხან პიაცოლას "ტანგო სუიტა" გაისმის, ხან ჟობიმის ლათინური პოპ-არია "მარტის წყლები", ან როგორც პორტუგალიელები ამბობენ - Aguas de Marco. ასეთია იო-იო მას ახალი საჩუქარი თაყვანისმცემლებისთვის.



პირველი ნაბიჯები

პრიორიტეტები გარკვეულია

გუშინ განახლებული სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელმა პირველი სამუშაო ნაბიჯები გადადგა. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა თავისთან ხელოვნების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები მიიწვია. ზედაპირული დაკვირვებითაც ნათელია, რომ პრიორიტეტები არჩეულია. იმედია, გამჭვირვალობასა და თანამშრომლობის უნარს ახალი მინისტრი არ დაკარგავს და არჩეულ პრიორიტეტებს გიორგი გაბაშვილს დაქვემდებარებული სახელმწიფო უწყების თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ბირთვი მაინც უერთგულებს.

ვერა ნეფარიძე

"დღეს ინფორმაციას არ გავცემ. პირიქით, ამ ინფორმაციას მივიღებ იმ ადამიანებისგან, ვინც კულტურის სფეროში მოღვაწეობენ. ეს იქნება შინაური, არაფორმალური შეხვედრა. ვიმსჯელებთ, ვიდავებთ, ალბათ. დღეს ვისაუბრებთ მათთან, ვინც თანამშრომლობს საერთაშორისო დონორებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აქ არიან ისინი, ვინც კულტურის სამენეჯერო, მამოძრავებელი ძალაა; ვინც ჩართულია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში", - ეს კომენტარი პრესისთვის გიორგი გაბაშვილმა შეხვედრამდე რამდენიმე წუთით ადრე გააკეთა.

მესამე სექტორის ამდენი წარმომადგენელი არც ერთდროულად და არც ცალ-ცალკე, ალბათ, გუშინდლამდე არასდროს ყოფილა კულტურის სამინისტროში. მით უმეტეს, იმ მიზნით, რა მიზნითაც ახალგაზრდა გოკა გაბაშვილმა ისინი შეკრიბა. ამ შეხვედრიდან უკვე ცხადი ხდება განახლებული სამინისტროს მუშაობის ძირითადი მიმართულებები. როდესაც ახალი ხელმძღვანელი პირველ სამუშაო შეხვედრას არასამთავრობოებთან და მასმედიასთან ითხოვს, ეს უკვე რაღაც ახალია. გუშინდელ შეხვედრაზე კი სიახლეები სრულიად აშკარა იყო (ყოველ შემთხვევაში მათთვის, ვინც მიჩვეულია სამინისტროებში სიარულს): ახალი ტერმინოლოგია (ბორდი; ბრეინშტორმინგი...), მოხსენების ფორმალური მხარე (მინისტრმა გაგვიმხილა, დაფასთან უფრო მიადვილდება აზროვნებაო და სათქმელს გრაფიკულადაც გამოხატავდა), გაცილებით მეტი (ჩვენთვის კარგად ცნობილ "ჩინოვნიკებთან" შედარებით) უშუალობა და ა.შ. უბრალოდ, არ შეიძლება ეს ყველაფერი ვერ დაინახო ან, გარკვეული იმედები მაინც არ ჩაგესახოს (თუმცა, იმედებს გამართლება რომ უნდა, ამაში ორი აზრი არ არსებობს).

შეხვედრაზე ბევრი არასამთავრობოელი მოვიდა. როგორც გაირკვა, სრულიად ობიექტური მიზეზით (იმის გამო, რომ შეხვედრა წინა საღამოს დაიგეგმა და მათ შესაკრებად დრო საკმარისი არ აღმოჩნდა), სამინისტროში მისვლა ბევრმა ვერ მოახერხა. თუმცა, საქმე მხოლოდ რაოდენობაში არაა. არავისთვის არ არის უცხო, რომ ჩვენთან (დედაქალაქში მაინც) კულტურული ცხოვრება გაცილებით აქტიურად სხვაგან ჩქეფს, ვიდრე სამინისტროზე უშუალოდ დაქვემდებარებულ (დაქვემდებარება უფრო მეტად ფინანსურ დამოკიდებულებას გულისხმობს) კულტურულ კერებში. ამ შემთხვევაში დამნაშავე თავად სახელმწიფო სისტემა იყო. ამიერიდან რომ ასე აღარ იქნება, ამის იმედს სამინისტროსა და არასამთავრობოებს შორის გუშინ დაწყებული თანამშრომლობა იძლევა. გუშინ ახალ მინისტრთან სწორედ ის ხალხი (ყოველ შემთხვევაში, დიდი ნაწილი მაინც) შეიკრიბა, ვინც უკანასკნელ წლებში ცდილობს, აქტიური როლი ითამაშოს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

ახალი მინისტრი - ახალი იმედები

შეხვედრის დასაწყისში მინისტრმა სტუმრებს გააცნო ის პრიორიტეტები, რომლებიც სამთავრობო პროგრამის შედგენისას გამოიკვეთა. აქედან გამომდინარე ირკვევა, რომ საქართველოს კულტურის პოლიტიკა იქნება: კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა (მის გარშემო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია), საერთო ეროვნული მნიშვნელობის კულტურულ ცენტრებზე ზრუნვა (მენეჯმენტის გაუმჯობესება, პოპულარიზაცია) და სახელოვნებო განათლების სფერო (რასაც კულტურის მინისტრი განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით აპირებს). გიორგი გაბაშვილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს სხვადასხვა სფეროების საყოველთაო ხელმისაწვდომობას. "არც ერთი რეგიონი და რაიონი არ უნდა იყოს სპორტული კომპლექსისა და კულტურული კერის გარეშე", - ასეთია ახალი მინისტრის უშელავათო პირობა.

გუშინ, ცხადია, დაფინანსებაზეც ისაუბრეს. ყველაზე მიმზიდველი ის იყო, რომ შარშანდელთან შედარებით, წელს კულტურის დაფინანსება თურმე გაორმაგდება. დაფინანსება გაეზრდებათ წელს სპორტსა და ძეგლთა დაცვასაც. იმუშავებს კულტურის დაფინანსების რამდენიმე მექანიზმი: პირდაპირი (ბიუჯეტიდან) და პროგრამული (რაც აქამდეც არსებობდა); ასევე, როგორც მინისტრი გაბაშვილი ვარაუდობს, გაზაფხულზე დამტკიცდება კანონი ქველმოქმედებისა და მეცენატობის შესახებ და კიდევ, შემოიღებენ ე.წ. ეროვნულ ლატარეას (ამ უკანასკნელის დეტალების განხილვა საწყის სტადიაშია). "ჩვენ აღარ დავაფინანსებთ უპირობოდ არც ერთ ორგანიზაციას. ყველა მათგანის დაფინასნების საკითხი უნდა გადაწყდეს კრიტიკული ანალიზის შედეგად. ფული მათ მხოლოდ სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე მიეცემათ", - პრინციპულია მინისტრი. ასეთი (უპირობოდ დაფინანსებული) ორგანიზაციების რაოდენობა ამჟამად 45-ია. ეს ორგანიზაციები, მათი საქმიანობისა და პროდუქტიულობის მიუხედავად, წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. სხვათა შორის, ამ პრობლემაზე ხშირად სესილი გოგიბერიძეც საუბრობდა ხოლმე, მაგრამ ცხადია, არსებული სისტემის პირობებში, მისი ინიციატივა ვერ სრულდებოდა.

გუშინდელი შეხვედრის არანაკლებ მნიშვნელოვანი თემა ახლადჩამოყალიბებული სამინისტროს შიდა სტრუქტურული რეორგანიზაცია იყო. საკითხზე მსჯელობისას გიორგი გაბაშვილმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ამასთან დაკავშირებით არსებობს ძალიან ზოგადი მონახაზი და ის რასაკვირველია, ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის. ამ მონახაზის მიხედვით, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში იარსებებს: სპორტის, ეროვნული მემკვიდრეობის, ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტები. თუ რომელ სტრუქტურებსა და სფეროებს გააერთიანებს თითოეული მათგანი, ჯერ არაა გადაწყვეტილი. ასე რომ, მინისტრი გაბაშვილი საკმაოდ აქტიურ მუშაობას იწყებს. პირველ კვირა დღეს კი იგი მასმედიის წარმომადგენლებთან ერთად, კახეთში სტუმრობით ე.წ. "შავი არქეოლოგიის" წარმომადგენლებს მკაცრად გააფრთხილებს.

ახალი ტალღა

მინანქრის პირველი საერთაშორისო ბიენალე დასრულდა





გამარჯვებული ნამუშევრები

თეონა ჯაფარიძე

მინანქრის პირველი საერთაშორისო ბიენალეს ბოლო აკორდი კატალოგის პრეზენტაცია და მაყურებლის სიმპათიის პრიზის მფლობელის ვინაობის დადგენა გახლდათ. გამოფენის გახსნის დღიდან, ანუ 7 თებერვლიდან, გუშინდლამდე გალერეა "შარდენში" საკონკურსო ნამუშევრები კვლავ გამოფენილი იყო და დამთვალიერებელთა ტალღა არ კლებულობდა. ყოველი მათგანი არჩევანის გაკეთების უფლებით სარგებლობდა და მისთვის სასურველ ნამუშევარსა და ავტორს ასახელებდა. საბოლოოდ კი, უმეტესობის არჩევანი ნინო ბურკაძის ყელსაბამზე შეჩერდა. ასე რომ, ბიენალეს მეხუთე პრიზიორი ნინო ბურკაძე გახდა. შეგახსენებთ, რომ ბიენალეს დანარჩენი ოთხი პრიზის მფლობელი საერთაშორისო ჟიურიმ დაასახელა: რელიგიურ თემაზე შექმნილი ნამუშევრისათვის "იერუსალიმში შესვლა" პრიზი ნინო გიორგაძეს გადაეცა. საუკეთესო მინანქრულ კომპოზიციად ზაზა ლოდიას "ქალი" აღიარეს. დათო ჩხეიძის თასი "პრიმა ვერა" საუკეთესო დიზაინისთვის მოიწონეს. საუკეთესო სამკაული კი პაატა პაატაშვილმა შექმნა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ბიენალეში ქართველი ავტორების გარდა ამერიკელი, ესპანელი, ებრაელი, ბრაზილიელი და ვენესუელელი მხატვრებიც მონაწილეობდნენ, (მათი ნამუშევრები ბიენალეს დაწყების წინ გამოიგზავნა თბილისში) მაგრამ ჟიურის თავმჯდომარემ - ამერიკელმა ჯუდი სტოუნმა უპირატესობა ქართველ ოსტატებს მიანიჭა. და მართლაც, ექსპოზიციის დათვალიერებისას, უპირატესობას თუ არა, აშკარა განსხვავებას ნამდვილად იგრძნობთ ქართულ და ამერიკულ, ან ქართულ და ესპანურ მინანქარს შორის. თავად "ახალი ტალღის" ქართველი ოსტატები ხელწერით ძალიან ჰგვანან ერთმანეთსაც და ძველ ქართველ ოსტატებსაც. ერთი სიტყვით, ახალი ქართული ტალღა, ცნობილი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, კარგად დავიწყებული ძველია და ეს ძველი საერთაშორისო ჟიურისათვის საინტერესო აღმოჩნდა. "ტექნიკურად ამერიკულიც ტიხრულია, მაგრამ ის მაინც მეოცე საუკუნის ხელოვნებაა და სტილისტურად და მხატვრულად აბსოლუტურად განსხვავებულია ქართულისაგან" - ამბობს ჟიურის წევრი, ხელოვნებათმცოდნე ია დვალი.

მაინც რას მიაღწია ბიენალეს ორგანიზატორმა "თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრმა", სამხატვრო გალერეა "შარდენმა"? "უამრავ კონტაქტს, უცხოეთში ქართული თანამედროვე და, პირველ რიგში კი, უძველესი ტიხრული მინანქრით დაინტერესებას" - ამბობს ია დვალი და მერე დასძენს: "მინანქრის ყოველწლიურ გამოფენაზე ამერიკაში უკვე დაინტერესდნენ თანამედროვე ქართველი ოსტატებით. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან კი თბილისური ბიენალეს მონაწილეების კატალოგების გაგზავნას ითხოვენ." კატალოგი კი, მართლაც, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცა "კაბადონში". დიზაინერი გია ჩაჩუა გახლავთ.

P.S. ორი წლის შემდეგ ბიენალეს ორგანიზატორები, პირველად მინანქრის ბიენალეების ისტორიაში ფუნქციონალური მინანქრის საერთაშორისო კონკურსის ჩატარებას აპირებენ.

"ხანუმა" დაბრუნდა

თეონა ჯაფარიძე

"ხანუმა", თანაც ოცდამეერთე საუკუნეში, თანაც სარდაფში (წესით, ანდერგრაუნდს რომ უნდა ეძახდნენ და თამაშობდნენ სწორედ იქ), დღევანდელი რეალური დრო, სპექტაკლის თამაშის ადგილი, ვაკის თეატრალური სარდაფი და კლასიკად ქცეული პიესა - ერთი შეხედვით, ეკლექტიკურ აურას უნდა ქმნიდეს. მაგრამ უცვლელია მოქმედების ადგილი – ქალაქი თბილისი, ან როგორც მას ავქსენტი ცაგარელის უკვდავი გმირების თანამედროვენი მოიხსენიებდნენ - ტფილისი. და სამწუხარო თუ სასიხარულოა, არ ვიცი, მაგრამ უცვლელია ამ ქალაქში ცხოვრების წესიც.

თუმცა, სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორს – ლევან წულაძეს, იგივე ჭოლას, სულაც არ უნდოდა, რომ ეს ასე არ მომხდარიყო: დაახლოებით, ორი თვით ადრე, როცა ის "ხანუმაზე" მუშაობას იწყებდა, ცნობისმოყვარე ჟურნალისტების კითხვაზე – "რატომ ხანუმაო?" - პასუხობდა: "ვგრძნობ, რომ ახალი ცხოვრება იწყება. გაუთავებელი სუფრები და ქეიფები, ადამიანების ურთიერთობები, ალბათ, ისტორიას საბოლოოდ ჩაბარდება. ახალი თბილისი დაიბადება. ამიტომ გადავწყვიტე ძველს ძეგლი დავუდგა. არ ვიცი, ეს ცუდია თუ კარგი. უბრალოდ, ვგრძნობ, რომ ეს ყველაფერი დრომ მოიტანა." მაგრამ ჭოლამ ძველ თბილისს "ისეთი ძეგლი დაუდგა", რომ ცოტა ძნელია მასთან განშორება.

თქვენ წარმოიდგინეთ, მასთან განშორება ცაგარელის ამ ძველი პიესის ახალ, ჭოლასეულ პერსონაჟს, თბილისში ჟენევიდან, განათლებული ევროპიდან კლარა ცეტკინისა და როზა ლუქსემბურგის მიერ კლასობრივი ბრძოლის გასაჩაღებლად მოვლინებულ ჰელგა პოლაკსაც (მსახიობი ნატო ებანოიძე) კი გაუჭირდა. სპექტაკლის დასაწყისში, როცა ის შუაგულ სცენაზე თვითმფრინავით დაფრინდა და ფოთში ამოჰყო თავი, გაუკვირდა როცა სამმა ჩოხიანმა აზნაურმა 12 კალათი ვარდი მიართვა უცხო ქალბატონსა და ფაეტონითა და "რაღაც პოლიფონიური სიმღერით" მატარებლამდე მიაცილა. თანაც ამ ძვირადღირებულ ვარდებს, გზადაგზა ფანტავდნენ. "მაინც რა იყო ენერგიისა და ფულის ასე ფუჭადხარჯვა. სტუმართმოყვარეობა - ეს არ არისრი" – ბრაზობს განათლებული ევროპის შვილი. მერე იყო და თბილისში ჩასულმა ბოტანიკური ბაღი იკითხა. ბაღი კი მიასწავლეს სად იყო, მაგრამ, მანამდე სახლში მიიპატიჟეს, ბავშვი მონათვლინეს, მერე ტრაქტირიდან - აბანოში, აბანოდან, დუქანში, დუქნიდან - ნათესავებში... "ღმერთო, რამდენი ღვინო იწურება და ისმება ამ ქვეყანაში" – გიჟდება ევროპელი. "ჩვენ მონები კი არა – მათი კერპები ვართ. ჩვენი ქმრები დილას ჩვენი სადღეგრძელოებით იწყებენ და დღესაც ამით ამთავრებენო" – პასუხობენ მის შენიშვნას ქართველი ქალები. მაშინ, როცა ნახევარი მსოფლიო სელაპის ქონის სანთლებით ეკონომიურად ნათდება, გოლოვინის პროსპექტი ქართველებს დღე და ღამე უდარდელად გაუჩახჩახებიათ. თათრის მოედანზე თორმეტ საათზე რომ ზარბაზანი გავარდება, ეს იმის მაუწყებელია, რომ ორთაჭალის ბაღებში თავადაზნაურები ნადიმს იწყებენ. "ჰოდა, ძნელია, ისეთ ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგია იქადაგო, სადაც კლასები ერთმანეთს არ ებრძვიან. აქ ყველას ერთმანეთი უყვარს" – უკვირს ევროპის შვილს.

სცენა სპექტაკლიდან

სცენაზე ქართულ- სომხური ტრადიციული ურთიერთობებიც თამაშდება: შეხედე გოლოვინის პროსპექტს. ამ შენობებს რომ უყურებ, სულ ჩვენი აშენებულია", ან კიდევ "შე სომეხოო" – ხშირად გაისმის ასეთი ფრაზებიც. მაგრამ ჭოლა სპექტაკლის ბოლოს თავად ფანტიაშვილსა, მსახიობი ზუკა პაპუაშვილი) და მაკარ ტყუილ-კოტრიანცს (მსახიობი ბესო ბარათაშვილი) "ერთმანეთს ახუტებს". ესც თქვენი ეროვნული უმცირესობები. აქ ყველაფერი "განათლებული ევროპის" ჩარევის გარეშე, თავისთავად გვარდება.

ცაგარელის პიესაში სიუჟეტი თითქმის ძველებურად ვითარდება. "ფრანცუცულად მოლაპარაკე სოფა (მსახიობი ეკა ანდრონიკაშვილი) საბოლოოდ კოტეს (მსახიობი ირაკლი ჩოლოყაშვილი) მიჰყვება ცოლად. უნდა ვაღიაროთ, რომ ირაკლი ჩოლოყაშვილის კოტე, ალბათ, ყველაზე "მეტად კოტეა", აქამდე ნანახ კოტეებს შორის. პუბლიკამ პრემიერაზე სიქო და საქოს ახალი, საინტერესო დუეტი იხილა, დუტასა და კაბუს (კახა აბუაშვილი) შესრულებით. ახალგაზრდა, ეშხიანი და მეტად ელასტიკურია ნანა შონიას ხანუმა. როგორც ყოველთვის, დამაჯერებელია მანანა კაზაკოვას თამაში. ქაბატოს ახალი, არატრადიციული ვერსია შემოგვთავაზა მსახიობმა ბაია დვალიშვილმა. და ბოლოს, მაყურებელი მოხიბლა სირანოს როლით ქეთი ცხაკაიას პროფესიონალიზმმა. ერთი სიტყვით, დასი კარგ ფორმაშია.

სცენოგრაფია და ქორეოგრაფია ტრადიციულად, შოთა გლურჯიძესა და გია მარღანიას ეკუთვნით. მაგრამ ტრადიცია დაირღვა და სარდაფის სცენაზე კომპოზიტორ ვახტანგ კახიძის დებიუტიც შედგა. კახიძის მუსიკა, მისი სხვადასხვა ნაწარმოებებიდან კიდევ უფრო ამძაფრებს "კავკასიურ თემას" და კრავს სპექტაკლს. დარბაზი მოინუსხა კახიძის "ლეკურის" მელოდიით.

შეგახსენებთ, რომ სპექტაკლის სპონსორია, უფრო მართებულია თუ ვიტყვით, რომ მეცენატობა გასწია კომპანია ჯეოსელმა.

ერთი სიტყვით, ქართულ თანამედროვე სცენაზე "ხანუმა" დაბრუნდა და ეს არ არის ანაქრონიზმი და არც "გამოთხოვება ძველ თბილისთან", ეს უფრო ფასეულობების კიდევ ერთხელ გადაფასებაა. თქვენც ნახეთ და დარწმუნდით, რომ ძველი ქართული ფასეულობებიც ახალი გლობალური კულტურის საკმაოდ საინტერესო ნაწილია.

"მას ქალები უყვარდა"

ნადია აუერმანი ჰელმუტ ნიუტონის შესახებ

ბერლინელ ჰელმუტ ნიუტონს პროვოკაციული სურათები უყვარდა და არა ტკბილი ეროტიკა. მაგრამ მის ნამუშევრებში ქალებს სიამაყე და ღირსება არასოდეს დაუკარგავთ. მოდელი ნადია აუერმანი გერმანიის უდიდესი ფოტოგრაფის შესახებ ჰყვება.



ნადია აუერმანი ჰელმუტ ნიუტონის ფოტოზე

ჰელმუტ ნიუტონი პირველად თორმეტი წლის ასაკში აღმოვაჩინე, მაშინ, როცა მოდელის კარიერაზე არც მიფიქრია. მას ბერლინში გამოფენა ჰქონდა, რომელიც დავათვალიერე და ძალიან მომეწონა. გარდა ამისა, დედაჩემს სახლში მისი რამდენიმე ალბომი ჰქონდა. მაგრამ პირადად ის მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გავიცანი.

მაშინ პარიზის ძველ ოპერაში, ივ სენ ლორანისთვის გადაღებებზე ვიყავი. ამ საქმეში მხოლოდ რამდენიმე თვის მისული გახლდით და პატარა გოგოსავით მიხაროდა, რომ ჩემი დიდი ფოტოგრაფი კერპის პირადად გაცნობის საშუალება მექნებოდა. მის შესახებ ვიცოდი, რომ ერთი რამ მაინც გვქონდა საერთო: ორივენი ბერლინელები ვიყავით.

ამ პირველსავე შეხვედრაზე ვიგრძენი, რომ ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდა, ტელეპატიურად, და ამის გამო ერთად მუშაობა ულაპარაკოდ შეგვეძლო, ყოველთვის ვიცოდით, რას ველოდით ერთმანეთისგან. ასეთი ნიჭი ჰელმუტ ნიუტონის დონის გენიალურ ფოტოგრაფებს ახასიათებთ. თავდაპირველად მასთან თავშეკავებული ვიყავი – არ მინდოდა, რომ მის, 1938 წელს ნაცისტებისგან საზღვარგარეთ გაქცეული ბერლინელი ებრაელის ძველ ჭრილობებს შევხებოდი. ისიც არ გამიკვირდებოდა თუ ის, ისევე, როგორც სხვა ემიგრანტები, ცუდი მოგონებების გამო გერმანულად აღარ ილაპარაკებდა. მაგრამ მისთვის ეს პრობლემა არ იყო. ის ისევე ლაპარაკობდა გერმანულად, როგორც ფრანგულად და ინგლისურად, და ჩემდა გასაოცრად – ეს საუბარში მალე გაირკვა, - ოდესღაც მშობლიური ქალაქის შესახებ მხოლოდ პოზიტიური მოგონებები ჰქონდა. პირველი შეხვედრების დროს მას თქვენობით მივმართავდი. მოდის სამყაროსთვის ეს უჩვეული რამაა, მაგრამ ჩემთვის პატივისცემის საკითხი იყო.

პირველივე დღიდან მისი დიდებული ბერლინული იუმორი მეცა თვალში, რომლის შენარჩუნებაც მან ათწლეულების განმავლობაში შეძლო. მე მიყვარდა მისი ირონია, ზოგჯერ შავი იუმორიც. ეს ტონი ჩემთვის თითქოს სამშობლოს ნაწილი იყო, მაშინ როცა საერთაშორისო მოდის ასპარეზზე მისი იუმორი ყველას არ ესმოდა და მის ყოველ ნათქვამს სერიოზულად იღებდნენ. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მრავალს ჰელმუტი ხისტ და არამიმზიდველ ადამიანად მიაჩნდა. პირადად მე ვთვლიდი, რომ ის ძალიან მომხიბვლელი იყო.

ჩვენ ბერლინის შესახებაც ვსაუბრობდით. მაგალითად, აინტერესებდა, ვანზეეზე თუ დავდიოდი საბანაოდ. ერთხელ ბერლინში ერთად ვმუშაობდით, და როცა გადასაღებ ადგილებს ვეძებდით, ის სულ თავის ბავშვობის ადგილებს ეძებდა, გარკვეულ სახლებს და კუთხეებს. როცა ვერაფერი იპოვნა, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ძალიან იდარდა. მაგრამ, როგორც ჭეშმარიტმა ბერლინელმა, მან ყველაფერი იუმორით მიიღო. ეს იყო მისი ძალა.

მას, მრავალ სხვა უცნაურ ნივთთან ერთად, უზარმაზარი პლასტიკის მკერდი ჰქონდა, რომლის დამაგრებაც შეიძლებოდა. ამ არანორმალური აქსესუარით მან ერთხელ მეც გადამიღო სურათი, პერვერტირებულ თოჯინა ბარბის ვგავდი. ამ გზით ის პროტესტს გამოთქვამდა მკერდის ხელოვნური გაზრდის წინააღმდეგ, თუმცა ზოგიერთებმა ეს სხვანაირად ახსნეს. იმასაც ვფიქრობ, რომ მისი ქერა ნაწნავების მიმართ სიყვარული, რომლის გამოც ნებისმიერი ქალი ძალიან "გერმანულად" გამოიყურება, ირონია იყო. სხვაგვარად ის ამას ხაზს არასოდეს გაუსვამდა.

ერთხელ ჰელმუტს ამერიკულ "ვოგისთვის" მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები უნდა გადაეღო. ჰელმუტს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი უყვარდა, რადგან ისინი ფეხებს აგრძელებს, მას კი ქალის გრძელი ფეხები მოსწონდა. მაგრამ ის იმასაც ხვდებოდა, რომ ასეთი ფეხსაცმელი ქალს ასახიჩრებს, ფეხებს და ზურგს უზიანებს და საფრთხის დროს გაქცევის საშუალებას არ იძლევა. გადაღებების დროს მან გადაწყვიტა, რომ ინვალიდის სავარძელში ჩავესვი, რომელზეც წითელი აბრეშუმი იქნებოდა გადაკრული, და ამით მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის მიერ მოყენებული ზიანისთვის გაესვა ხაზი. ამის შედეგი ძალიან შთამბეჭდავი ფოტოსერია იყო, რომელმაც ამერიკაში დიდი კამათი გამოიწვია.

ის არა მარტო არაჩვეულებრივად ნაყოფიერი, არამედ სწრაფი ფოტოგრაფიც იყო. ჩემი საყვარელი პორტრეტის გაკეთებას მან მხოლოდ ნახევარი საათი და ერთი ფირი მოახმარა - "დავიჭირე. წავიდა!" ამ გადაღებების დროს ჰელმუტს ბერძნული მითოლოგიიდან ერთი სცენის გაცოცხლება უნდოდა, როცა ზევსი სპარტის მეფის ცოლს, ლედას, გედის სახით ეცხადება. მე, ლედა, ლოგინზე ვწევარ, ჩემზე კი გედია გადაშლილი. როცა ფოტოსურათი ამერიკის ერთ-ერთ ჟურნალში გამოქვეყნდა, მკითხველები ძალიან აღშფოთდნენ, საწყალ გედს რა უქნესო. მრავალმა მართლა დაიჯერა, რომ გედი ცოცხალი იყო. სხვა ამერიკელებს სურათმა ცხოველებთან სექსი მოაგონა. ჰელმუტი იმას ახერხებდა, რომ მოდის გადაღებისას სრულიად განსხვავებული რეაქციების პროვოცირებას ახერხებდა.

გარდაცვალების შემდეგ მრავალმა ადამიანმა – განსაკუთრებით, გერმანიაში, - მას მხოლოდ შიშველი ქალების ფოტოგრაფი უწოდა. ჩემთვის ასეთი აზრი მიუღებელია, ის მისი დანატოვარის სიდიადეს შეურაცხყოფს. ის ბევრად უფრო დიადი იყო, პირველ რიგში, გენიალური მოდის ფოტოგრაფი გახლდათ. ჯერ კიდევ მისი სიცოცხლის დროს ზოგიერთმა კრიტიკოსმა მის შემოქმედებას ქალთა მიმართ მტრული უწოდა. ჩემთვის ესეც გაუგებარი ბრალდებაა. ჩემი აზრით, ქალების მიმართ მტრული მრავალი ჰიპ-ჰოპის ვიდეოჩანაწერია, რომლებშიც ქალები უნებო ობიექტებად არიან წარმოადგენილი. ჰელმუტმა საპირისპირო რამ გააკეთა. მას ქალები უყვარდა, მას მათი დიდი პატივისცემა და შეიძლება, ცოტა შიშიც ჰქონდა. მისი ყველა მოდელი მაღალი, ძლიერი ქალი იყო. მისთვის მთავარი ძალა იყო, სუსტი ქალი არასოდეს გადაუღია. მის ფოტოსურათებზე ქალები თავდაჯერებული, დამოუკიდებელი ადამიანები არიან, რომლებიც ობიექტის დონემდე დეგრადირებას არ დაუშვებენ.

მე ძალიან მიხარია, რომ ჰელმუტ ნიუტონს ვიცნობდი.

გვიანი ენდი

სცენა ფილმიდან Heat

დაჭყლეტილი სუპის კოლოფების, ჩამოვარდნილი თვითმფრინავებისა და არარსებული ფულის კუპიურებით ენდი ვორჰოლი პოპ-არტის ხატად იქცა. მაგრამ იმას, თუ რას აკეთებდა ხელოვანი 1968 წლის ლამის საბედისწერო თავდასხმის შემდეგ, მხოლოდ ისინი იხილავენ, ვინც დიუსელდორფში გახსნილ გამოფენას ეწვევიან.

ვალერი სოლანსი ვორჰოლის სახელოსნოს ხშირი სტუმარი იყო. 1968 წლის 3 ივნისს ამ სულით ავადმყოფმა ქალმა ხელოვანს სამჯერ ესროლა და ვორჰოლს უმძიმესი ჭრილობები მიაყენა. მან ორი თვე საავადმყოფოში გაატარა და მას შემდეგ სულ კორსეტით უწევდა სიარული.

ენდი ვორჰოლის ცხოვრებაში ყველაფერი შეიცვალა. ვორჰოლი, რომლის შემოქმედებითი პოზიციაც "მასობრივი საზოგადოების კომერციულ ქრონიკას" ეყრდნობოდა, ამიერიდან თავის ხელოვნებას სიკვდილ-სიცოცხლის პიროვნული შეგრძნებების გადმოცემას უძღვნის: პოპ-არტის გენიოსი ექსპერიმენტების მოყვარული მხატვარი, კინორეჟისორი და ფოტოგრაფი ხდება.

მისი ცხოვრების უკანასკნელი 15 წლის ამსახველი 300 ექსპონატი – დიდი ტილოები, პლაკატები, ფოტოები, ვიდეონამუშევრები და თითქმის უცნობი საბავშვო ნამუშევრები, - წარმოდგენილია გამოფენაზე "გვიანი შემოქმედება". დიუსელდორფის მუზეუმის "ხელოვნების სასახლის" დარბაზების სტუმარი ახალი კუთხით გაიცნობს ხელოვანს, რომელიც, ძირითადად, 60-იან წლებში შექმნილი შედევრებითაა ცნობილი. არადა, ექსცენტრიული ენდის გვიანი ნამუშევრების გარეშე მისი მთელი სპექტრის წარმოდგენა ნამდვილად შეუძლებელია.

გამოფენა იხსნება ცეცხლივით წითელი, თმააწეწილი ვორჰოლის თავით, რომელიც ეშმაკისას მოგვაგონებს. 1986 წელს, პოლაროიდით გადაღებული ავტოპორტრეტის შექმნამდე მან სახე კოსმეტიკის სქელი ფენით დაიფარა და მის ხელთ არსებული 400-დან ერთ-ერთი პარიკი დაიხურა. ამ პორტრეტის შემყურე ძნელად თუ დაიჯერებთ, რომ ის 58 წლისაა. აქ, ისევე, როგორც სხვა ავტოპორტრეტებში, ვორჰოლმა გაქრობა სცადა, და მის ავტოპორტრეტზე ხელოვანი ადამიანს მთლიანად ფარავს.

ეს კაცი 20 წლის ასაკიდან მზის სათვალითა და პარიკებით ემალებოდა გარესამყაროს. ასეთივეა მისი ინსტალაცია "უხილავი ქანდაკება" (1985). დიუსელდორფში მისი ასლიცაა გამოფენილი. ნიუ იორკის ღამის კლუბში Area, სადაც ადამიანები ხშირად საპირფარეშოებში იყვნენ სექსით დაკავებული, ვორჰოლი ვიტრინაში "გამოეფინა". ის ქანდაკება იყო, რომელიც მხოლოდ მაშინ ცოცხლდებოდა, როცა ხელოვანი ვიტრინიდან გადიოდა. საკუთარი თავისგან გაქცევას ვორჰოლი ასე ხსნიდა: "თუ გინდა, რომ ყველაფერი იცოდე ენდი ვორჰოლის შესახებ, ჩემი ზედაპირი დაათვალიერე, ჩემი ნახატები და ფილმები – ეს მე ვარ. ამის უკან არაფერი იმალება".

1965 ვორჰოლმა ბრძანა, რომ მთლიანად კინოხელოვნებას უნდა მიუძღვნას თავი, და მის მხატვრობაში დაბრუნებას სწორედ მკვლელობის მცდელობას უნდა ვუმადლოდეთ. გასროლიდან ოთხი წლის შემდეგ შეიქმნა კლასიკური "მაო", ტრანსსექსუალური პორტრეტები "ქალბატონები და ბატონები". გამოფენაზე, ამათ გარდა, წარმოდგენილია დიდფორმატიანი, ათი მეტრის სიგრძის "საიდუმლო სერობა" (1986), რომელსაც, წესით, ლეონარდო და ვინჩის შედევრთან ძალიან ცოტა რამ აკავშირებს: იესო კუთხეშია მიმწყვდეული, მის გვერდით "ეშმაკის მანქანაა", მოტოციკლეტი, რომელიც აშკარად გადაუვლის…

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ვორჰოლის ნამუშევრები თითქმის აბსტრაქტული გახდა: "ჩრდილები", "კვერცხები" – ეს უკანასკნელი დეკორატიული ორნამენტის შთაბეჭდილებას ახდენს.

იმხანად ვორჰოლმა 60-იანი წლების Piss-Paintings-ის აღორძინებაც სცადა. ასეთი პრინციპითაა შექმნილი სერია Oxidation (1978): მისი თანამშრომლები იატაკზე დაფენილ, სპილენძის პიგმენტის შემცველი შრით დაფარულ ფონზე შარდავდნენ, და ქიმიური რეაქცია უჩვეულო, მომწვანო ეფექტს იწვევდა. ეს "შემთხვევითობის პრინციპი" ვორჰოლს ყოველთვის იზიდავდა.

"ყურადღება! ფილმები ერთმნიშვნელოვნად სექსუალური ხასიათის სცენებსა და საუბრებს შეიცავს!" – მნახველებს გამოფენის კინოდარბაზის შესასვლელში ასეთი წარწერა ხვდებათ. დიუსელდორფის მუზეუმში ვორჰოლის მიერ 70-იანი წლების დასაწყისში გადაღებულ ფილმებს აჩვენებენ: L'amour, Heat და Women in Revolt. როგორც რეჟისორი, ვორჰოლი ძალიან გაბედული იყო, და როგორც გაირკვა, მისი მკვლელობის მოსურნე ქალი სწორედ ხელოვნების მოწინააღმდეგე რადიკალური ფემინისტების პოზიციას იზიარებდა.

ათეულები

კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით			
ავტორი	წიგნი	გამომცემლობა	რეიტინგი
როულინგი	"ჰარი პოტერი და [illegible]"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	8.8
[illegible]	"[illegible]"	"[illegible]"	4.8
[illegible]	"[illegible]"	"[illegible]"	4.4
[illegible]	"[illegible]"	"[illegible]"	4
[illegible]	"წიგნი"	ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა	2
[illegible]	[illegible]	"[illegible]"	2
[illegible]	"[illegible]"	"[illegible]"	2
[illegible]	"[illegible]"	"[illegible]"	2
[illegible]	"[illegible]"	"[illegible]"	1.6
[illegible]	"[illegible]"	"[illegible]"	1.6

ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით				
ფილმი	რეჟისორი	მსახიობი	უიკენდის შემოსავალი $	საერთო შემოსავალი $
"პირველი შეხვედრა 50-ჯერ"	პიტერ სეგალი	ადამ სენდლერი, დრიუ ბერიმორი	45,107,871	45,107,871
"[illegible]"	[illegible]	[illegible]	17,010,471	40,050,545
"[illegible]-2"	[illegible]	[illegible]	16,601,117	44,974,742
You Got Served	[illegible]	[illegible]	6,023,188	33,006,206
"[illegible]"	[illegible]	[illegible]	5,959,335	49,179,651
"[illegible]"	[illegible]	[illegible]	5,878,900	12,379,409
"[illegible]"	[illegible]	[illegible]	5,454,855	82,011,848
"[illegible]"	[illegible]	[illegible]	5,090,281	357,367,856
"[illegible]"	[illegible]	[illegible]	4,308,326	75,269,389
"[illegible]"	[illegible]	[illegible]	3,937,559	87,758,959

"ბი ბი სის" რადიო 1-ის საუკეთესო ალბომების ათეული		
შემსრულებელი	ალბომი	ადგილი წინა კვირის ჩარტებში
ნორა ჯონსი	Feels Like Home	-
ქეთი მელუა	Call Off The Search	1
ფრანც ფერდინანდი	Franz Ferdinand	-
[illegible]	The Best Of	2
[illegible]	Final Straw	3
[illegible]	The Soul Sessions	5
[illegible]	Free Me	-
[illegible]	Life For Rent	9
Tears For Fears	Tears Roll Down – Greatest Hits 82-92	12
Black Eyed Peas	Elephunk	10



ფეხბურთი

ლემანი კანს აუჯანყდა

გერმანიის ნაკრებში დიდი დაპირისპირება

სამი დღის წინათ გერმანიის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში სტუმრად დაამარცხა ხორვატიის ეროვნული გუნდი (2:1) და 2004 წლის საფეხბურთო სეზონი გამარჯვებით დაიწყო, თუმცა, რუდი ფიოლერს დიდი თავსატეხი გაუჩნდა...

მეკარეების თემა გერმანიის ნაკრებში ყოველთვის განსაკუთრებული დისკუსიის საგანი იყო. მნიშვნელოვანი ტურნირების წინ, როგორც წესი, იწყება ბჭობა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა დაიკავოს ადგილი ძირითად შემადგენლობაში. ასე იყო 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ - გერმანელებმა ვერა და ვერ გადაწყვიტეს, თუ ვისთვის მიენდოთ კარის დაცვა, ბოდო ილგნერისთვის თუ ანდრეას კიოპკესთვის. შემდეგ იყო ევროპის 1996 წლის ჩემპიონატი. ამჯერად კიოპკესა და მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ოლივერ კანს შორის გაჩაღდა დიდი პაექრობა, რომელიც ვეტერანი კიოპკეს გამარჯვებით დასრულდა. მერე კანი "წამოიზარდა" და ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი.

თუმცა, ახლოვდება ევროპის მორიგი ჩემპიონატი და მეკარის თემა კვლავ საყოველთაო სჯა-ბაასის საგანი გახდა. ნაკრების ხელმძღვანელობა კვლავინდებურად ენდობა კანს, მაგრამ მეორე მეკარე, იენს ლემანი, სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ველარ ეგუება. ლონდონის "არსენალის" კარის დარაჯი მიიჩნევს, რომ ის კანზე უკეთეს ფორმაშია და ძირითადში თამაშს იმსახურებს. მეკარეებს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. ამბობენ, რომ ხორვატიაში ყოფნისას ლემანი საერთოდ არ ელაპარაკებოდა კანს.

სწორედ ხორვატიაში ყოფნისას მისცა ლემანმა ინტერვიუ ჟურნალ Kicker-ს, რომელშიც საჯაროდ გაილაშქრა კოლეგის წინააღმდეგ. ვალში არც კანი დარჩა და გერმანიის სპორტულ ტელეარხს მისცა ინტერვიუ, რომელშიც ლემანს "დაბალი დონის ადამიანი" უწოდა.

გთავაზობთ ორივე ინტერვიუს, მათთან ერთად კი გერმანიის საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენელთა კომენტარებს ამ ამბავთან დაკავშირებით.

იენს ლემანი: "მე დავიმსახურე, რომ მათამაშონ"

- ჰერ ლემან, როგორც ჩანს, თქვენ და ოლივერ კანს სალაპარაკო არაფერი გაქვთ.

- არ ვიცი, რაზე უნდა მელაპარაკა კანთან. მე არ მყავს 24 წლის შეყვარებული, მე სხვა ცხოვრებით ვცხოვრობ.

კანი და ლემანი ერთმანეთს გაეყარნენ - პირველობა კი კანს დარჩა

- კანს თქვენ ბრძოლა გამოუცხადეთ?

- რას ნიშნავს ბრძოლის გამოცხადება? მე დავიმსახურე, რომ მათამაშონ, იმიტომ რომ ამას ექვსი წელია ველოდები და იმიტომ რომ კარგ შედეგებს ვაჩვენებ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ძალიან თავშეკავებულად ვიქცეოდი. "დორტმუნდში" თამაშისას, სათადარიგო მეკარის სახით მეც მყავდა კონკურენტი. მასაც ჰქონდა თავისი მოთხოვნები. მე სპორტსმენი ვარ და მიმაჩნია, რომ ვინც უკეთესია, იმან უნდა ითამაშოს. ეს მეც მეხება.

- ამით იმის თქმა გინდათ, რომ თქვენ კანზე უკეთესი ხართ?

- მე უკეთესი შედეგები მაქვს. გასულ წელს მხოლოდ ორი მატჩი წავაგე და მხოლოდ ორი შეცდომა დავუშვი, ერთი "ლიდსის" წინააღმდეგ, მეორე კი კიევის "დინამოს" წინააღმდეგ თამაშში. ასეთ შემთხვევაში ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ კანი ჩემზე უკეთესად თამაშობს.

- მართლა გჯერათ, რომ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ძირითადი შემადგენლობიდან კანის ამოგდებას შეძლებთ?

- ახლა ნამდვილად არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა ნახევარი წლის შემდეგ. თანაც, მე რუდი ფიოლერზეც ვარ დამოკიდებული. მაგრამ ყოველთვის ასე არ იქნება. ბოლოს და ბოლოს, ჩემი შრომა თავის შედეგს გამოიღებს. ის, ვინც კარგ შედეგებს აჩვენებს, დაჯილდოვდება კიდეც.

- მართლა ასე დარწმუნებული ხართ საკუთარ თავში?

- დიახ, თუ ჩემს შედეგებს გავითვალისწინებთ. იაპონიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე ყოფნისას, კანს ვუთხარი, ფინალური მატჩის გარდა, ყველა შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარე-მეთქი. მაგრამ ახლა მე დავიმსახურე, რომ მათამაშონ. მაშინ მე გუნდური სულისკვეთებისთვის შემაქეს, ახლა კი აბუჩად მიგდებენ.

- რას გულისხმობთ?

- მე შეურაცხყოფად ვიღებ იმ გამონათქვამს, როდესაც მან ჩემს განცხადებებს "საბავშვო ბაღის აღსაზრდელის ნათქვამი" უწოდა. თუ ვინმე, მაგალითად, ტიმო ჰილდებრანდი, ჩემზე უკეთესად ითამაშებს, მის წინაშე ქედს მოვიხრი, ვაღიარებ, რომ ის მჯობია და მე შანსი აღარ მაქვს. თუ არა და, ეს მეკარე თავის შანსს უნდა დაელოდოს. მე ჯანსაღი კონკურენცია მჭირდება და არა ის, ვინც მე საბავშვო ბაღის აღსაზრდელს მიწოდებს.

ოლივერ კანი: "ლემანი ვერ ეგუება იმას, რომ მეორე ნომერია"

- ჰერ კან, Kicker-ისთვის მიცემულ ინტერვიუში იენს ლემანმა განაცხადა, რომ ის ძირითად შემადგენლობაში თამაშს იმსახურებს. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

- აქ ახალი არაფერია. ეს ამბავი უკვე ექვსი თუ შვიდი წელიწადია გრძელდება, მას შემდეგ, რაც ის მეორე მეკარე გახდა. მას შეუძლია ამტკიცოს ის, რაც უნდა. დემოკრატიის პირობებში სწორედ იმიტომ ვცხოვრობთ, რომ ყველას შეუძლია თავისი აზრის გამოთქმა. მაგრამ ეს ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატამდე გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე მე ვიქნები და ის ამას უნდა შეეგუოს. თუმცა, ჩანს, რომ ის ამას არ ეგუება.

- გესმით ლემანის?

- მე თვითონაც მიწევდა სხვადასხვა მეკარესთან ძირითადი შემადგენლობის ადგილისთვის ბრძოლა. მაგრამ ჩემთვის ყოველთვის უმნიშვნელოვანესი იყო სხვათა მიღწევების პატივისცემა. ჩემი კარიერის განმავლობაში არასოდეს დავსულვარ ისეთ დაბალ დონემდე, სადამდეც ლემანი დავიდა. დაუჯერებელია ის, რაც მისგან მესმის. თუმცა, ყველა ადამიანი თავად წყვეტს, სადამდე დაეშვას.

- რა დასკვნები გამოგაქვთ ამ ამბიდან?

- დასკვნები საერთოდ არ გამომაქვს. მე ვესაუბრე რუდი ფიოლერს. მე პირველი ნომერი ვარ და ასე იქნება მსოფლიო ჩემპიონატამდე. ის, თუ ვინ დაიცავს ნაკრების კარს, საერთოდ არ არის დისკუსიის საგანი. მე საერთოდ არ მჭირდება ჩემს შედეგებზე საუბარი, ყველაფერზე თავად შედეგები მეტყველებს. ამისთვის მხოლოდ ხორვატიის წინააღმდეგ ჩვენი უკანასკნელი მატჩის ნახვაც კმარა.

- როგორც ნაკრების კაპიტანი, თუ მოახდენთ რაიმე რეაგირებას?

- არავითარი რეაგირება არ მჭირდება. რაზე უნდა მოვახდინო რეაგირება? გამწარებული კოლეგის განცხადებებზე?

- ნაკრების მეკარეების მწვრთნელმა, ზეპ მაიერმა თქვა, რომ თქვენსა და ლემანს შორის ურთიერთობა ძალიან ცივია...

- ლემანი ვერ ეგუება იმ აზრს, რომ ის მეორეა. როგორც ჩანს, ეს პრობლემა ვერ დაძლია.

ფრანც ბეკენბაუერი: "ცეცხლი ახლავე უნდა ჩავაქროთ"

რუდი ფიოლერი (გერმანიის ნაკრების მწვრთნელი): "იენსს მეტისმეტი მოუვიდა. ცხადია, ასე არ შეიძლება. სულ მალე ინგლისში მივემგზავრები და მას სერიოზულად დაველაპარაკები. ახლა, ცხელ გულზე, რეაგირების მოხდენა არ მინდა".

ფრანც ბეკენბაუერი ("ბაიერნის" პრეზიდენტი): "რა ეტაკა ლემანს? მისი განცხადება არაკოლეგიალური და უტაქტო იყო. ეს დაძაბულობა მალე გუნდსაც გადაედება. რუდი ფიოლერმა სწრაფად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და ამ ყველაფრიდან დასკვნები გამოიტანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპის ჩემპიონატის მზადებისა და თავად ტურნირის პერიოდში გუნდში ფეთქებადსაშიში სიტუაცია იქნება. ცეცხლი მანამ უნდა ჩავაქროთ, სანამ აგიზგიზდება".

ოტმარ ჰიცფელდი: "მე ვერ ავიტანდი, "ბაიერნის" სათადარიგო მეკარეს მსგავსი განცხადებები რომ გაეკეთებინა ოლივერ კანის მისამართით".

კაკა და ადრიანო - ღიმილის დერბი

ნინო პირველი

დღეს საღამოს, ადგილობრივი დროით 20 საათსა და 30 წუთზე, მილანის "სან-სიროზე" სერია ა-ს ოცდამეორე ტურის ყველაზე დამაინტრიგებელი მატჩია დაგეგმილი: ერთმანეთს ხვდებიან "ბიძაშვილები" - "მილანი" და "ინტერი". ეს არ არის ლიდერთა დუელი, არც ბრძოლა პირველი ადგილისთვის: "მილანი" 52 ქულით ჩემპიონატის ცხრილის სათავეშია წამოსკუპებული, "ინტერს" კი 36 ქულით მეხუთე პოზიცია უჭირავს. განსხვავება უსაშველოდ დიდია. ამ სეზონში ალბერტო ძაკერონის შავ-ცისფერი ესკადრა ვერაფრით ვერ დაეწევა კარლო ანჩელოტის შავ-წითელ ბატალიონს, "ინტერს" სასწაულიც ველარ უშველის. "მილანი" კატასტროფულად წინაა თანაქალაქელებზე, მაგრამ დერბის დროს ეს საერთოდ არაფერს ნიშნავს. დერბის დღეს ჩემპიონატის ცხრილს ყველა ივიწყებს, აღარავის აინტერესებს, ვინ რომელ ადგილზეა. ახლა მთავრია: ვინ მოიგებს ამ მატჩს. "ინტერს" ბევრად უფრო მეტი მოტივაცია აქვს, ვიდრე "მილანს". აი, უკვე რამდენი ხანია, "შავ-ცისფერთა" ტიფოზებს დერბის შემდეგ თავაწეულებს აღარ დაუტოვებიათ "სან-სირო". ბოლო დროს მუდამ ისე ხდებოდა, რომ ურთიერთშეხვედრებიდან მუდამ "მილანი" გამოდიოდა გამარჯვებული. "ინტერის" აწ უკვე ექსპრეზიდენტ მასიმო მორატის დღესაც კარგად ახსოვს ორი წლის წინ შემდგარი ის საშინელი დერბი, როცა "მილანმა" ექვსი გოლი გაუტანა მის "ინტერს". ამ დღის მერე მორატი სულ იმას ნატრობდა, "ინტერს" ერთხელ ისე ბრწყინვალედ ეთამაშა, რომ "მილანის" ჯავრი საბოლოოდ ამოეყარა, მაგრამ პრეზიდენტი ისე წავიდა კლუბიდან, რომ "მილანზე" ვენდეტა არ ეღირსა. დღეს "ინტერის" ბოსია ჯაჩინტო ფაკეტი, რომელიც მოუთმელნალდ ელის ამ მატჩს და ძალიან უნდა, რომ მისი პრეზიდენტობის პირველი დერბი "მილანის" განადგურებით დასრულდეს. ვნახოთ, თუ გაუმართლებს ახალ პრეზიდენტს...

"მილანის" და "ინტერის" ფეხბურთელებსა და ტიფოზებს ერთმანეთი დიდად არ ეხატებათ გულზე. ზოგჯერ დერბი ხელჩართული ბრძოლითაც მთავრდება ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ერთმანეთის პირისპირ თამაშობს ორი მეგობარი, რომლებიც მატჩის შემდეგაც მეგობრებად რჩებიან და გასაყოფი არაფერი აქვთ. ორ ბრაზილიელს - "ინტერის" ფორვარდ ადრიანოს და "მილანის" თავდამსხმელ კაკას ერთმანეთზე ძვირს ვერაფრით ათქმევინებ. დერბის წინ ორივე არაჩვეულებრივ გუნებაზეა. არანაირი დაძაბულობა, დაპირისპირება ან შუღლი. ბრაზილიელები სეზონის უმნიშვნელოვანესი მატჩის წინაც ბრაზილიელებად რჩებიან. "გაძეტა დელო სპორტის" რედაქციაში ერთმანეთს ღიმილით ესალმებიან და იტალიელ ჟურნალისტებს ხალისით პასუხობენ შეკითხვებზე. ოცდაოთხი საათის შემდეგ ისინი "სან-სიროზე" გავლენ და ერთმანეთის გამწარებას შეეცდებიან. მატჩის მსვლელობისას ისინი თითქოს არც კი იცნობენ ურთიერთს - ერთმანეთს არ ელაპარაკებიან, თვალებში არც უყურებენ, მაგრამ ეს მხოლოდ მოედანზე ხდება. როგორც კი რეფერი საფინალო სასტვენს მისცემს, ბრაზილიელები ისევ მეგობრებად იქცევიან და მატჩს ხვევნა-კოცნით ამთავრებენ. მოგება-წაგება აქ არავითარ როლს არ ასრულებს. მათი მეგობრობა ყველაფერზე მაღლა დგას.

მილანი - ინტერი: მუდმივი დაპირისპირება

ადრიანო და კაკა ერთად დაბრუნდნენ მილანში, ერთად ითამაშეს ამხანაგური მატჩი ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ. ახლა კი ერთმანეთის პირისპირ უწევთ გამოსვლა. "ბრაზილიაში იმდენჯერ მითამაშია დერბი! "სან პაულუ" "კორინთიანსის" წინააღმდეგ! საშინლად რთული მატჩები იყო, მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მეტად ამ ორი შეხვედრის ჩატარება მიჭირდა. ტიფოზები ზუსტად ისევე მხურვალედ გვიჭერდნენ მხარს, როგორც აქ, "სან-სიროზე". პირველი დერბი "ინტერთან" ახლაც კარგად მახსოვს. გატუზომ და სერჟინიომ ამიხსნეს, რომ დერბი სიცოცხლის თამაშია, რომ ამ მატჩში ყველაფერი უნდა გაილო და მხოლოდ გამარჯვებაზე იფიქრო. ეს მართლაც ასეა. ის, ვინც მატჩს იგებს, საოცარი გრძნობით ტოვებს მოედანს", - ამბობს კაკა. კითხვაზე, ეხმარებოდნენ თუ არა თანაგუნდელები, როცა "მილანში" ახალი მისული იყო, ახალგაზრდა ფორვარდი გაოცებით პასუხობს: "რა თქმა უნდა. ყველა მეხმარებოდა. ბრაზილიელებიც და იტალიელებიც. ისეთი რთული პერიოდიც მქონდა, როცა ვერაფრით ვერ ვახერხებდი ბურთის მიღებას, უბრალოდ, სათამაშო სივრცე არ მყოფნიდა. მაშინ ბილი კოსტაკურტას ვკითხე რჩევა. რაც მითხრა, ზუსტად შევასრულე და მაშინვე გამოსწორდა მდგომარეობა. "მილანი" ძალიან მომწონს. რაღაცით "სან პაულუს" მაგონებს. ადრიანოზე რას ვფიქრობ? ის ძლიერი, სწრაფი და მოქნილია. ძალიან სახიფათოა, თავით შესანიშნავად თამაშობს და მშვენიერი გოლები გააქვს. ერთნაირად კარგად ურტყამს როგორც შორიდან, ისე ახლოდან. ის სრულყოფილია", - კომპლიმენტებად იღვრება კაკა. ადრიანო კი იცინის და არც კი ფიქრობს შაბათის მატჩზე. "როგორ დამთავრდება დერბი? არ ვიცი, ალბათ, ადრიანო ერთ გოლს გაიტანს თავით, მაგრამ "შევა" ორი ბურთით უპასუხებს", - პროგნოზს აკეთებს კაკა. ადრიანო, რომელსაც, ჯერ ერთი, საჯარიმოდან უნდა გოლის გატანა და მეორეც, სულაც არ აკმაყოფილებს "მილანთან" წაგება, სიცილით ამბობს: "მოიცა, რატომ ჩქარობ, ჯერ ხომ შაბათი არ დამდგარა".

ადრიანო სამი დღის წინ 22 წლის გახდა. დაბადების დღე მზიან რიო დე ჟანეიროში აღნიშნა და მერე წვიმიან და ნისლიან მილანში დაბრუნდა. "ჩემთვის უფრო ძნელია აქ ყოფნა, ვიდრე კაკასთვის. ის სან პაულუდანაა და ჩემზე უფრო მეტადაა შეჩვეული მუშაობას, მკაცრ დღის რეჟიმს. მე მუდამ გართობა და მხიარულება მინდა. დერბი მეც მომიგია ბრაზილიაში. "მილანიც" დამიმარცხებია "ფიორენტინასთან" და "პარმასთან" ერთად. კაკას ჩემზე მეტად გაუღიმა ბედმა - "მილანში" მას არაერთი ბარზილიელი მეგობარი ჰყავს. მე კი ერთი ვარ "ინტერში." არა, ამის გამო ნამდვილად ცუდად არ ვგრძნობ თავს. ეს დერბი ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია. ამდენი წარუმატებლობის შემდეგ "ინტერმა" აუცილებლად უნდა მოუგოს "მილანს". ვინ მოიგებს "სკუდეტოს"? იქნებ ჩვენც შევძლოთ სასწაულის მოხდენა. თუ არა და, მაშინ იმ კლუბებს ვუქომაგებ, ვისაც ბრაზილიელები ჰყავს - "მილანს" და "რომას". არავითარ შემთხვევაში "იუვენტუსს", - ამბობს ადრიანო. ასე რომ, სამხრეთამერიკელთა სიყვარულის მოსაპოვებლად "იუვეს" ნამდვილად არ ეყოფა სტანკოვიჩის ან სატმის შეძენა... ადრიანოს ძალიან უყვარს "სან-სირო": "როცა მოედანზე გავდივარ, სიხარულისგან გული ყელში მებჯინება. ეს საოცარი გრძნობაა. ვეცდები, გოლი აუცილებლად გავიტანო", - ჰპირდება ადრიანო "ინტერის" ტიფოზებს. იგივე პირობას დებს კაკაც და ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ღამეს მილანში მოვლენები ძალიან საინტერესოდ განვითარდება...

ინფოთეკა

ფეხბურთი. ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა განაცხადა, რომ ამხანაგურ მატჩში დიდი სიამოვნებით შეხვდებოდა უკრაინის ნაკრებს. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ დაადასტურა, რომ ინგლისელებმა მათ შესაბამისი წინადადებით მიმართეს.

■ ■ ■

ფეხბურთი. სვენ-გორან ერიქსონის აზრით, ინგლისის ნაკრებში მისი მემკვიდრე თავისუფლად შეიძლება გახდეს ლონდონის "ჩარლტონის" მწვრთნელი ალან კიორბიშლი. თვითონ კიორბიშლიმ მიმდინარე კვირაში აღნიშნა, რომ "ჩარლტონთან" მუშაობის დასრულების შემდეგ ის კლუბებს გაწვრთნის.

■ ■ ■

ფეხბურთი. რომის "ლაციომ" "ლეჩესთან" ხავიერ ჩევანტონის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო. ურუგვაელი სეზონის ბოლოს აუცილებლად გაიყიდება. საქმე ის არის, თუ სად. რომაული კლუბი "ლეჩეს" ფორვარდის სანაცვლოდ 4 მილიონ გირვანქა სტერლინგს სთავაზობს. როგორც ჩანს, "ლაციო" მაინც გაყიდის ჰოლანდიელ იაპ სტამს, რომელიც 7 მილიონად არის შეფასებული.

■ ■ ■

ფეხბურთი. დანიელი ტომას ჰელვეგი, რომელსაც მილანის "ინტერთან" კონტრაქტი ივნისში ეწურება, მილანურ კლუბს დატოვებს. "მომავალი გეგმები ჯერ არ ჩამომიყალიბებია. "ინტერისგან" ახალი კონტრაქტის თაობაზე წინადადებები არ მიმიღია, მაგრამ მე რამდენიმე ინგლისური კლუბი დამიკავშირდა. სიამოვნებით ვითამაშებდი პრემიერლიგაში, რადგან აქამდე ინგლისში არ მითამაშია", - განაცხადა ჰელვეგმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლონდონის "ჩელსიმ" პერსპექტივაზე დაიწყო მუშაობა. კლუბმა კონტრაქტი გააფორმა 15 წლის ამერიკელ ფეხბურთელთან ფრედი ადუსთან. ამერიკელზე "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ინტერი" აცხადებდნენ პრეტენზიას. თუმცა, ლონდონელებმა ყველას დაასწრეს. ადუ "ჩელსიში" 2007 წელს გადავა.

■ ■ ■

კალათბურთი. დელ ჰარისმა, რომელიც "დალას მავერიქსში" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა, ჩინეთის ნაკრებთან კონტრაქტი გააფორმა. ის პირველი უცხოელია, რომელსაც ეროვნული ნაკრები ჩააბარეს. მისი თანაშემწე იქნება იონას კაზლაუსკასი, რომელიც ადრე ლიტვის ნაკრებს ედგა სათავეში.

■ ■ ■

კალათბურთი. ამიერიდან რაშიდ უოლასი "დეტროიტის" ღირსებას დაიცავს. სანაცვლოდ "ატლანტამ" ჟელკო რებრაჩა, ბობა სურა და დრაფტის პირველ რაუნდში არჩევანის უფლება მიიღო. "ატლანტამ" უოლასი სულ ერთი კვირის წინათ მიიღო და ახალ კლუბში მან მხოლოდ ერთი მატჩის თამაში მოასწრო. "დეტროიტმა" მცველებიც გაასხვისა. ლინდსეი ჰანტერი და ჩაკი ეტკინსი "ბოსტონში" გადაბარგდნენ. მათ ნაცვლად "პისტონზში" მაიკ ჟეიმსი გაემგზავრა.

■ ■ ■

კალათბურთი. "ტორონტომ" დანაკლისი განიცადა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კევინ ო`ნილმა განაცხადა, რომ ვინს კარტერი კუნთის დაჭიმვის გამო ორიდან ოთხ კვირამდე დაისვენებს. კარტერმა "სან-ანტონიოსთან" წაგებულ თამაშში მიიღო ტრავმა - მატჩის შემდეგ ყავარჯნით გადაადგილდებოდა.

■ ■ ■

კალათბურთი. ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მორიგი მატჩი გაიმართა. "მინესოტამ" საკუთარ მოედანზე "საკრამენტო" დაამარცხა. მასპინძელთათვის ეს ზედიზედ მეოთხე გამარჯვება აღმოჩნდა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ "მინესოტას" ლიდერმა კევინ გარნეტმა საკუთარ ანგარიშზე 22 ქულა, 24 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

■ ■ ■

კალათბურთი. "ჯაზმენებმა" შევსება მიიღეს. "ორლანდომ" გორდან გირიჩეკი "იუტაში" გაამწესა და სანაცვლოდ მცველი დეშონ სტივენსონი მიიღო. "ჯადოქრებმა" აგრეთვე დრაფტის მეორე რაუნდში არჩევანის უფლება მოიპოვეს, რითიც ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ.

■ ■ ■

ველოსპორტი. ერთ-ერთი ველოსიპედი, რომელიც 14 თებერვალს, სასტუმრო "ლა როზში", საიდუმლო ვითარებაში გარდაცვლილ მარკო პანტანის ეკუთვნოდა, ნოვი-ლიგურის ველოსიპედის მუზეუმში დაიდებს ბინას. ეს მოხდება 20 მარტს, როცა სტარტს აიღებს "მილანი - სან-რემოს" რბოლა.

■ ■ ■

ფორმულა 1. "ზაუბერმა" კომპანია DaimlerChrysler-ს სამი წლით გაუგრძელა კონტრაქტი. მხარეებს შორის წინა შეთანხმება 2002 წელს გაფორმდა. ამ კონტრაქტის მიხედვით კი DaimlerChrysler-ი 2007 წლამდე "ზაუბერის" ტექნიკური სპონსორი იქნება.

■ ■ ■

ჭადრაკი. ლინარესის საჭადრაკო ტურნირის პირველ ტურში შედეგიანი გამოდგა მხოლოდ ერთი პარტია. ახალგაზრდა აზერბაიჯანელმა ვუნდერკინდმა ტეიმურ რაჯაბოვმა თეთრი ფიგურებით დაამარცხა უნგრელი დიდოსტატი პეტერ ლეკო. დანარჩენი შეხვედრები კი - შიროვი-კასპაროვი და ვალიეხო-კრამნიკი ყაიმით დასრულდა.

■ ■ ■

ბილიარდი. გუშინ საბილიარდო "ოლიმპიკში" დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი ბილიარდში ქალთა შორის. ჩემპიონატის ორგანიზატორია საქართველოს ბილიარდის ფედერაცია და ბილიარდის ქალთა ლიგა. ტურნირში ოცდასამი თბილისელი და ერთი რუსთაველი მობილიარდე ქალი მონაწილეობს. 24 თებერვალს გაიმართება ნახევარფინალი, 25 თებერვალს კი გამოვლინდებიან პრიზიორები, რომლებსაც ფედერაცია პრიზებს გადასცემს.

მოკლედ

ნაკრებში თავს კარგად ვგრძნობ

რაფაელ ვან დერ ვაარტი მომავლის ფეხბურთელია

ის ჯერ 21 წლისაა, თუმცა, ჰოლანდიაში უკვე "დიდი კაცია". რაფაელ ვან დერ ვაარტი მხოლოდ ამსტერდამის "აიაქსში" არ არის წამყვანი ფეხბურთელი, მან ჰოლანდიის ნაკრებშიც დაიბევა ადგილი და უკვე ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად ემზადება.

- უკანასკნელ ხანებში თქვენი საქმეები ეროვნულ ნაკრებში უფრო კარგად მიდის, ვიდრე ამსტერდამის "აიაქსში". ჰოლანდიის ეროვნულ გუნდში თამაშისას ნაკლებ ზეწოლას განიცდით?

- დიახ. როდესაც "აიაქსი" მარცხდება, ყველაზე მეტად ეს მე მეხება. "აიაქსის" წაგებით პირველ რიგში მე ვმარცხდები. "ვოლენდამის" წინააღმდეგ უკანასკნელ მატჩში მთელი ჩვენი გუნდი სუსტად გამოიყურებოდა. თუმცა, ორი ფეხბურთელი - მე და ვესლი შნაიდერი ყველაზე მეტად გაგვაკრიტიკეს. ეს ლოგიკურია და ჩემთვის კომპლიმენტიც არის. მაგრამ "აიაქსს" მხოლოდ მე და შანიდერი არ წარმოვადგენთ.

- თქვენ ჯერ 21 წლის ბრძანდებით. პრობლემებს არ გიქმნით ის ფაქტი, რომ თქვენს განვითარებას უამრავი ადამიანი ადევნებს თვალს?

- მე კაპიტანი ვარ და წინა სეზონთან შედარებით ჩემგან ახლა უფრო მეტს ელიან. ყოველივე ეს ჩემს გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ცხადია, ბევრი რამ უნდა გამოვასწორო. თუმცა, ყველაფერი ძალიან სწრაფად დამატყდა თავს. პერიოდულად მეუფლება შეგრძნება, რომ ხალხისგან თავი უნდა დავიცვა. თავს მაშინ უფრო კარგად ვგრძნობ, როდესაც მენდობიან და არა მაშინ, როცა მაკრიტიკებენ. ეროვნულ ნაკრებში რატომ მიდის ჩემი და ვესლის საქმეები უკეთესად?

- შესაძლოა, ეს თანაგუნდელებზეც არის დამოკიდებული.

- შეიძლება ესეც იყოს მიზეზი. ეროვნული ნაკრების ფეხბურთელების უმრავლესობა სახელგანთქმულ უცხოურ კლუბებში თამაშობენ, "აიაქსში" კი მთელი ყურადღება ჩემზეა გადმოტანილი. კლუბში, ძირითადად, ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავს, ნაკრებში კი გამოცდილი და ახალგაზრდა მოთამაშეების კარგი ნაზავია. ეროვნულ გუნდში უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს.

- ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან თქვენ პირველი იყავით, ვინც ნაკრებში ადგილის დამკვიდრება შეძლო. კლუბში და ნაკრებში წამყვანი ფეხბურთელი გახდით. კმაყოფილი ხართ?

- დიახ. ყოველივე ეს ძალიან მსიამოვნებს. როდესაც ნაკრებში პირველად მივედი, ნერვიულობისგან ხელები მიოფლიანდებოდა. ახლა კი ახალგაზრდა ფეხბურთელები რჩევას მეკითხებიან. ნაკრებში უფრო მაღალი დონეა, ვიდრე "აიაქსში". ვარჯიშიც უფრო დამქანცველია.

- ხომ არ გეშინიათ, რომ "აიაქსში" არცთუ ისე სახარბიელო თამაშის გამო ევროპის ჩემპიონატზე არ წაგიყვანენ?

- არა. "აიქსის" შემადგენლობაში კარგი თამაშებიც მქონდა. ნაკრებში კი ყველაფერი კარგად მიდის.

- ამჩნევთ, რომ ევროპის მასშტაბით ამომავალ ვარსკვლავად მიგიჩნევენ?

- მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებში ვთამაშობ, ამას ნამდვილად ვერ ვამჩნევ. ხალხი მცნობს და ეს მსიამოვნებს.

- უცხოურ კლუბში გადასვლა გსურთ თუ "აიაქსთან" კონტრაქტის გაგრძელებას აპირებთ?

- უცხოეთში მაშინ გადადიან, როდესაც უკეთესი პირობები სურთ. "აიაქსში" თავს კარგად ვგრძნობ, თუმცა, კონტრაქტის გაგრძელებისგან ჯერ თავს ვიკავებ.

- რა მიზნები გაქვთ ამ სეზონში?

- მინდა, რომ ჰოლანდიის ჩემპიონი გავხდე.

- ევროპის ჩემპიონატზე ფიქრი უკვე დაიწყეთ?

- ცხადია. ეს ჩემი პირველი ჩემპიონატი იქნება. შესანიშნავი გრძნობა მეუფლება, როდესაც მომავალ მატჩებზე, იქაურ ატმოსფეროზე ვფიქრობ.

ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება

ტრადიციად იქცა, მნიშვნელოვანი მატჩების წინ კაფე "მსოფლიო სპორტში" შეხვედრის მონაწილე გუნდების მწვრთნელები წინასამატჩო პრესკონფერენციებს მართავენ ხოლმე. ერთი ასეთი პრესკონფერენცია გუშინაც გაიმართა, დრაჟენ ბრაიკოვიჩმა და ნიკო ჩერქეზიშვილმა "დინამო"-"სტუ-ჯეოსელის" ხვალინდელი მატჩის შესახებ ისაუბრეს.

მწვრთნელების გარდა, პრესკონფერენციაზე მოთამაშეებიც იყვნენ: "დინამოს" მხრიდან - კოტე ტუღუში, "სტუ-ჯეოსელის" მხრიდან - გიორგი ნიკოლაძე. პირველი სიტყვის უფლება პირობით მასპინძელს, "სტუ-ჯეოსელის" მწვრთნელს მიეცა. ჩერქეზიშვილის თქმით, მომავალ მატჩს მისი გუნდი შესუსტებული შემადგენლობით ხვდება. ტრავმები აქვთ ჯაფარიძეს, ბაბიაშვილს, ოგანესიანს. დავითულიანს კი ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და გამოსაჯანმრთელებლად დრო სჭირდება.

მისგან განსხვავებით, შემადგენლობის მხრივ პრობლემა თითქმის არა აქვს დრაჟენ ბრაიკოვიჩს. "დინამოს" ყველა კალათბურთელი მწყობრშია, მხოლოდ კილაძის თამაშია სათუო. მისი ბედი დღეს უნდა გაირკვეს.

"სტუ-ჯეოსელი" ძალიან კარგი გუნდია, აქედან გამომდინარე, მატჩი საინტერესო უნდა იყოს. ჩვენი შეხვედრები მუდამ დაძაბულია და გამონაკლისი არც ეს იქნება. ყველა კონკრეტული მატჩისთვის განსაკუთრებულად ვემზადებით. ასევეა ახლაც. დროის უმეტეს ნაწილს დაცვაში თამაშის სწავლას ვუთმობთ და ნელ-ნელა ვემსგავსებით იმ გუნდს, რომელიც მსურს დავინახო. რაც შეეხება იმას, თუ კონკრეტულად რას ვაპირებთ მომავალ მატჩში, ეს პრესკონფერენციაზე არ ითქმის, ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება", - განაცხადა ბრაიკოვიჩმა.

კრივი

ალბათ, სარეკლამო ოინი

გიგა გურასაშვილი

შეთანხმება, რომელიც უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსა და სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსს შორის დაიდო, შესაძლოა, არც შედგეს. არ შედგეს 24 აპრილისთვის დათქმული ორთაბრძოლა, რომლის მთავარი მოქმედი გმირებიც სწორედ ეს უკანასკნელნი უნდა ყოფილიყვნენ. საქმე ისაა, რომ დათქმულ დღეს უკრაინელსა და სამხერთაფრიკელს ერთმანეთში უნდა გაეთამაშებინათ ლენოქს ლუისის მიერ გამოთავისუფლებული კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) საჩემპიონო ქამარი. თუ მოლაპარაკებები, მართლაც, ჩიხში მოექცა, რაშიც ჭირვეული სანდერსი უნდა დავადანაშაულოთ, მაშინ, როგორც საბჭოს უმთავრესი ტიტულის კიდევ ერთი მოცილე, პუერტორიკოელი ჯონ რუისი აცხადებს, იგი მზადაა, სანდერსის ალტერნატივად განიხილონ. ანუ, ჯონ რუისი, რომელიც კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) დროებითი თავსართის მქონე ტიტულის მატარებელია, საკუთარ თავს ვიტალის ალტერნატიულ, ანუ სათადარიგო მეტოქის რანგში განიხილავს. რუისის ამბიციის შესახებ, მოლაპარაკებები აწარმოოს უკრაინელის ბანაკთან, კლჩკოების პრომოუტერი კლაუს-პეტერ კოლიც ადასტურებს: "იმ შემთხვევაში, თუ სანდერსთან დაპირისპირება არ შედგება, რუისს სათადარიგო ვარიანტად განვიხილვათ, თანაც, რუისმაც გამოთქვა მზადყოფნა, მოლაპარაკებათა მაგიდას მოუჯდეს".

ჯონ რუისი კლიჩკოსთან საჩხუბრად მზად არის

თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, რიგი საინფორმაციო წყაროები მიიჩნევენ, რომ რუისის სურვილს ასრულება არ უწერია და საერთოდ ასეთი რამ გამორიცხულია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ვიტალი კლიჩკო საბჭოს რეიტინგში ნომერ პირველი, ანუ სატიტულო ორთაბრძოლის უმთავრესი პრეტენდენტია. მეორეც, იმიტომ, რომ მეორე საფეხურზე კორი სანდერსია. იმის გამო, რომ ლუისმა, საბჭოს ჩემპიონმა, რინგი მიატოვა და, შესაბამისად, ტიტულიც სხვათა საჯილდაო გახადა, სწორედ უკრაინელისა და სამხრეთაფრიკელის ორთაბრძოლა დადგა დღის წესრიგში, მაგრამ... იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მათგანი შერკინებაზე უარს განაცხადებს, ან მეტოქესთან შეთანხმებას ვერ მიაღწევს, მაშინ საქმეში ერთვება WBC, თუმცა, ამ შემთხვევაში საბჭოს ლიდერები რიგ ფაქტორებსაც უწევენ ანგარიშს. ანუ, ითვალისწინებენ არა მარტო იმას, თუ ვინაა იერარქიაში დაწინაურებული, არამედ იმასაც, თუ ვინ შეძლებს პრეტენდენტის დაყოლიებას. თუმცა, არც ისეა საქმე, თითქოს პრეტენდეტთან ჩხუბის უფლება ყველას ჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში, არა იმას, ვინც იმავე რეიტინგში 30-ეულშიც კი არ არის. ჯონ რუისი კი სწორედ 30-ეულს მიღმაა, მაგრამ კრივის სამყაროში ბევრი დაუწერელი კანონიც არსებობს. ანუ, საკმაოდ ხშირად სავსებით ლოგიკური ხდება სიტყვები – კანონი იმისთვისაა, რომ იგი დაირღვეს. ერთი სიტყვით, არაფერია გამორიცხული, თუმცა, მაინც ნაკლებად სავარაუდო უნდა იყოს კლიჩკო-რუისის ორთბარძოლის შესაძლებლობა. ისე კი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ყოველივე ერთგვარი სარეკლამო ოინია – რაც მეტი ხმაური იქნება ამ მატჩის ირგვლივ, მით მეტი იქნება დაინტერესება.

და მაინც, აპრილის ორთაბრძოლა, რომლისთვისაც, სავარაუდოდ, ლოს ანჯელესს ან ლას ვეგასს უნდა ემასპინძლა, შესაძლოა, არც შედგეს, ყოველ შემთხვევაში, დათქმულ დღეს – 24 აპრილს.

ყველაფერ ამით დაბნეულები არიან "Universum Box-Promotion"-ში - ორგანიზაციაში, რომელიც უკრაინელის ინეტერესების გამტარებელია. კერძოდ, სანდერსის მერყევი ხასიათის გამო კლიჩკოს მხარე, ყოველი შემთხვევისთვის, სამხრეთაფრიკელის შემცვლელს ეძებს. პუერტორიკოელის ვარიანტიც სწორედ უკარინელების გახმაურებულია.

ახლა მცირეოდენი ექსკურსიც. მოლაპარაკებები საბჭოს მსოფლიო ჩემპიონის სატიტულო ორთაბრძოლისთვის ათი დღის წინათ დაიწყო. 11 თებერვალს ცნობილი გახდა დაპირისპირების სავარაუდო ადგილი და თარიღი. კლიჩკო-სანდერსის ბანაკთა განცახდებებში ერთგვარი რწმენაც გამოსჭვიოდა – ჩვენს შორის ყველაფერი ხუთიანზე წარიმართებაო. ფაქტია: წყალი ამღვრეულია. თუმცა, მაინც გვგონია, რომ მას სარეკლამო დატვირთვა უფრო აქვს.

ბოულინგი

ბოულინგი - უჩვეულო და აზარტული გასართობი



ბოულინგს ჩვენშიც კარგად თამაშობენ

არაერთგზის აღინიშნა, რომ ბოულინგის საოცარი პოპულარობა თამაშის მარტივი წესებით აიხსნება. ზოგს, შესაძლოა, გაუკვირდეს კიდეც, განა რა ასეთი გასართობი უნდა იყოს ბურთის ბილიკზე გაგორება და კეგლებისგან შემდგარი პირამიდის დაშლაო, მაგრამ აზარტულობის ჟინი სწორედ ამ სიმარტივეში იმალება. როგორც ერთი შეხედვით ჩანს, არც ისე იოლია ერთი გასროლით ბილიკის ბოლოში მდგარი ათივე კეგლის წაქცევა.

ინსტრუქტორთა რჩევით, პირველ რიგში ბურთი უნდა შეირჩეს მოთამაშის სხეულის წონასთან შეფარდებით. არანაკლები ყურადღება ექცევა უშუალოდ ბურთის გაგორების პრინციპსაც. აუცილებელია სროლის ორიენტირად ბილიკზე მონიშნული რომელიმე ისრის მიჩნევა და არა გარკვეული კეგლის მიმართულებით ბურთის ტყორცნა, როგორც ამას ზოგიერთი დამწყები მოთამაშე ცდილობს ხოლმე.

კლასიკური სროლის მანერა მოითხოვს ბურთის უხმაურო გასრიალებას ბილიკის ზედაპირთან ახლოს. ბურთის სროლის მომენტში მოთამაშის სხეული ბილიკის მიმართ პერპენდიკულარულად უნდა იყოს. სასურველია, მარცხენა ფეხის საყრდენად გამოყენება, ხოლო მარჯვენა ფეხის ბილიკზე გაცურება (ცაციებისთვის - პირიქით). სროლის ტაქტიკის შერჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სისწრაფით ხდება ბურთის მოქნევა, ამასთან, მნიშვნელობა აქვს ხელის მოძრაობასაც. მაჯა აუცილებლად დაფიქსირებული უნდა იყოს უძრავად. ამიტომ ხშირად პროფესიონალი მოთამაშეები სპეციალურ ხელთათმანსაც ხმარობენ. თუმცა, დამწყებთათვის ასეთი ხელთათმანით სარგებლობა ერთგვარ შემგუებლობას მოითხოვს. მაინცდამაინც რეკომენდებული არ არის გაუვარჯიშებელ ხელზე ასეთი "ფიქსატორის" გაკეთება. ამან შეიძლება გარკვეული დისკომფორტი შეუქმნას მოთამაშეს და, შესაბამისად, შედეგიც არასასურველი იყოს.

სწორედ ამ მიზნით, ბოულინგცენტრთა უმეტესობაში გახსნილია ბოულინგის შემსწავლელი სკოლა, რომელშიც ყველა მსურველს შეუძლია აითვისოს ამ საოცრად მარტივი თამაშის ისეთი ნიუანსები, რითიც მაღალი სარეიტინგო მაჩვენებლის მიღწევა შეიძლება.

სხვათა შორის, არა მარტო პროფესიონალი ბოულერები, არამედ დამწყებნიც კი ძალისხმევას არ იშურებენ საკუთარი შედეგის გასაუმჯობესებლად. ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ სპორტული მისწრაფება კიდევ უფრო აზარტულს ხდის ამ არაორდინარულ თამაშს. ეგებ ამიტომაც ბოულინგცენტრში გასართობად მისულთ ხშირად ახსნებენ, რომ ბოულინგი სპორტის სახეობაა და, როგორც ნებისმიერ სხვა სახეობას, მასაც გარკვეული მოთხოვნები აქვს მოთამაშეთა მიმართ.

ცხადია, პროფესიონალ ბოულერებს არ სჭირდებათ იმის შეხსენება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თუნდაც ბურთის სწორად დაკავება ან სროლისთვის სასურველი პოზიციის შერჩევა. ხოლო მათ, ვისაც ბოულინგით გართობა ხიბლავთ, მაგრამ არ ყოფნით თამაშის გამოცდილება, ვურჩევთ, ეწვიონ ბოულინგცენტრს და გამოცდილი ინსტრუქტორების მეთვალყურეობით გაითავისონ მოხერხებულად სროლის ტექნიკა. საუკეთესო შედეგის მიღწევა უდავოდ კარგი განწყობის საწინდარია, ეს კი ამ უჩვეულო გართობის მთავარი მიზანია.

მაშ ასე, იმისთვის, რომ ბოულინგით კარგად გაერთოთ და თქვენმა სახელმაც გამოანათოს საუკეთესო ათეულში, ნუ დაივიწყებთ თამაშის პირველ ელემენტარულ წესს - ***შეარჩიეთ ბურთი თქვენივე წონის შესაბამისად***.



კომენტარის ადგილი

ზურაბ გულისაშვილი
გიორგი კემულარია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ მერაბ ჟორდანიას

ბატონო მერაბ, დიდ პატივს ვცემთ თქვენს აზრს, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, თუ ქართველი გულშემატკივრების აზრსაც გაითვალისწინებდით. ხალხი ყველაზე დიდი საზომია თქვენი მუშაობისა. ქართველი ხალხი დაიტანჯა მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ციკლის დასრულების შემდეგ ნაკრების ბოლო ადგილის ყურებით და შემდეგ დაპირებებით: "არა უშავს, ჩვენმა ბიჭებმა ვაჟკაცურად დაასრულეს შესარჩევი ციკლი, არა უშავს, შემდეგ ჩემპიონატზე დასკვნით ეტაპზე მოვხვდებით" და კიდევ "კარგი უცხოელი მწვრთნელი გვჭირდება".

თქვენ, ალბათ, გახსოვთ, 30 აპრილს, როდესაც საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა დაამარცხა რუსეთის ნაკრები ანგარიშით 1:0 (თუმცა, შეგვეძლო, როგორც მინიმუმ, 3:0 გაგვემარჯვა). ალბათ, გახსოვთ, როგორი სიხარული მოგვანიჭეს ჩვენებმა. ეს სიხარული არასდროს დაგვავიწყდება და დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ბატონ ივო შუშაკს, რომელიც შესანიშნავად გაუძღვა გუნდს და ისეთ მცირე დროში, როგორშიც თითქმის შეუძლებელია გუნდთან დაახლოება, ის არა მარტო დაუახლოვდა, არამედ სიხარული და გამარჯვება გვაჩუქა, რომელშიც თქვენც დიდი წვლილი შეიტანეთ. თუმცა, თქვენ მეტის გაკეთება შეგეძლოთ და შეგიძლიათ, მაგრამ არ აკეთებთ.

ზაფხულში ლაპარაკი იყო თურქეთის ერთ-ერთი წამყვანი კლუბის ყოფილ მწვრთნელზე, რომელზეც ახლა საუბარიც არ არის. ამოტივტივდა სამი კანდიდატურა: ანრი მიშელი, ალან ჟირესი და ანატოლი ბიშოვეცი. მიშელი გაიქცა და უცნობია, რატომ. ალან ჟირესთან, როგორც ჩანს, არაფერი გამოვიდა. დარჩა ერთი კანდიდატურა - ანატოლი ბიშოვეცი, რომელიც სერიოზულ კონკურენციას ვერ უწევს ვერც ერთ ზემოთ ხსენებულს (ფედერაციას, ალბათ, ფული ენანება. ასე არაფერი გამოვა). ბიშოვეცი ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედლით იწონებს თავს, მაგრამ მისი უმთავრესი მინუსი წარმომავლობაა - პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან მწვრთნელის მოწვევა ერთობ სარისკო გადაწყვეტილება იქნება თქვენთვის, ბატონო მერაბ, და ასევე ჩვენთვისაც, რადგან რუსულმა ან ნებისმიერმა პოსტსაბჭოთა სამწვრთნელო სკოლამ ვერაფრით აუწყო ფეხი თანამედროვე ფეხბურთის ტენდენციას.

გვინდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა? მაშინ კეთილი ინებეთ და თავი შეიკავეთ ბიშოვეცის კანდიდატურისგან. თუ ბიშოვეცის არჩევისას დასახული მიზანი ვერ იქნება მიღწეული, იმავე პრობლემების წინაშე დავდგებით, რა პრობლემების წინაშეც ვდგავართ დღეს თქვენი შემწეობით. იმის გათვალისწინებით, რომ მწვრთნელის ძებნაში საკმარისზე მეტი დრო დავკარგეთ, უმჯობესია, თავი შევიკავოთ ნაჩქარები გადაწყვეტილებისგან და მოვძებნოთ სხვა წარმატებული საშუალო დონის მწვრთნელი.

ჩვენ ნამდვილად ვერ შევეგუებით ამას!!! და თუ ეს ასე დარჩება, უახლოეს ოთხ დღეში უკიდურეს ზომებს მივიღებთ. 718 კაცი, რომლებიც ვწერდით ამ წერილს და, დარწმუნებული ვართ, 100-ჯერ კიდევ ამდენი ადამიანი დაიღალა შეპირებებით, "შემდეგში გავალთ მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატზეო". ჩვენ, ახალგაზრდებს, არ გვინდა ამ ცხოვრებიდან ისე წავიდეთ, რომ ქართული ფეხბურთი სამუდამოდ მოკვდეს. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ იმისთვის, რომ ქართული ფეხბურთი არ მოკვდეს. ჩვენ ბიშოვეცს შუშაკის დაბრუნება გვირჩევნია. ჩვენ არ გვინდა მერე ისევ შეპირებები. დავიღალეთ!!!

თქვენ იმედები კვლავ გაგვიცრუეთ მწვრთნელთან დაკავშირებით (შუშაკის წასვლა ნაკრებიდან ბურუსითაა მოცული). თქვენ არ უპასუხეთ ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას, რომ ზაფხულში შუშაკის კანდიდატურაც იქნებოდა განხილული. ციტირება: "კითხვა: ვთქვათ, შუშაკმა ეს შესარჩევი ციკლი ჩაამთავრებინა ნაკრებს. მერე ვინ უთავკაცებს ეროვნულ გუნდს? პასუხი: ეს უკვე წლის ბოლოს გაირკვევა, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრის შემდეგ. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, თუ როგორ ჯგუფში აღმოვჩნდებით, რა გუნდები შეგვხვდებიან მეტოქედ. არ არის გამორიცხული, რომ შუშაკის კანდიდატურა იმ დროისთვისაც სერიოზულად განვიხილოთ". მაგრამ დანაპირები არ შესრულებულა. უფრო გამჭვირვალედ რომ გემუშავათ, უკეთესი იქნებოდა.

ბატონო მერაბ, ჩვენ, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს, იმედი გვაქვს, რომ უყურადღებოდ არ დატოვებთ წერილს, რადგან ჩვენ მხოლოდ ერთი მიზანი გვამოძრავებს - ქართული ფეხბურთის მომავალი და ამ მიზნისკენ სავალი გზა ყველამ ერთად უნდა მოვნახოთ.

დაგვიბრუნეთ ქართული ფეხბურთი!!!

TV-სპორტი

შაბათი 21 თებერვალი.

НТВ + ФУТБОЛ

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "დინამო" (უკრაინა) – "ინტერი" (იტალია)
15:10 "ექსპერტიზა"
15:40 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. "ჩელსი" – "არსენალი". პირდაპირი ტრანსლაცია
18:25 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. "ნიუკასლი" – "მიდლსბრო". პირდაპირი ტრანსლაცია
20:55 თავისუფალი დარტყმა
21:10 სახვალიო ტელეპროგრამა
21:15 გემანიის ჩემპიონატი. "ბავარია" – "ჰამბურგი"
23:00 "FUTBOL MUNDIAL"
23:25 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" – "ინტერი". პირდაპირი ტრანსლაცია
01:20 თავისუფალი დარტყმა
01:35 გერმანიის ჩემპიონატი
03:20 03:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. დღიური
04:30 NBA TV. "NEW JERSEY NETS" - "NEW ORLEANS HORNETS". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ + СПОРТ

10:00 "ყინულის ხანა". პროგრამა ჰოკეიზე
11:00, 13:45, 21:00 პრესცენტრი
11:15, 21:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჭადრაკი. ლინარესის სუპერ-ტურნირი
12:15 "გოლფი". ტელეჟურნალი
12:55 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში. ტრამპლინი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "CLEVELAND CAVALIERS" - "SAN ANTONIO SPURS"
16:25 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში. რბოლა 7,5 კმ. პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი ჰოლანდიაში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 დიდი რინგი. პროგრამა პროფესიულ კრივზე
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 სინქრონული ცურვა. რუსეთის ღია თასი. სოლო. ფინალი
22:30 ფეხბურთი. ესპანეთის ცემპიონატი. "ესპანიოლი" – "რეალი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
01:00 ახალი ამბები
01:15 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი ჰოლანდიაში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
02:45 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. ქალები. სუპერგიგანტი

EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი სლოვენიაში
13:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში
14:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
14:30 ბობსლეი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
16:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასი შვედეთში
19:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
20:00 ბობსლეი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი სლოვენიაში
22:15 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
22:45 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ბელგიაში
23:45 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება.
01:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი აშშ-ში
02:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
03:00 ახალი ამბები
03:15 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
04:15 ახალი ამბები

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

ცინიზმი გრძელდება

მხატვრის სახლი არსებობდა და ფუნქციონირებდა.

ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ წარუშლელ მოგონებად რუსთაველის გამზირზე, "მხატვრის სახლში" უსაყვარლესი მხატვრის ზურა ნიჟარაძის გამოფენის გახსნა დარჩება. "მხატვრის სახლში" ვყოფილვარ გოგი ალექსი-მესხიშვილის პერსონალურ გამოფენაზე, იქ ვნახე პირველად ლევან ჭოღოშვილის ქართველი მეფეების პორტრეტები და ბევრი სხვა დაუვიწყარი ხელოვნების ნიმუში. ეს ყველაფერი სამუდამოდ არის ჩემს მეხსიერებაში აღბეჭდილი და ვერანაირი დრო და, მით უმეტეს, დროით მოტანილი დემაგოგია ამას ვერ ამოშლის.

ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ უმძიმეს მოგონებად თბილისის ომის შემდგომი, გაპარტახებული, გადამწვარი, დანგრეული რუსთაველის გამზირი რჩება. რამდენადაც მძიმეა ნებისმიერი ნორმალური თბილისელისთვის ამის გახსენება, იმდენად უცნაურია, რომ არსებობენ კონკრეტული პიროვნებები და ორგანიზაციები, რომლებსაც სასიამოვნო მოგონებები აკავშირებთ ამ ტრაგედიასთან, როგორც პერიოდთან, როდესაც მათ ასე ოპერატიულად მოახერხეს დანგრეულის, გაუბედურებულის "დათრევა".

"მხატვრის სახლი", ისევე როგორც სასტუმრო "თბილისი", შიგნიდან იყო გამომწვარი და შერჩენილი ფასადი მითიურმა, ბურუსით მოცულმა, სახელებით და გვარებით მდიდარმა ორგანიზაცია "თბილისი სიტიმ" აღდგენის მაგივრად სასწრაფოდ დაანგრია და ცარიელი ტერიტორიის სახით ბევრად უფრო მომგებიანად, 99 წლით და პირველი 20 წელი იჯარის გადახდის გარეშე დაისაკუთრა! რისი აშენება არ უნდოდა ახალ "მფლობელს" - ხან საჯარო, ხან ბიზნესცენტრის, მაგრამ "მხატვრის სახლის" აღდგენა კომერციულ გეგმებში ნამდვილად არასდროს შედიოდა. მეტსაც გეტყვით, "თბილისი სიტი" წლების განმავლობაში ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ რუსთაველზე "მხატვრის სახლი", მხატვართა კავშირის ოფისი, შემოქმედებითი სახელოსნოები, სტამბა და ა.შ. არასდროს ყოფილა. თუ "თბილისი სიტის" წარმომადგენლები მარკესის პერსონაჟები არიან და ერთდროულად დაკარგეს მეხსიერება, ეს მათი პრობლემაა. ყველაფერი ეს კი, ბოლო ათწლეულებისთვის ასეთ დამახასიათებელ ცინიზმს უფრო წააგავს, რომელიც ინერციით დღესაც გრძელდება.

ისიც სავსებით საკმარისია, რომ თავისუფლების მოედანზე "თბილისი სიტის" წამოჭიმულმა ახალმა უზარმაზარმა სასტუმრომ სრულიად უტაქტოდ დაანგრია მოედნის მასშტაბი. ისიც საკმარისია, რომ მთაწმინდის პლატოდან თბილისს გაპარტახებული, დანგრეული, გაძარცვული, ათი წელი უპატრონოდ მიტოვებული, მაგრამ, ამავე დროს, მძლავრი "პატრონის" მქონე უნიკალური შენობა გადმოჰყურებს. ისიც საკმარისია, რომ ომის შემდეგ გადარჩენილი "მხატვრის სახლის" ფასადი აგურ-აგურ დაშალეს, გაყიდეს და ახლა იმასაც გვიმტკიცებენ, თქვენ არაფერი გახსოვთო, გეშლებათო და მანდ მხატვრები არასდროს არსებობდნენო. სამწუხაროდ, "თბილისი სიტისთვის" მხატვრები, ეტყობა, მართლაც არ არსებობდნენ. სამაგიეროდ, არსებობდა და არსებობს ფინანსური ინტერესი, რომელიც, ბუნებრივია, მეხსიერებასაც, მორალსაც და, მით უმეტეს, ხელოვნებასაც აღემატება.

საინტერესოა, ვის იგდებენ მასხრად და რის ფასად? იმედი მაქვს, დამთავრდა ის დრო, როდესაც ერთი რომელიმე გვარის ფიგურირება ორგანიზაციის, მისი მოღვაწეობის, ინტერესების ხელშეუხებლობას განაპირობებდა. მთაწმინდის პლატოზე მიგდებული შენობა, რუსთაველზე ცარიელი, გაპარტახებული ტერიტორია, როგორც უზარმაზარი ქალაქისადმი მიყენებული ჭრილობა, დიდი ხანია დახმარებას, მიხედვას ითხოვს, "თბილისი სიტი" კი, აი უკვე ათი წელია, ამას ვერ ან არ აკეთებს. ვისი რა საქმეა, როდის მიხედავენ თავის "საკუთარ" ძეგლებს? სწორედ ამიტომ, აუცილებელია ამ ძეგლების ბედის სასწრაფოდ თავიდან გადახედვა. როდემდე შეიძლება გაუგებარი ორგანიზაციის უმოქმედობის, უკანონობის, განუკითხაობის ყურება და მორჩილად ლოდინი, პრაგმატული "თბილისი სიტი" როდის ჩათვლის მიზანშეწონილად დედაქალაქის უმნიშვნელოვანესი ნაგებობის რეალურ პატრონობას, როდის გაიხსენებს ამ შენობების და ტერიტორიების ჭეშმარიტ მფლობელებს, როდის და როგორ ჩასვამს თავის ბიზნესგეგმებში საგამოფენო დარბაზების (ფონდები ვეღარ იტევენ ხელოვნების ნიმუშებს, რომელთა გამოსაფენი ადგილი არ არის), სახელოსნოების, ფრესკების აღდგენას, როდის აღუდგებათ მეხსიერება და ეტყვით თუ არა რამეს მათთვის სრულიად გაუგებარი სიტყვა "მხატვარი".

P.S. საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა დააკმაყოფილა საქართველოს მხატვართა კავშირის თხოვნა და "თბილისი სიტის" საქმიანობის განხილვის შედეგად, 18.03.2003 წელს გამოიტანა დადგენილება:

"მერიის მიერ შეიცვალოს სიტის სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორატი და ყველა ის დადგენილება, რის საფუძველზეც მან "მთაწმინდის პარკი", "მხატვრის სახლი" და სახელმწიფო ქონება მიიტაცა, ბათილად ჩაითვალოს".

დადგენილება გამოტანილია - მერე რა?

სასამართლო პროცესი მხატვართა კავშირსა და "თბილისი სიტის" შორის დღესაც მიმდინარეობს - მერე რა?

ცინიზმი ხომ გრძელდება!

ზემფირა

მომღერალი ზემფირას შემოქმედების მიმართ არავინ არის გულგრილი. ზოგიერთს ძალიან მოსწონს, ზოგიერთს ძალიან არ მოსწონს, ზოგიერთი სახლშიც, მანქანაშიც უსმენს მის ემოციურ მუსიკას, ზოგიერთს კი პირველივე ნოტზე ტკივდება თავი. გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ მე, ჩემი 18 წლის შვილების დამსახურებით, სახლში ხშირად მაქვს ზემფირა "ჩართული" და ამასობაში, გინდა არ გინდა, მისი მუსიკის მსმენელი გავხდი. სულ მეგონა, რომ ჩემი ასაკი ზემფირას ფანობისთვის საკმაოდ შეუფერებელი და დაგვიანებულია, მაგრამ ამ კვირაში "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გამართულ კონცერტზე დავრწმუნდი, რომ ჩემი თაობის წარმომადგენლები ახალგაზრდებზე არანაკლებ ემოციურად უსმენდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ და სიმღერების ბოლოს კი ყვიროდნენ.

"აჭარა მიუზიკ ჰოლის" ადმინისტრაციამ ძალიან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, შეძლო მისი განხორციელება და ღამის თორმეტ საათზე დანიშნულ კონცერტზე 18 წლამდე ბავშვები არ დაუშვა. ძლივს მოვესწარით იმას, რაც, თითქოს, ასე ბუნებრივია – რომ ღამის კლუბში არ იყვნენ საბავშვო ბაღის ან სკოლის ასაკის ბავშვები, რომლებსაც ამ დროს უნდა ეძინოთ. შედეგი კი, უამრავი ხალხის მიუხედავად, შეუდარებელი სიწყნარე იყო.

ერთადერთი რამ მაინტერესებს - სად ყიდულობენ ახალგაზრდები ასეთ ტანსაცმელს? პარიზში, სენდენის ქუჩა და პიგალია ის ადგილები, სადაც ამგვარი სამოსის შეძენა შეიძლება. ამ ქუჩებზე იაფფასიანი მსუბუქი ყოფაქცევის ქალები დგანან და გარშემო შესაბამისი მაღაზიებია გახსნილი. ამგვარი უგემოვნობა ძალიან გასაკვირი და გულსატკენია. საიდან ასეთი სწრაფვა ვულგარულობისადმი, რომელიც, სამწუხაროდ, სექსუალურობაშია არეული. რატომ არ შეიძლება, ჩვენმა მოდელიერებმა რაიმე ფორმით აუხსნან ახალგაზრდებს, თუ, რა თქმა უნდა, თვითონ იციან, სად არის ზღვარი ამ ორ ცნებას შორის. მაგრამ ეს სულ სხვა წერილის თემაა. ზემფირას კონცერტზე კი ლამაზიც და უშნოც, ვულგარულიც და სექსუალურიც, მაღალიც და დაბალიც - ყველა ერთობოდა, ხალისობდა, ცეკვავდა, დახტოდა, იდგა სკამებზე, მაგიდებზე, კიოდა და ჰყვებოდა სიმღერების ტექსტებს, რომლებიც, თურმე, ზეპირად სცოდნიათ.

მოკლედ, კონცერტი ჩატარდა, თანაც ძალიან კარგად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე და ზემფირას უამრავმა თაყვანისმცემელმა ბოლომდე ამოწურა თავისი "ზემფირომანია".

წაუგია და ვერ გაუგია

არსებობს ჭკვიანი, სულელი, უზნეო, თავშეკავებული, გატლეკილი, სიტყვაძუნწი, დემაგოგი, პოპულისტი და სხვა ტიპის ადამიანი. ჭკვიანი ის არის, ვისაც თავისი თავი უჭკუო ან არასაკმარისად ჭკვიანი ჰგონია. სულელი კი ის, ვინც საკუთარ სიბრძნეშია დარწმუნებული. ჭრელი ქართული პოლიტიკური სპექტრი ამ ტიპის ყველა მაგალითს იძლევა. ბევრმა პოლიტიკოსმა შეძლო, რეალურად შეეფასებინა არსებული ცვლილებები, საკუთარი ადგილი და როლი, დამარცხება ეღიარებინა და პოლიტიკური არენიდან უგზო-უკვლოდ გამქრალიყო. ზოგიერთმა რეალური, საფუძვლიანი, ასეთი საჭირო ოპოზიციური პოზიციის დაკავება მოახერხა. მაგრამ თუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უარყოფით თვისებებს სიჯიუტეც ემატება, სახეზე უკვე შემაწუხებელ სურათს ვღებულობთ. რა ქნას ისეთმა ადამიანმა, რომელიც ვერ გრძნობს ვერც დროს, ვერც საკუთარ უსუსურობას, ვერ ელევა ტრიბუნას, აუდიტორიას, ამბიციებს და არაფრით შეუძლია საკუთარი ფიასკოს აღიარება. ადამიანი სუბიექტურია თავისი თავის მიმართ და სწორედ ამაში გამოიხატება მისი გონებრივი შესაძლებლობები. უცნაური და აუხსნელი კი ის არის, რომ მასმედია მაინც აშუქებს ამგვარი დროაცდენილი, ინტერესმოკლებული, პოლიტიკური პლატფორმაგამოცლილი სუბიექტების ელემენტარულ ადამიანურ ნაკლებს.

ვის აინტერესებს დღეს შალვა ნათელაშვილი? მე - არა! გასაგებია, რომ დემოკრატია გვაქვს და ყველას შეუძლია პრესკონფერენციის ან ბრიფინგის მოწვევა, საკუთარი აზრის გამოთქმა, მაგრამ აზრსაც გააჩნია. არა მგონია, რომ ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერ "აზრებს" 12-3-6-9-საათიან საინფორმაციო გადაცემებში გააშუქებენ, როგორც დღის მნიშვნელოვან პოლიტიკურ სიახლეს. მით უმეტეს, რომ შალვა ნათელაშვილის განცხადებებში უკვე დიდი ხანია, არავითარი სიახლე არ შეინიშნება. იცვლება მხოლოდ მისი აგრესიის, შეურაცხყოფის მიყენების მცდელობის ადრესატები, ფორმები, საუბრისას მიმიკა, ღიმილი სულ უფრო და უფრო ყალბი ხდება, შინაარსი კი უცვლელია, ვინაიდან კუზიანს სამარე გაასწორებსო, ნათქვამია. "სახლში მარტო" დარჩენილი პოლიტიკოსი ხან დენდროპარკებით, ხან კახეთის ვენახებით, ხან კეტებით და ხან ფერადი ლითონების თუ ფქვილის ბიზნესით, ანუ ყველაფრით, რაც გაუგია და ვერ გაუგია, გვილაყებს ტვინს და ამ მიზანდასახულ ტყუილს პოლიტიკურ კურსს უწოდებს, რომელიც მხოლოდ ერთპიროვნულ ინტერესებს ემსახურება. პირადი ინტერესები კი, ვეჭვობ, მხოლოდ და მხოლოდ უცნობი სიტყვა - დენდროპარკის, ბიზნესის, ნიუ-იორკის და ბოტასის შურია, რომლებიც ახალბედა პროვინციელ პოლიტიკოსს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. გასაკვირია, რომ დღესაც კი, როდესაც ნათელაშვილმა ვარდისფერი ჰალსტუხის ვარდისფერ პერანგზე, ცისფერის კი ცისფერზე შეხამება შეძლო და შესაბამისად ამდენს მიაღწია, ბარამიძის ბოტასის თუ კეტის წარმოების ფირმა ახსოვს და მოსვენებას არ აძლევს. ეს ყველაფერი კი, თბილისელი ბოტასიანი, საზღვარგარეთ ერთხელ მაინც ნამყოფი ბიჭისადმი ბოღმას უფრო წააგავს, ვიდრე მხილებას, თუმცა არც მხილებაა მთლად პოლიტიკური კურსი. თანაპარტიელებისგან უდროოდ მიტოვებულმა, უკონტროლოდ, ლეიბორისტული პარტიის უგემოვნო ემბლემის (აბრევიატურაფაფრიანი ცხენი!) ანაბარა, ელექტორატის გარეშე დარჩენილმა პოლიტიკოსმა, რაც რამე აწუხებდა, რაზეც ოცნებობდა და რისიც შურდა, ყველაფერი გაიხსენა. თუმცა, დღეს ცისფერი ჰალსტუხიც აქვს, საზღვარგარეთაც დადის და სინამდვილეში მაცივარსა და გაზის ქურას შორის გასაშლელ ტახტზე, ნავთის ლამფების გარემოცვაში არ ძინავს, როგორც ეს ერთ-ერთ წინასაარჩევნო გადაცემაში გვაჩვენა და მისმა სარეკლამო პოპულისტურმა სიდუხჭირემ, ისევე როგორც პოლიტიკურმა კურსმა, სრული კრახი განიცადა - მახრჩობელა "ელეგანტური" ჰალსტუხის მოშვება, "მინუტკით" ყავის მოდუღება, ფეხის ფეხზე გადადება, ტყუილის აღიარება და საკუთარ შეცდომებზე ელემენტარული დაფიქრება, გაანალიზება მაინც ძალიან უჭირს. ეტყობა, ძალიან ბევრს ვითხოვ - ამდენ ბოღმას და ღვარძლს რა უყოს, თანაც ბარამიძეს კიდევ უფრო კარგი "ბოტასები" აქვს! ქართული მასმედია სადისტური სიამოვნებით აჩვენებს მის პიროვნულ ტანჯვას. მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ამომრჩეველი, მაყურებელი, თხოვნით მივმართავ ყველა ჟურნალისტს - დაგვასვენეთ, ნუ გვიშლით ნერვებს, ნუ გვაყურებინებთ სრულიად არასაინტერესო, მარტოხელა, კედელთან მიყენებული ადამიანის ყველა, რიგით კონვულსიურ შეტევას. ძალიან მძიმე საყურებელია პიროვნების ამგვარი დაკნინება, თანაც ამაში არაფერია განსაკუთრებული. ბევრი ავადმყოფობა თავის ბოლო, უმძიმეს სტადიაში, სწორედ ასეთი სურათით ხასიათდება.

"ვარსკვლავთა სახლი"

ამ ბოლო დროს თბილისის ცენტრალურ ქუჩებში ხშირად შეხვდებით სარეკლამო ფარებს, რომლებიც სამშენებლო კომპანია "ცენტრ პოინტის" ახალი მშენებლობის შესახებ გვატყობინებს. როგორი ტიპის მშენებლობა არ შემოუთავაზებია ჩვენთვის ამ კომპანიას - ელიტარული, პრესტიჟული, ახლა კი "ვარსკვლავური".

ყველაფერი გამიგია - "მხატვრების სახლი", "სპეციალისტების სახლი", "ენგურჰესის სახლი", "არქიტექტორების სახლი", მაგრამ რას ნიშნავს "ვარსკვლავების სახლი", არაფრით მესმის. ვინ არიან ეს "ვარსკვლავები", ვინ ანიჭებს მათ ამ წოდებას და რომელი კრიტერიუმებით ხდება "ვარსკვლავთა სახლში" ბინების განაწილება, მაცხოვრებლების შერჩევა - ცნობადობით, ქართულ კულტურაში შეტანილი ღვაწლით თუ მოსახლეობის გამოკითხვით, როგორ უნდა დაამტკიცო, რომ ნამდვილად ღირსი ხარ "ვარსკვლავების" მეზობლობის? ეგება საკმარისია, მოვიდეს მყიდველი ფულით ხელში და თქვას - "გამარჯობათ, მე ვარსკვლავი ვარ!"

ნამდვილად არ ვაპირებ უახლოეს მომავალში ბინის შეძენას, მაგრამ მაინც მაინტერესებს, ჩემი სრული არავარსკვლავურობის მიუხედავად, მაქვს თუ არა "ვარსკვლავთა სახლში" ერთოთახიანი ბინის ყიდვის შანსი? მინდა ვიოცნებო და ჩემს მეზობლებად სტეფანე, ჯაბა ქარსელაძე, დათო ხუჯაძე, თამუნა ამონაშვილი და სხვები წარმოვიდგინო. რამხელა ბედნიერებაა, როდესაც მარილის სათხოვნელად მეზობელთან გახვალ და კარს ვინმე კი არა, თვით ლელა წურწუმია გაგიღებს. თუმცა, როგორც მისი არანაკლებ პოპულარული მეუღლის ინტერვიუდან ვიცი, მათ ოჯახში სადილები იშვიათად მზადდება და სუფრები კი არასდროს იშლება. და ამგვარი "ბოჰემურობის" ფონზე პოპულარულ წყვილს მარილიც კი შეიძლება არ ჰქონდეს.

ჩემი აზრით, "ვარსკვლავთა სახლში" ბინის შერჩევისას აუცილებლად დასაზუსტებელია, ვინ იქნება თქვენი მომავალი კარის ან ზედა მეზობელი. ვის შეიძლება მოუნდეს აჩი მეფარიძის გვერდით ცხოვრება - გინდა არ გინდა, დილას ან საღამოს ლიფტთან მაინც ხომ შეგხვდებათ! ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ თქვენ თავზე ბინაში მეგობრებით მდიდარი დათო ხუჯაძე ცხოვრობს და საკმაოდ ხშირად აწყობს "ფართის", რომელზედაც "ვარსკვლავი" მეგობრებთან ერთად ზუსტად ისე იცეკვებს, როგორც ცნობილ კლიპში. რამდენად კარგია, როდესაც ხუჯაძის გაბარიტების და პლასტიკის მქონე დისკომოცეკვავე შენს თავზე ცხოვრობს? არც ერთ ქალს არ მოუნდება თამუნა ამონაშვილთან მეზობლობა და, შესაბამისად, საკუთარი ოჯახის სიმშვიდის რისკის ქვეშ დაყენება. ვერც ერთი ქმარი ვერ დარჩება გულგრილი საცვლების გასაფენად აივანზე გამოსული თამუნას მიმართ, რომელიც "ვარსკვლავური" მონაცემებისა და გარეგნობის პარალელურად, კაცებისთვის ასეთი მომხიბვლელი სიმყუდროვით გამოირჩევა და თვითონ ქსოვს ყაისნაღით, ეგრეთ წოდებულ მაკრამეს გადასაფარებლებს, პატარა ქუდებს და თავისი საინტერესო გარდერობის სხვა პიკანტურ დეტალებს. ლექსენთან ახლომახლო ცხოვრება, უბრალოდ, ჯანმრთელობისთვის არის საზიანო. ერთხელ მაინც ხომ წაიმღერებს საკუთარ აბაზანაში შხაპის მიღებისას თავის საავტორო რეპს! ეს კი სრულიად საკმარისია თქვენი ნერვიული სისტემის მოსაშლელად. ეკა კვალიაშვილთან მეზობლობაც დასაფიქრებელია - თუ დაცხო თავისი "სოფელო, ჩემო სოფელო" და მისმა ქმარმა ლეკური ჩამოუარა, არა მგონია, თქვენმა ჭაღმა ამგვარ დატვირთვას გაუძლოს. თუ ქალიშვილები გყავთ, არაფრით დასახლდეთ ჯაბა ქარსელაძესთან ახლოს, რადგან მისი "მექალთანობა" (გამოთქმის ავტორი ს. ნიკოლაიშვილი) ყვითელი პრესის მთავარი თემაა. "ქუჩის ბიჭებს" საერთოდ რად უნდათ ბინები - მათი სახლი ხომ ქუჩაა!

"ვარსკვლავთა სახლის" ყოველი დილა სტეფანეს "თენდება"-თი დაიწყება და ძილის წინ კი აჩი იმღერებს თავის ცნობილ "მშვიდობითს". ყველა ბინა ლელა წურწუმიას საავტორო დიზაინით იქნება შესრულებული და ბინის კარებზე კი "ვარსკვლავები" სახელის და გვარის მიმთითებელი დაფების მაგივრად საკუთარ კომპაქტდისკებს მიაკრავენ. მოკლედ, სახლი კი არა, საგიჟეთია!

ამდენი აღწერის შემდეგ რაღაც აღარ მომინდა ამ სახლში არც ერთი და არც რვაოთახიანი ბინა. მეტიც, აზრი დამებადა, ეგება უკეთესი იქნება, "ვარსკვლავთა სახლს" გარშემო მაღალი ღობე გაუკეთდეს და ერთგვარი რეზერვაციის სახე მიეცეს. ღობის შიგნით კი, ბარემ ხარჯი ხარჯია, ერთი სცენაც აუშენონ სახლიდან გამოუსვლელად კონცერტების გასამართავად. მაშინ ჩვენ, უბრალო მოკვდავებიც ხომ უფრო მშვიდად და დაცულად ვიგრძნობთ თავს ბოლო პერიოდის "ვარსკვლავური" აგრესიისგან.

ელიზაბეტ II-ის სხვენში კარავაჯოს შედევრი იპოვნეს

ბრიტანეთის დედოფლის ელიზაბეტ II-ის რეზიდენციაში – სასახლის ერთ-ერთ სხვენში აღმოჩენილია ნახატი, რომელიც იტალიელ ფერმწერს, კარავაჯოს ეკუთვნის. სხვენში აღმოჩენილი შედევრი, ასწლეულების წინათ დაკარგულად ითვლებოდა.

გასაოცარი მონაპოვარით - კარავაჯოს ფუნჯით შექმნილი შედევრის აღმოჩენის შემთხვევით, ყველა შეუმდგარ დიასახლისებს შეახსენებენ, რომ საკუთარი სახლები ხშირ-ხშირად დაალაგონ. მოცემულ შემთხვევაში, რჩევა უშუალოდ მოსამსახურის, ჰემპტონ კოპტის მისამართით ითქვა. ნაპოვნი ტილო, ელიზაბეტ II-ის ნახატების კოლექციიდანაა; ის ასწლეულების განმავლობაში იგნორირებული იყო, მისი ავტორი უცნობ მხატვარად მიიჩნიეს, რის გამოც ნახატის მნიშვნელობა დაუფასებელი იყო. ტილო სასახლის ერთ-ერთ ოთახში ეკიდა - ცნობისმოყვარე თვალებისაგან მოშორებით. შედევრს მნახველებისა და სპეციალისტებისგან მტვრის სქელი ფენა მალავდა. რესტავრაციამ ძველი ოსტატის ერთ-ერთი უდიდესი ტილო "გახსნა" – ეჭვი იმისა, რომ იგი ნამდვილად

ვინძორის სასახლე

კარავაჯოს შედევრია, არ არსებობს.

სურათზე ბიბლიის ერთ-ერთი ეპიზოდია ასახული - "ქრისტე წმინდა პეტრესთან და ანდრიასთან ერთად". როგორც ალმოჩნდა, კარავაჯოს ეს ტილო მეჩვიდმეტე საუკუნის შუახანებში, მეფე ჩარლზ პირველმა მოიპოვა, რომელიც აღორძინების ხანის ხელოვანთა ნამუშევრების კოლექციას აგროვებდა. კარავაჯოს ავტორობა მეჩვიდმეტე საუკუნის ხელოვნების ერთ-ერთმა წამყვანმა ექსპერტმა დაამტკიცა. სერ დენისმა თავის დროზე ლონდონის ნაციონალური გალერეის კოლექციას პუსენის, ტიეპოლოსა და დეგას ნახატები დაუბრუნა. ახლა იგი სასახლეში ფერწერული კოლექციის გადახედვას აპირებს, - შესაძლოა იქ სხვა უდიდესი ფერმწერების შედევრებიც ინახება, რაშიც მას რესტავრაციები დაეხმარება. ტილოს ავტორის ვინაობის განსაზღვრასთან ერთად, ნახატის ღირებულება რამდენიმე ათასი მილიონი ფუნტით გაიზარდა. კარავაჯოს ტილოს გაყიდვაზე ლაპარაკიც არ არის, ალბათ იგი ადგილს ლონდონის ნაციონალური გალერეას ექსპოზიციებში დაიმკვიდრებს.

სიგარის ფესტივალი ჰავანაში

თავად შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი, ბილ კლინტონიც კი ვერ უძლებდა ასეთ ცდუნებას – მიუხედავად იდეოლოგიური საზღვრებისა, ჰავანური სიგარები კუბის უდიდესი საექსპორტო პროდუქციაა. ჭეშმარიტი მწეველებისთვის 22-დან 27 თებერვლამდე კუბის დედაქალაქში სიგარის მეექვსე ფესტივალი იმართება.

სამეცნიერო სემინარებთან და სავაჭრო ინფორმაციასთან ერთად პროგრამაში მრავალი გასართობი ღონისძიებაცაა დაგეგმილი. სახელმწიფო თამბაქოს საწარმო "ტაბაკუბა" პლანტაციებსა და ფაბრიკებში ექსკურსიებს გამართავს, სადაც გამოცდილი ოსტატები სახელგანთქმულ "პუროსებს" ახვევენ. აქ სემინარის მონაწილეებიც შეძლებენ თავიანთი ოსტატობის ჩვენებას.

26 თებერვალს ეროვნულ ხელოვნების მუზეუმში სიგარებისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნება. სალამოობით ჰავანას სტუმრებს დიდი წვეულებები, საუკეთესო მუსიკა, დიდებული სიგარები

კუბური სიგარის "სახეები" - ჩერჩილი და კასტრო

და მოხიტო ელით. ერთ-ერთი წვეულება ლეგენდარულ სასტუმრო "ნასიონალში" გაიმართება და თავდადებული მწეველის, ვინსტონ ჩერჩილისადმი იქნება მიძღვნილი – წელს სიგარის ფესტივალს მისი შვილთაშვილი, ჯენი რეპერდი დაესწრება.

ზეიმის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი კუბის სახელმწიფო მეთაური ფიდელ კასტროა, რომელიც "ჰავანას" გარეშე პრაქტიკულად არ არსებობდა, სანამ საყვარელი მოსაწევისთვის თავის დანებება ჯანმრთელობის გამო არ მოუწია. 1999 წელს გამართული "ფესტივალ დელ ჰაბანოს" შემდეგ მან განაცხადა: "ასეთი რამ ყოველწლიურად გვჭირდება!"

2000 წელს ფესტივალის დროს კასტროს გვერდს კოლუმბიელი გაბრიელ გარსია მარკესი უმშვენებდა. გასულ წელს ლორდ როტშილდთან ერთად ჰავანას სიგარების პატივსაცემად ბიანკა ჯაგერი და მეტ დაიმონი ეწვივნენ.

მენსონის საქმე

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2001 წლის ივლისში, მხოლოდ ქვედა საცვალში გამოწყობილი მერილინ მენსონი სცენაზე გამოსვლის დროს უშიშროების სამსახურის წარმომადგენელს მეტისმეტად ორაზროვნად გაეხახუნა. დეტროიტელი ჯოშუა კისლერის სარჩელის საფუძველზე მენსონს "კრიმინალური სექსუალური ქცევის" გამო ჯარიმის – 4 ათასი დოლარის გადახდა მოუწია.

მაგრამ ყველაფერი ამით როდი დასრულად – ერთი ზედმეტი მოძრაობის გამო "დაზარალებული" კისლერი ახლა მორალური ზარალის ანაზღაურებასაც ითხოვდა. შეერთებული შტატების მედია იუწყება, რომ მომღერალმა პრობლემის მოგვარება ამჯერად სასამართლოს გარეშეც მოახერხა. ორივე მხარემ განაცხადა, რომ მოლაპარაკების დეტალების შესახებ საუბარი არ სურთ.



TV პროგრამა

20 თებერვალი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.30** დეტექტ. სერიალი **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": "ჩე". რეჟ. ალექსანდრე ქორიძე, "შეიძლება კაკო" რეჟ. გიორგი ქორიძე **01.20** მხ. ფილმი "ზღვისპირა ქალაქი". მთ. რ-ში: რობერტ დე ნირო.

პირველი არხი

08.00, 15.00, 20.00 მოამბე **08.15** მხ. ფილმი "რისკით უნდა იცხოვრო" **09.45** დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** თბილისი და თბილისელები **12.35** პოზიცია **13.20** კვალი **13.50** საცირკო სანახაობა **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** მხ. ფილმი "აფრიკელი" **16.50** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **17.00** საწინდარი **17.30** ასე ვცხოვრობთ **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.35** ცაიტნოტი **21.45** ფორტუნა **22.25** პროფათეული **23.00** ამბობენ **23.30** მოამბე **23.50** მხ. ფილმი "არლეტი" **01.25** ღამის ჯაზი

პირველი სტერეო

07.30 მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **15.20** ფილმი "მანქანებით სეირნობა ბიჭებთან" მთ. რ-ში დრიუ ბერიმორი, სტივ ზანი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "დროის შემჩერებელნი" მთ. რ-ში ჯესი ბრედფორდი, ფრენჩ სტიუარტი. **01.50** "ღამურა" **03.45** პაუზის გარეშე

მზე

09.00 მულტფილმი "მახვილი ლოდში" **10.15** საბ. სერიალი "მარტორქის მოგზაურობა" **11.30** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **12.00** საფეხბურთო მიმოხილვა **12.30** სერიალი "ნიურბერგი" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.15, 20.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.30** ფეხბურთი. პრემიერ-ლიგა. ჩელსი-არსენალი **19.00** სერიალი "კოდი კოპერნიკი" **21.20** მხ. ფილმი "სურვილებით დაბრმავებული" (ბრენდან ფრეიზერი) **23.10** მხ. ფილმი "მგლებთან მოცეკვავე" (კევინ კოსტნერი)

მეორე არხი

19.00 მულტსერიალი **19.30** გლობუსი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში **21.20** მუს. ოქტაგონი **22.10** მხ. ფილმი "სამხედრო ხელობა"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "კრავთა დუმილი" **14.00** მხ. ფილმი "მის კონგენიალობა" **16.30** მხ.ფილმი "მატრიცა" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "გადამზიდავი" **22.30** მხ. ფილმი "უკვდავნი" **00.20** მხ. ფილმი "ეშმაკის საკუთრება"

იბერია

08.00 ანონსი, დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "ბარონი ნავსადგურიდან" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 18.30, 21.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "ჟანა დარკი" **18.00** დოკ. ფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **22.45** მხ. ფილმი "სავსე მზე" **00.40** მხ. ფილმი "მშვენიერი ჩარიტა"

მეცხრე არხი

08.30 მხ. ფილმი "ესაუბრე მას" **09.50** მოკლ. მხ. ფილმი **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "ლურჯის ორი ფერი" **13.10, 16.25, 17.50** მუსიკა **13.30** დოკ. ფილმი "ფურცლები საბ. შაქ. ისტ." **14.00** მულტსერიალი "კონკია" **14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **14.50** "ყვითელი კვადრატი" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ჰენრი ჯეიმსი" **16.35** დოკ. სერიალი "ზღვარზე" **17.00** მხ. სერიალი "ჯონ როსი" **18.00** მულტსერიალი "კონკია" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** "ტელემეტრი" **22.00** მხ. სერიალი "ფერადი ცხოვრება" მე-3ს. **23.00** ცხელი ცხრიანი **23.50** სერიალი "80 დღე დედამიწის გარშემო" მე-2ს. **01.00** მხ. ფილმი "მეომარი"

იმედი

09.00, 13.00, 15.00, 17.00 ქრონიკა **09.15** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.05** ანიმაც. ფილმი "გულივერის მოგაზურობა" 1-ლი ნ. **10.30** მხ. ფილმი "გამარჯვებული" **12.05, 01.20** იმედის მელოდიები **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** "თემა" **15.15** მხ. ფილმი "ბორსალინო და კომპანია" **17.05** დოკ. სერიალი "სტილის ამქრები" **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.00, 22.00, 00.15** ქრონიკა **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** დოკ. სერიალი "მკვლელები" **21.30** ლარის მახე **22.40** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.

არხი

08.00 მულტსერიალი **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** სათავგადასავლო ფილმი "ზოროს ნიღაბი" **11.40** მუსიკა **12.20** დრამა "გიგლი" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** დრამა "გიგლი" (გაგრძ.) **14.30** კომედია "ბატონი შეცდომა" **16.20** მულტფილმი **17.35** ისტორიული ფილმი "ივანე მრისხანე" 1 ს. **18.40** მუსიკა **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.20** თრილერი "29 პალმა" **21.50** მუსიკა **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** Слово **23.50, 02.50, 05.50** მუსიკა **00.40** ისტორიული ფილმი "ჰენრი მ" **03.10** მხ. ფილმი "მოცეკვავის დრო"

ОРТ

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости **07.10** "Шутка за шуткой" **07.30** Прикл. фильм **"Рики-Тики-Тави" 09.00** "Твинисы" **09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.10** "Смак" **11.30** "Любовные истории" **12.10** "Дог-шоу" **13.10** История с географией. "Секретное оружие" **14.10** Программа передач на вчера **15.00** Дисней-клуб: "Тимон и Пумба" **15.20** Умницы и умники **16.00** "Пестрая лента". Леонид Дербенев **16.50** Петр Вельяминов в фильме **"Командир счастливой "Щуки" 18.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России **19.20** "Ералаш" **19.30** Алексей Гуськов в фильме **"Не привыкайте к чудесам..." 21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** ремя **22.25** Джеймс Белуши в боевике **"Собачья работа - 3 (К-9)" 00.20** "Золотой Граммофон" **01.20** Джек Николсон в триллере **"Бэтмен" 03.40** Шарлиз Терон в комедии **"Поиски и ошибки" 05.20 Сериал "Шпионка"**

РТР

06.40 Владлен Давыдов в фильме **"ЗАСТАВА В ГОРАХ" 08.20 "ДРАКОША И КОМПАНИЯ" 08.45** Золотой ключ. **09.05** Русское лото. **09.45** Большая перемена **10.10** Утренняя почта. **10.45** Сам себе режиссер. **11.40** Звезды России в игре "Форт Боярд". **13.15** В поисках приключений. **14.15** Клуб сенаторов. **15.00, 21.00** Вести. **15.20** Евгений Киндинов в фильме **"МОЛОДЫЕ" 17.10** концерт, посвященный 75-летию ансамбля песни и пляски им. А.Александрова **19.00** "Кубок юмора-2004" **21.25** Зеркало. **21.50** "Честный детектив" **22.20** Аншлаг. **23.20** Киану Ривз в боевике **"МАТРИЦА" 02.00** Остросюжетный фильм **"МУТАНТЫ-2" 03.30** Горячая десятка. **04.30** Фильм Клода Фаральдо **"ДВА ЛЬВА НА СОЛНЦЕ"**

НТВ

06.50 Шон Коннери в фильме **"ОПЕРАЦИЯ "ШАРОВАЯ МОЛНИЯ" 09.00, 13.00, 17.00** Сегодня. **09.15** "Улица Сезам". **09.45** "Та-ра-рам!" **09.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.05** Кулинарный поединок. **12.00** Квартирный вопрос: летят утки. **13.15** "Дикий мир: интервью с вампиром". Экспедиция Тимофея Баженова. **14.10** Вкусные истории. **14.15** Рутгер Хауэр в фильме **"РЕДКАЯ ПОРОДА" 16.25** Рекламная фишка. **17.20** "Женский взгляд". Валерий Золотухин. **17.55 Сериал "МОСКВА, ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 1 с. 19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад" **21.00** Владимир Машков в фильме **"ВОР" 23.15** Деми Мур, Роберт Де Ниро в комедии **"МЫ НЕ АНГЕЛЫ" 01.35** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой. **02.20** Остросюжетный фильм **"КУБ"** (Канада).

სკანვორდი



სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

MBA
MSc

სრული კურსის ფასი
£3950

BA (Hons)
£ 6950.

£ 1000

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
E-mail: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- MS Word.
- MS Excel.
- Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: უზნაძის № 72 ტელ: 29-48-61

მობილური 70თ 822 009 108
რაიონი 70თ 822 009 008
თბილისი 50თ 822 009 088
18 წლიდან

რამ გააბრაზა ნაომი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისთვის მრავალწლიანმა ბრძოლამ ნაომი კემპბელი ბრიტანეთის უზენაეს სასამართლომდე მიიყვანა. კემპბელის ადვოკატმა ენდრიუ კელდეკოტმა ხუთი უზენაესი მოსამართლე ლორდის წინაშე განაცხადა, რომ 2001 წლის თებერვალში "დეილი მირორი" ნაომი კემპბელის პირად ცხოვრებაში უხეშად ჩაერია და საქვეყნოდ მოჰყვა მის საიდუმლოს – ის ნარკომანთა განკურნების ანონიმურ ჯგუფში დადიოდა და ამგვარად ცდილობდა თავის შველას.

ამრიგად, ეს ამბავი ქვეყნის უზენაესი ინსტანციის განსახილველი გახდა. მოსამართლეთა გადაწყვეტილება შეიძლება ბრიტანული სამართლის სისტემისთვის რევოლუციური აღმოჩნდეს, რადგან ქვეყანაში პირადი სფეროს დამცველი ნათლად ჩამოყალიბებული კანონი ჯერჯერობით არ არსებობს.

ნაომი კემპბელი

როდ სტიუარტის ქალების ამბავი

აქ როდ სტიუარტიც კი დაიბნა: მაინცადამაინც მისი ყოფილი, თუმცა ჯერჯერობით კანონიერი ცოლი, რეიჩელ ჰანტერი (მაღალი, ტანადი, ქერა) მის შეყვარებულს, პენი ლანკასტერს (მაღალს, ტანადს, ლამაზს) ფირმა "ულტიმოს" თეთრეულის რეკლამაში ეცილება.

32 წლის პენის კონტრაქტი იანვარში შეუწყვიტეს, როგორც ჩანს, იმ მიზეზით, რომ დიდი ბრიტანეთის საზღვრებს გარეთ მისი სახე მაინცადამაინც ცნობილი არაა.

ფირმის ხელმძღვანელმა, მიშელ მონემ, თავის გადაწყვეტილება ამგვარად დაასაბუთა: "რეიჩელ ჰანტერი მსახიობი და საერთაშორისო დონის სუპერმოდელია, მას ორი შვილი ჰყავს და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური ქალი გახლავთ". 35 წლის რეიჩელ ჰანტერი როდ სტიუარტს ხუთი წლის წინათ დაშორდა, მაგრამ მათი განქორწინება ოფიციალურად გაფორმებული არ არის. ფირმამ მასთან ორწლიანი თანამშრომლობის კონტრაქტი დადო.


რეიჩელ ჰანტერი

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

სააქციო საზოგადოება "მინა"
ქსნის მინის ტარის ქარხანა
ტელ: 94-03-18; 94-03-26; 94-39-43
ფაქსი: 94-15-84

მინა

ს.ს. **"მინა"** აცხადებს ტენდერს 2004 წლის სეზონისათვის სამეურნეო, საკანცელარიო, ელექტრო (ელ.კაბელები, ხელსაწყოები, ელ.ავტომატები, ნათურები, სხვ.), ქიმიური და სხვა მასალების შესყიდვაზე, სულ 300-მდე დასახელება.

დაინტერესებულ კომპანიებს და პირებს ვთავაზობთ წარმოადგინონ შესაბამისი კომერციული წინადადება.

წინადადებები წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილობითი სახით, ორ ეგზემპლიარად, მოწოდების პირობებისა და ანგარიშსწორების ფორმის მითითებით, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან და პირებთან გაფორმდება ერთწლიანი ხელშეკრულება.

წინადადებების მიღება და სატენდერო მასალების სრული ჩამონათვალის გაცემა მოხდება ყოველდღე 10-დან 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა, შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 37, III სართული. ს.ს. "მინა"-ს მარკეტინგის განყოფილება.
ტელ/ფაქსი 94-24-95; 91-28-67

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 5 მარტი 2004წ.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ს.ს."მინა"-ს შესყიდვებისა და ლოგისტიკის განყოფილებას.
საკონტაქტო პირი გიგა ჯანგველაძე
ტელ: 94-03-18 შიდა ნომერი 126.

ჯეოსელში
სულ-პრიზებია!

ჯეოსელის საავანსო და საკრედიტო სისტემის აბონენტებო!

1 თებერვლიდან თქვენ მონაწილეობთ ჯეოსელის სულ-პრიზების აქციაში და ღებულობთ:

- 2 უფასო წუთს თუ თქვენი ტელეფონი ერთი თვის განმავლობაში ორმხრივადაა ჩართული
- 4 უფასო წუთს ყოველ დახარჯულ 50 ლარზე
- და კიდევ თითო უფასო წუთს ჯეოსელის აბონენტად ყოფნის თითოეული წლისათვის.

ისარგებლეთ დაგროვილი უფასო სალაპარაკო დროით.

ჯეოსელის სულ-პრიზების წამზომი ჩართულია.

ჯეოსელი უფლებას იტოვებს შეცვალოს აქციის მოქმედების ვადა და პირობები.

საინფორმაციო სამსახური
928 ან 822 770177
www.geocell.ge